არაოფიციალური ვერსია

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №10

2014 წლის 17 აპრილი

ქ. თბილისი

„ქსელის წესების“ დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს „ქსელის წესები“თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

1. ეს დადგენილება, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ქსელის წესების“ 110-112-ე მუხლები, 113-ე მუხლის პირველი-მე-3 და მე-5-მე-7 პუნქტები, 114-ე-115-ე მუხლები, 116-ე მუხლის პირველი-მე-3 და მე-5-მე-9 პუნქტები, 117-ე-165-ე მუხლები, 168-ე მუხლი, 169-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები, 170-ე-175-ე მუხლები, 176-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები და 177-ე მუხლის მე-2 პუნქტი, 178-ე-182-ე მუხლები, 183-ე მუხლის პირველი და მე-3-მე-7 პუნქტები, 185-ე მუხლის პირველი-მე-3 და მე-5-მე-9 პუნქტები, 186-ე-234-ე მუხლები, 237-ე-240-ე მუხლები, 242-ე მუხლის პირველი-მე-3 და მე-5-მე-9 პუნქტები, 243-ე-311-ე მუხლები, 314-ე მუხლი, 315-ე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტები და 316-ე-322-ე მუხლები ამოქმედდეს 2021 წლის 12 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

არაოფიციალური ვერსია

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	ირინა მილორავა
კომისიის წევრი	მაია ნადირაძე
კომისიის წევრი	გოჩა შონია
კომისიის წევრი	სერგო მესხი

ქსელის წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოქმედების სფერო, მიზნები და ამოცანები

1. ქსელის წესები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეთა და მაძიებლების მიერ გადამცემი ქსელის განვითარების, მართვის, ხელმისაწვდომობისა და უსაფრთხო სარგებლობის პროცედურებს, პირობებს, პრინციპებსა და სტანდარტებს.

2. ამ წესების მოქმედება ვრცელდება მაძიებელსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის ქვემოთ ჩამოთვლილ მონაწილეებზე:

ა) (ამოღებულია - 30.06.21 №35);

ბ) ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატი;

გ) ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი;

დ) ელექტროენერგიის მწარმოებელი;

ე) განაწილების ლიცენზიატი;

ვ) მომხმარებელი, რომელიც მიერთებულია გადამცემ ქსელზე;

ზ) სხვა მომხმარებელი, რომელიც არ არის ამ პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მაგრამ თავისი პარამეტრებით თუ ადგილმდებარეობით ხვდება ამ წესების მოქმედების სფეროში (მათ შორის, საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე მოსარგებლეები);

3. წესების ამოცანაა ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პირებს (სუბიექტებს) შორის ურთიერთობების რეგულირება, მათი უფლებების, მოვალეობების, პასუხისმგებლობებისა და ანგარიშვალდებულებების განსაზღვრა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს:

ა) გადამცემი ქსელის გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და ეკონომიური (უმცირესი ღირებულების პრინციპით) ხელმისაწვდომობა და გამოყენება მისი უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი ექსპლუატაციის გათვალისწინებით;

ბ) მოსარგებლეებისა და მაძიებლებისათვის ტექნიკური პირობის მოთხოვნების დადგენა;

გ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეთა შორის სათანადო ინფორმაციის გაცვლა.

4. წესები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: გადამცემი და გამანაწილებელი ქსელის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური და ოპერირების კრიტერიუმები, მისი გაფართოებისა და გაუმჯობესების დაგეგმვა, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმები და სტანდარტები, ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოთხოვნების გრაფიკების შედგენა და განხორციელება, მონაცემთა და ინფორმაციის გაცვლა, ელექტროენერგიის აღრიცხვის პოლიტიკა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.

მუხლი 2. ტერმინების განმარტება

1. წესების მიზნებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

ა) მოსარგებლე - პირველი მუხლის მე-2 პუნქტის "დ"-"ზ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილე;

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებელი - წარმოების ლიცენზიატი და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური;

გ) მაძიებელი – კონტექსტიდან გამომდინარე, გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან მიერთების მსურველი;"

დ) განმცხადებელი – მაძიებელი ან მოსარგებლე, რომელიც მიმართავს გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატს ახალი მიერთების ან არსებული მიერთების მოდიფიკაციის განაცხადით;

ე) მიერთების განაცხადი - ამ წესებით დადგენილი ფორმით შედგენილი წერილობითი მიმართვა ქსელთან მიერთების ან არსებული კავშირის მოდიფიკაციის შესახებ;

ვ) წლიური ანგარიში - ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილის მუშაობის წლიური საექსპლუატაციო მონაცემები დადგენილი ფორმით;

ზ) დადგმული სიმძლავრე – აქტიური სიმძლავრე, რომლითაც მოწყობილობას შეუძლია ხანგრძლივად მუშაობა გადატვირთვის გარეშე, ტექნიკური პირობების ან საპასპორტო მონაცემების შესაბამისად;

თ) მომხმარებლის დატვირთვის ავტომატური გამორთვა - პროცესი, რომლის დროსაც ხდება წინასწარშერჩეული მომხმარებლის დატვირთვის ავტომატურად გათიშვა ავარიულ რეჟიმში;

ი) ძაბვის ავტომატური რეგულატორი - სისტემა, რომლის მიზანია სალტეზე ძაბვის დასაშვები სიდიდის შენარჩუნება, გენერატორის აგზნების დენის ავტომატური რეგულირებით ან/და ძალოვანი ტრანსფორმატორების ტრანსფორმაციის კოეფიციენტის ავტომატური ცვლილებით;

კ) სრული გათიშვა - სიტუაცია, როცა ელექტროენერგეტიკული სისტემა ჩამქრალია და შეუძლებელია მისი აღდგენა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ინსტრუქციების გარეშე;

ლ) ელექტროსადგური - ობიექტი, რომელიც შედგება ერთი ან მეტი ენერგობლოკი/აგრეგატისაგან და განკუთვნილია ელექტროენერგიის წარმოებისათვის (გენერაციისთვის);

მ) ენერგოსისტემის (ენერგოსისტემის ნაწილის) აღდგენა ნულოვანი მდგომარეობიდან (შემდგომ – სისტემის აღდგენა ნულოვანი მდგომარეობიდან) – სრულად ჩამქრალი ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენა ისეთი ელექტროსადგურის მეშვეობით, რომელსაც შეუძლია მუშაობის დაწყება გარედან ელექტროენერგიის მიღების გარეშე;

ნ) (ამოღებულია - 21.07.17, №19);

ო) (ამოღებულია - 21.07.17, №19);

პ) მიერთების ხელშეკრულება – ერთის მხრივ, განმცხადებელსა და, მეორეს მხრივ, გადაცემის ლიცენზიატსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრულია გადამცემ ქსელთან მიერთების ახალ წერტილებში მოსარგებლის ჩართვის პირობები და ვადები;

ჟ) მიერთების თარიღი – პროექტით გათვალისწინებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებისა და საექსპლუატაციოდ მზადყოფნის თარიღი;

რ) მიერთების წერტილი – წერტილი, სადაც მოსარგებლის აქტივები ფიზიკურად უერთდება გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელს;

ს) კრიტიკული დატვირთვა - მდგომარეობა, როდესაც ქვესადგურების ელექტრომოწყობილობის/დანადგარების ან/და გადამცემი ხაზების დატვირთვა ხანგრძლივად დასაშვები სიმძლავრის 90%-100%-ის ფარგლებშია;

ტ) I დონის SCADA – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის საკუთრებაში არსებული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ელექტროენერგეტიკული სისტემის რეჟიმული პარამეტრების მონაცემთა შეგროვება, მონიტორინგი და მართვა;

ტ[1]) II დონის SCADA – გადაცემის ლიცენზიატის საკუთრებაში არსებული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა კონკრეტული ქვესადგურის ან/და გადამცემი ქსელის რეჟიმული პარამეტრების მონაცემთა შეგროვება, მონიტორინგი და მართვა;

ტ[2]) III დონის SCADA – განაწილების ლიცენზიატის ან/და მწარმოებლის საკუთრებაში არსებული პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა გამანაწილებელი ქსელის ან/და მწარმოებლის კონკრეტული ობიექტების რეჟიმული პარამეტრების მონაცემთა შეგროვება, მონიტორინგი და მართვა;

ტ[3]) I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი – მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც განთავსებულია გადაცემის ლიცენზიატებისა და მოსარგებლეების (ელექტროენერგიის მწარმოებელი და განაწილების ლიცენზიატი) ობიექტებზე და უზრუნველყოფენ რეალურ დროში:

ტ[3].ა) III დონის SCADA-ისა და II დონის SCADA-ის მონაცემთა შეგროვებას და I დონის SCADA-ში გადაგზავნას;

ტ[3].ბ) III დონის SCADA-სა და II დონის SCADA-ს მეშვეობით, ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის, ამ წესების 45-ე მუხლის მე-8 პუნქტით, აგრეთვე, შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე, 45-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების მართვას, სადაც განთავსებულია ეს ელემენტი;

უ) მომხმარებლის დატვირთვის მართვა – ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ავარიული რეჟიმის პირობებში მომხმარებლის დატვირთვის რეგულირება სიხშირის დასაშვებ ფარგლებში შენარჩუნების მიზნით;

ფ) პირდაპირ მიერთებული მომხმარებელი - გადამცემ ქსელში პირდაპირ ჩართული მომხმარებელი, გენერაციის და განაწილების კომპანიების გარდა;

ქ) ნორმალური რეჟიმი – ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმი, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია ყველა მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგება მისი ხარისხის დასაშვები ზღვრების პირობებში;

ღ) ავარიული რეჟიმი – ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმი, რომლის დროსაც დარღვეულია მომხმარებლის ელექტროენერგიით მომარაგება და/ან ელექტოენერგიის ხარისხის მაჩვენებლები სცდება დასაშვებ ზღვრებს;

ყ) ელექტრომოწყობილობა - ელექტრული ნაკეთობების ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია ელექტროენერგიის წარმოების, ტრანსფორმაციის, გადაცემის, განაწილების ან მოხმარებისთვის;

შ) ენერგობლოკი/აგრეგატი - დანადგარი, რომელიც განკუთვნილია ელექტროენერგიის წარმოებისათვის და განთავსებულია სხვადასხვა ტიპის ელექტროსადგურებში;

ჩ) გეგმური გათიშვა ფიქსირებული თარიღებით - ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების გეგმური გათიშვა, რომლის ვადა წინასწარ განსაზღვრულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილის მიერ და რომელიც არ შეიძლება შეიცვალოს ამ წესებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა;

ც) გეგმური გათიშვა მოქნილი თარიღებით – ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების გეგმური გათიშვა, რომლის ვადა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნით შეიძლება შეიცვალოს;

ძ) იძულებითი გათიშვა–ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების გათიშვა დაზიანების ან რაიმე სხვა დაუგეგმავი მიზეზის გამო;

წ) სიხშირის რეგულირება – ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიხშირის დასაშვები ზღვრული სიდიდეების ფარგლებში შენარჩუნების მიზნით, ენერგობლოკი/აგრეგატის აქტიური სიმძლავრის ავტომატური ცვლილება და/ან მოხმარების განტვირთვა;

ჭ) (ამოღებულია - 26.10.2021, №43);

ხ) ელექტროსადგურის მუშაობის გრაფიკი - ელექტროსადგურის საათობრივი წარმოების გეგმა;

ჯ) რემონტი – ეკონომიკურად მიზანშეწონილი სამუშაოთა კომპლექსი, რომელიმე ობიექტის (მოწყობილობა-დანადგარის) მუშაობისუნარიანი ან გამართული მდგომარეობის აღსადგენად;

ჰ) (ამოღებულია - 23.04.15 №11);

ჰ[1]) წყვეტადი დატვირთვა - დატვირთვა, რომელიც შეიძლება გაითიშოს ავტომატურად ან ოპერატორის მიერ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიხშირის აღდგენის ან კონტროლის მიზნით;

ჰ[2]) დატვირთვის შეზღუდვა - დატვირთვის შემცირება მომხმარებლის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წინასწარ დაწესებული ლიმიტების ფარგლებში;

ჰ[3]) დატვირთვის ნებაყოფლობითი შემცირება - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შერჩეული მოსარგებლის მოთხოვნის ნებაყოფლობითი შეთანხმებული შემცირება სიხშირის მართვის ხელშესაწყობად;

ჰ[4]) რემონტების გეგმა - გეგმების ერთობლიობა, რომელიც შეთანხმებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან და რომლებშიც მოცემულია გადაცემის ლიცენზიატის, ელექტროენერგიის მწარმოებლის, განაწილების ლიცენზიატის ან მომხმარებლის მოწყობილობათა გეგმური სარემონტო სამუშაოები;

ჰ[5]) მიერთების შეთავაზება – ქსელის მფლობელი ლიცენზიატის წინადადება განმცხადებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მის კუთვნილ ქსელზე მიერთებისათვის, რომელიც მოიცავს ტექნიკურ პირობასა და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტებს;

ჰ[6]) (ამოღებულია - 26.12.17 №46);

ჰ[7]) ოპერირების დაწყების თარიღი - დღე, როცა ელექტრომოწყობილობა/დანადგარი ტესტირების გავლის შემდგომ მიიღება ექსპლუატაციაში;

ჰ[8]) საოპერაციო ტესტები - საოპერაციო პროცედურების ჩამოყალიბების, კორექტირებებისა და პერსონალის სწავლების მიზნით, აგრეთვე ელექტროენერგეტიკული სისტემის ნორმალური რეჟიმიდან გადახრის პირობებში ოპერირების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ჩატარებული ტესტები;

ჰ[9]) ელექტროენერგეტიკული სისტემა – ელექტროსადგურებისა და ელექტრული ქსელების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია წარმოების, გადაცემის, განაწილებისა და მოხმარების უწყვეტი პროცესით და იმართება ერთიანი რეჟიმით;

ჰ[10]) პროექტის დაგეგმვის მონაცემები - მონაცემები, რომელთაც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მოითხოვს მოსარგებლეებისგან ახალი მიერთების ან არსებული მიერთების მოდიფიკაციისას;

ჰ[11]) რეგისტრირებული სიმძლავრე (ქონებული სიმძლავრე) - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დარეგისტრირებული სიმძლავრე, რომელიც წარმოადგენს ენერგობლოკის/აგრეგატის დადგმულ სიმძლავრეს გამოკლებული ენერგობლოკის/აგრეგატის იძულებით შეზღუდული სიმძლავრე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ჰ[12]) რეგისტრირებული მონაცემები - სტანდარტული დაგეგმის ან დეტალური დაგემვის ის მონაცემები, რომელიც მიერთების შემდეგ ხდება ფიქსირებული;

ჰ[13]) რეგისტრირებული საოპერაციო მახასიათებლები - ენერგობლოკის/აგრეგატის ოპერირებისათვის საჭირო მახასიათებლების მნიშვნელობები, რომლებიც რეგისტრირებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წესების თანახმად;

ჰ[14]) საიმედოობა - ელექტროენერგეტიკული სისტემის უნარი, შეინარჩუნოს მდგრადობა წარმოქმნილი შეშფოთებების დროს;

ჰ[15]) დაგეგმვის სტანდარტული მონაცემები - ზოგადი მონაცემები, რომელთაც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ყოველწლიურად სთხოვს მოსარგებლეებს დამტკიცებული ფორმით;

ჰ[16]) ელექტროდანადგარი - ურთიერთდაკავშირებული მოწყობილობების ერთობლიობა, რომელიც ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოებას, გარდაქმნას, გადაცემას, განაწილებას, დაგროვებასა და მოხმარებას;

ჰ[17]) ქვესადგური - ელექტრომოწყობილობათა ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა ქსელის კომუტაცია, ელექტროენერგიის მიღება, გარდაქმნა, ტრანსფორმაცია და განაწილება;

ჰ[18]) ტესტირების პროგრამა – პროცედურები, რომლებიც აკონკრეტებს შესაბამისი ქმედებების თანმიმდევრობას და დროს, რომლის მიხედვით უნდა ჩატარდეს სისტემის შესაბამისი ელემენტების ტესტირება;

ჰ[19]) ნულოვანი წელი (წელი 0) – ნიშნავს მიმდინარე კალენდარულ წელს, პირველი წელი (წელი 1) – მიმდინარე წლის მომდევნო კალენდარულ წელს, მეორე წელი (წელი 2) – პირველი წლის მომდევნო კალენდარულ წელს და ა.შ.;

ჰ[20]) საათობრივი მონაცემების მიწოდება - ელექტრული პარამეტრების მიწოდებას ყოველი ერთსაათიანი შუალედით;

ჰ[21]) ტექნიკური მომსახურება – ოპერაციების კომპლექსი ან ოპერაცია მოწყობილობის მუშაობის უნარიანობის ან გამართული მდგომარეობის შესანარჩუნებლად დანიშნულებისამებრ გამოყენების, მზადყოფნის, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობებში;

ჰ[22]) (ამოღებულია - 26.10.2021, №43);

ჰ[23]) აქტიური სიმძლავრე - უწყვეტი ენერგიის საშუალო დროის მიხედვით ელექტრული ტალღის ერთი პერიოდის მანძილზე;

ჰ[24]) რეაქტიული სიმძლავრე – ძაბვისა და დენის ნამრავლი გამრავლებული მათ შორის ფაზური კუთხის სინუსზე;

ჰ[25]) აღრიცხვის მოწყობილობა – მრიცხველი და მზომი ტრანსფორმატორები;

ჰ[26]) საანგარიშსწორებო მრიცხველი – მრიცხველი, რომლითაც ხორციელდება ელექტროენერგიაზე (სიმძლავრეზე) ფინანსური ანგარიშსწორება;

ჰ[27]) საკონტროლო მრიცხველი – მრიცხველი, რომელიც განკუთვნილია საანგარიშსწორებო მრიცხველის კონტროლისათვის, ხოლო საანგარიშსწორებო მრიცხველის დაზიანების ან/და აღრიცხვის მონაცემების დაკარგვის შემთხვევაში მის ჩასანაცვლებლად;

ჰ[28]) აღრიცხვის წერტილი – ადგილი, სადაც ხდება ელექტროენერგიის აღრიცხვა/გაზომვა;

ჰ[29]) აღრიცხვის კვანძი – მოწყობილობათა ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია აღრიცხვის წერტილში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) გაზომვისა და აღრიცხვისათვის (დენის

ტრანსფორმატორები, ძაბვის ტრანსფორმატორები, კავშირის წრედები და ელექტრული ენერგიის მრიცხველი/მრიცხველები);

ჰ[30]) საბალანსო გაყოფის საზღვარი – ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის ელექტრული ქსელების ქონებრივი გაყოფის საზღვარი;

ჰ[31]) აღრიცხვის მოწყობილობების დამოწმება – ქმედებათა ერთობლიობა, განხორციელებული მეტროლოგიური სამსახურის ან იმავე უფლებამოსილების მქონე აკრედიტებული ორგანიზაციის მიერ აღრიცხვის (გაზომვის) მოწყობილობების დადგენილ მეტროლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით. დადებითი შედეგის შემთხვევაში შესაბამისობის დადასტურება ხდება დასამოწმებელი აღრიცხვის (გაზომვის) მოწყობილობებზე დამოწმების დამღის დადებით ან გაიცემა დამოწმების მოწმობა;

ჰ[32]) აღრიცხვის მოწყობილობების სიზუსტის კლასი – აღრიცხვის მოწყობილობის უდიდესი დასაშვები ფარდობითი ცდომილება, გამოსახული პროცენტებში;

ჰ[33]) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული (ესკაა) სისტემა – პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ელექტროენერგიის ავტომატიზებული აღრიცხვა. ესკაა სისტემა მოიცავს აღრიცხვის გამზომ-გამოთვლით კომპლექსს, მონაცემთა აღრიცხვის, შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობებს;

ჰ[34]) დენის ტრანსფორმატორი – გამზომი ტრანსფორმატორი, რომლის დანიშნულებაა გარდაქმნას დიდი სიდიდის ცვლადი დენი გაზომვებისათვის მოხერხებულ მნიშვნელობამდე და განკუთვნილია გამზომი ხელსაწყოების (ამპერმეტრი, მრიცხველი, ვატმეტრი და სხვა) ჩასართავად ცვლადი დენის ელექტრულ წრედებში;

ჰ[35]) ძაბვის ტრანსფორმატორი – გამზომი ტრანსფორმატორი, რომლის დანიშნულებაა მაღალი ძაბვის დადაბლება, რომელიც ცვლადი დენის დანადგარებში მიეწოდება გამზომ ხელსაწყოებს, რის გამოც უზრუნველყოფილია გამზომი ხელსაწყოების უსაფრთხო მომსახურება;

ჰ[36]) მიერთების მოდიფიკაცია – მოსარგებლის მიერ გადამცემ ქსელთან მიერთების სიმძლავრის გაზრდა, სარეზერვო კვების მოთხოვნა, მიერთების წერტილის შეცვლა, ქსელის ელემენტის ან კონფიგურაციის ცვლილება, ქვესადგურის სქემის ცვლილება, რაც იწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) გადამცემ ქსელზე ისეთ ზეგავლენას, რომლისთვისაც აუცილებელია ახალი ტექნიკური პირობის დადგენა ქსელის მფლობელის მიერ;

ჰ[37]) ქონებული სიმძლავრე – ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე, შემცირებული გარკვეული სიდიდით საექსპლუატაციო პირობების შეუსაბამობის გამო საპროექტო პირობებთან;

ჰ[38]) მუშა სიმძლავრე – ელექტროსადგურის მაქსიმალური სიმძლავრე, რომელიც შესაძლებელია მიღებულ იქნეს დღე-ღამის ან/და მიმდევრობით რამდენიმე საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი პირველადი რესურსის (ჰიდრორესურსი, საწვავი და ა.შ.) შესაძლო მაქსიმალური გამოყენების პირობებში, ენერგობლოკის/აგრეგატის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით (რემონტში გაყვანილი სიმძლავრეების გამოკლებით);

ჰ[39]) კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (კაას) – პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა იმ მონაცემების აღრიცხვა და შეგროვება, რომლებიც აუცილებელია ელექტროენერგიით (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობის ერთიანი ანგარიშსწორებისათვის, მათ შორის ორმხრივი პირდაპირი ხელშეკრულებებისა და საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოცულობების დადგენისათვის;

ჰ[40]) აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობა – მხოლოდ ელექტროენერგიის აღრიცხვის მიზნებისთვის გამოყენებული საკომუნიკაციო/ქსელური მოწყობილობები;

ჰ[41]) აღრიცხვის საკომუნიკაციო წრედები – მხოლოდ აღრიცხვის მიზნებისთვის გამოყენებული საკომუნიკაციო/ინტერფეისის სადენები;

ჰ[42]) აღრიცხვის მოწყობილობების ტესტირება – აღრიცხვის მოწყობილობების გაზომვა სიზუსტის კლასის საპასპორტო მონაცემებთან შესაბამისობის დადგენაზე.

ჰ[43]) ტექნიკური პირობა – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს განმცხადებლის ელექტრულ ქსელთან მიერთების ან მიერთების მოდიფიკაციისთვის საჭირო სამუშაოებსა და პირობებს;

ჰ[44]) განაწილების ლიცენზიატის ხუთწლიანი გეგმა (შემდგომში – ხუთწლიანი გეგმა) – განაწილების ლიცენზიატის მიერ ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მომდევნო ხუთი კალენდარული წლისათვის კონკრეტული განაწილების ლიცენზიატის მფლობელობაში არსებული ქსელის განვითარების გეგმას;

ჰ[45]) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების საფასური – ორეტაპიანი გადასახდელი, რომელსაც გადამცემ ქსელზე მიერთების მსურველი უხდის გადაცემის ლიცენზიატს. გადამცემ ქსელზე მიერთების საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად 500, 400, 330, 220, 110, 35 და 6-10 კვ ძაბვაზე მიერთებისთვის;

ჰ[46]) ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთება – პროცესი, რომელიც იწყება გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებლის მხრიდან ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატისთვის განაცხადისა და საჭირო (მოთხოვნილი) დოკუმენტაციის წარდგენით და მთავრდება დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებით და საექსპლუატაციოდ გამზადებით;

ჰ[47]) გადამცემ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი – დროის მონაკვეთი, რომელიც მიერთების პირველი ეტაპის შემთხვევაში მოიცავს მიერთების მაძიებლის მიერ გადამცემ ქსელზე მიერთების შესახებ სრულყოფილი განაცხადის წარდგენასა და მიერთების შეთავაზების მიღებას შორის პერიოდს, ხოლო მიერთების მეორე ეტაპის შემთხვევაში - მიერთების ხელშეკრულების ხელმოწერიდან დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებამდე და საექსპლუატაციოდ გამზადებამდე პერიოდს;

ჰ[48]) მიერთების უჯრედი – ელექტრული ქვესადგურის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შედგება ერთი ელექტრული მინაერთის საკომუტაციო ან/და მიერთებისთვის საჭირო სხვა აპარატურის სრული ან ნაწილობრივი კომპლექტისაგან, აღრიცხვის უჯრედის და I დონის SCADA-ის კომუნიკაციის ელემენტის ჩათვლით;

ჰ[49]) ტექნიკური პროექტი – დოკუმენტი ან დოკუმენტების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს არსებულ ელექტრულ (გადამცემ ან გამანაწილებელ) ქსელზე გაცემული ტექნიკური პირობისა და მიერთების ხელშეკრულების შესაბამისად მისაერთებელი ახალი ობიექტის (ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური, ელექტროსადგური) ძირითად მონაცემებს ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის, გამტარის მასალისა და კვეთის, ანძების ტიპის, გენერატორების, ქვესადგურის სქემის (ტრანსფორმატორების, საკომუტაციო აპარტურის, მეორადი კომუტაციის, დამხმარე აპარატურის ტექნიკური მახასიათებლების და ა. შ) შესახებ;

ჰ[50]) ელექტროენერგიის აღრიცხვის უჯრედი – მიერთების უჯრედის ნაწილი, რომელიც მოიცავს ერთი ელექტრული მინაერთის ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძს, მასთან დაკავშირებულ სხვა მოწყობილობებს, აგრეთვე კარადებს/ყუთ(ებ)ს და ფარ(ებ)ს/პანელ(ებ)ს.

ჰ [51]) ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი – ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელი (შემდგომში – ENTSO-e), რომელიც ოპერირებას უწევს გამჭვირვალობის პლატფორმას;

ჰ [52]) გამჭვირვალობის პლატფორმა – ინფორმაციის ცენტრალური პლატფორმა, რომელიც დეტალურად განმარტებულია 58[1] მუხლში;

ჰ [53]) სატენდერო ზონა – ელექტროენერგიით ვაჭრობის უდიდესი გეოგრაფიული არეალი, რომლის შიგნითაც ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ ენერგიის გაცვლა (ვაჭრობა) გამტარუნარიანობის განაწილების გარეშე (შემდგომში – სატენდერო ზონა);

ჰ [54]) საკონტროლო არეალი – ურთიერთდაკავშირებული სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც იმართება ერთი გადაცემის სისტემის ოპერატორის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) მიერ და მოიცავს ქსელზე მიერთებულ ელექტროსადგურებსა და მომხმარებლებს (დატვირთვას);

ჰ [55]) ინფორმაციის მიმწოდებელი – გულისხმობს ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია გააგზავნოს შესაბამისი ინფორმაცია გამჭვირვალობის პლატფორმაზე გამოსაქვეყნებლად;

ჰ [56]) ინფორმაციის პირველადი მფლობელი – გულისხმობს ორგანიზაციას, რომელიც ქმნის ინფორმაციას;

ჰ[57]) გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენა – გადამცემ ქსელთან 1998 წლის შემდეგ მიერთებული ობიექტის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ინტეგრირებისთვის აუცილებელი გადამცემი ქსელის ელემენტების, მათ შორის, ელექტრომოწყობილობა-დანადგარების იმავე პარამეტრებითა და პირობებით აღდგენა, რაც შესაბამისი ობიექტის მიერთების ტექნიკურ დოკუმენტშია (ტექნიკური პირობა, ტექნიკური გეგმა ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრა მიერთებისთვის საჭირო სამუშაოები და პირობები) ასახული;

ჰ[58]) სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

ჰ[59]) მონაცემთა ჰაბი – გადამცემი სისტემის ოპერატორის ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემთა ცენტრალური ჰაბი, რომელიც მოიცავს ესკაა სისტემებს, ელექტროენერგიის

აღრიცხვაში გამოყენებულ პროგრამულ სისტემებს, მონაცემთა ცენტრალიზებული საცავისა და ამ მონაცემების დამუშავების პროგრამებს, ვებპლატფორმებსა და ვებპორტალებს.

1[1]. ამ წესების მიზნებისათვის ტერმინები „დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი“, „გადაცემის ლიცენზიატი“ და „გადაცემის სისტემის ოპერატორი“ – გულისხმობს იმ პირს, რომელსაც „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მიღებული აქვს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზია.

2. წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 21 ივლისის დადგენილება №19- ვებგვერდი, 28.07.2017 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46- ვებგვერდი, 08.01.2018 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.06.2021 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 3. წესების მოთხოვნების შესრულების ვალდებულება

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება წესების მოთხოვნების შესასრულებლად.

2. წესების მოთხოვნების შესასრულებლად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს, ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების მიმართ განახორციელოს წესებით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, გასცეს განკარგულებები, მითითებები და ინსტრუქციები, რომელთა შესრულება სავალდებულოა ადრესატისათვის. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებულნი არიან, შეასრულონ ამ წესების მოთხოვნები და პრინციპები, ხელმისაწვდომი გახადონ თავიანთი ელექტრომოწყობილობა და სისტემური მომსახურება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის და შეასრულონ მისი განკარგულებები, მითითებები და ინსტრუქციები.

მუხლი 4. მონაცემები, შეტყობინებები და კონფიდენციალურობა

1. წესებით გათვალისწინებული მითითების, განკარგულების, ინსტრუქციის გაცემა უნდა განხორციელდეს მხარეებს შორის ამ წესებით დადგენილი ფორმებითა და საშუალებებით.

2. გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელთან მიერთებამდე ან გადაცემის ან განაწილების ლიცენზიატისათვის განაცხადის წარდგენამდე, განმცხადებლის მიერ შესაბამისი ლიცენზიატისთვის (მათ შორის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის) მიწოდებული ყველა მონაცემი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ითვლება კონფიდენციალურ ინფორმაციად.

3. მოსარგებლის მიერ მონაცემების მოთხოვნის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, მიაწოდოს მას სათანადო მონაცემები. ამ მონაცემების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მოთხოვნაში მითითებული მიზნებისათვის და მოსარგებლემ უნდა დაიცვას მათი კონფიდენციალურობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

მუხლი 5. მოსარგებლის ქსელის მართვა

1. თუ მოსარგებლის ქსელი (ან მისი ნაწილი და შესაბამისი ელექტრომოწყობილობა-დანადგარი) რეჟიმული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, განახორციელოს აღნიშნული ქსელის მართვა და კონტროლი გადამცემი ქსელის ანალოგიურად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

თავი II
გადამცემ ქსელთან მიერთების წესი

მუხლი 6. გადამცემ ქსელთან მიერთების წესის მიზნები და ამოცანები

1. ამ თავით და ამ წესების XV, XVI, XVII თავებით განსაზღვრული გადამცემ ქსელთან მიერთების წესი (შემდგომში „მიერთების წესი") განსაზღვრავს გადამცემ ქსელთან მიერთებისა და ქსელით სარგებლობის ძირითად ტექნიკურ-ორგანიზაციულ პირობებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის, მოსარგებლისა და მაძიებლისათვის.

2. მიერთების წესის მიზანია:

ა) გადამცემი ქსელისა და ამ ქსელზე მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილური მუშაობის უზრუნველყოფა;

ბ) მიერთების წერტილებში გადამცემი ქსელის მახასიათებლების შესახებ მოთხოვნების განსაზღვრა. სათანადო ელექტრომოწყობილობა-დანადგარების, სქემების, კონტროლისა და დაცვის სისტემის შერჩევა;

გ) მიერთების ხელშეკრულების ძირითადი პირობების განსაზღვრა.

3. მიერთების წესის ამოცანებია:

ა) განმცხადებლის გადამცემ ქსელთან მიერთების სამართლიანი და არადისკრიმინაციული წესებისა და სტანდარტების განსაზღვრა;

ბ) მიერთების წერტილებში გადამცემი ქსელის ნორმალური ფუნქციონირების სტანდარტების განსაზღვრა;

გ) გადამცემ ქსელთან მიერთების ტექნიკური გადაწყვეტისა და ექსპლუატაციის კრიტერიუმების განსაზღვრა ეკონომიკური მიზანშეწონილობის (უმცირესი ღირებულების პრინციპით) გათვალისწინებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 7. ქსელთან მიერთების ძირითადი მოთხოვნები

1. ამ თავით და ამ წესების XV, XVI, XVII თავებით განსაზღვრული ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების წესები და მოთხოვნები, გარდა ამ წესების 27^{2} მუხლის მე-4 პუნქტისა და 27^{8} მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ვრცელდება მხოლოდ იმ ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთებაზე, რომელიც არ არის მიერთებული ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან და კანონმდებლობით დადგენილი პირობებით არ ხდებოდა მისი ელექტროენერგიით მომარაგება, ხოლო ელექტროსადგურის შემთხვევაში არ ხდებოდა ელექტროენერგიის ქსელში მიწოდება.
2. განმცხადებელმა, რომელსაც სურს გადამცემ ქსელთან მიერთება, განაცხადით უნდა მიმართოს გადაცემის შესაბამის ლიცენზიატს და გააფორმოს მიერთების ხელშეკრულება დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატებთან.
3. მიერთების წერტილში ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.
4. დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატები ვალდებული არიან, მიიღონ ან მიაწოდონ დადგენილი ხარისხის ელექტროენერგია მიერთების წერტილში.
5. გადამცემ ქსელზე მიერთება ხორციელდება ორ ეტაპად:
ა) პირველი ეტაპი მოიცავს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების მაძიებლის მხრიდან გადაცემის ლიცენზიატისთვის განაცხადისა და წინამდებარე წესებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენას, გადაცემის ლიცენზიატის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან აღნიშნული დოკუმენტაციის შეთანხმებასა და მიერთების მაძიებლისთვის ამ წესების მე-10

მუხლით გათვალისწინებული მიერთების შეთავაზების წარდგენას;
ბ) გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპი მოიცავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და მიერთების მაძიებელს შორის მიერთების ხელშეკრულების ხელმოწერას, მიერთების ტექნიკური პირობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას შესაბამისი მხარეების მიერ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ტექნიკური პროექტის შეთანხმებას, ამ წესების 138-ე-144-ე, 201-ე-204-ე, 292-ე-295-ე და 297-ე - მე-300 მუხლებით განსაზღვრული ოპერატიული შეტყობინების პროცედურებსა და ამ წესების 152-ე-158-ე, 215-ე-220-ე, 308-ე, 309-ე მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისობის ტესტების წარმატებით დასრულებას.
6. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების შეთავაზების შესაძლო სტანდარტული ვარიანტებია:
ა) გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობა;
ბ) გადაცემის ლიცენზიატის გადამცემ ხაზში შეჭრა.
7.გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში, უჯრედს აწყობს (ამონტაჟებს) გადაცემის ლიცენზიატი, ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, საკუთარი სახსრებით, აწყობს (ამონტაჟებს) I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტს, როგორც გადაცემის ლიცენზიატის, ისე განმცხადებლის ქვესადგურში. მიერთებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამუშაოს ახორციელებს განმცხადებელი (მიერთების მსურველი). მიერთების აღნიშნული უჯრედი წარმოადგენს გადაცემის ლიცენზიატის საკუთრებას, ხოლო I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი წარმოადგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის საკუთრებას.
8.გადაცემის ლიცენზიატის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში ხდება გადაცემის ლიცენზიატის კუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის ჩაჭრა და მისი მაძიებლის კუთვნილ ქვესადგურამდე მიყვანა. ჩაჭრისა და ქვესადგურამდე მიყვანის სამუშაოებს, მათ შორის, გადამცემი ხაზის მთლიანობის აღსადგენად საჭირო სახაზო-საკომუტაციო მოწყობილობების შეძენასა და მონტაჟს, ახორციელებს გადაცემის ლიცენზიატი. გადაცემის ლიცენზიატი ასევე ახორციელებს მაძიებლის ქვესადგურში უჯრედის, აღრიცხვის კვანძის მოწყობას (მონტაჟს), ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მაძიებლის ობიექტში/ქვესადგურში, საკუთარი სახსრებით, აწყობს (ამონტაჟებს) I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტს. გადაცემის ლიცენზიატი ასევე პასუხისმგებელია ამ პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების პროექტირებაზე (ტექნიკური პროექტის მომზადება), ქვესადგურამდე მიყვანისთვის საჭირო მონაკვეთზე მიწის საკუთრებისა თუ სხვა საჭირო ნებართვების მოპოვებაზე. ელექტროგადამცემ ხაზში განხორციელებული შეჭრის შედეგად აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი, უჯრედი და აღრიცხვის კვანძი წარმოადგენს გადაცემის ლიცენზიატის საკუთრებას, ხოლო I დონის SCADA კომუნიკაციის ელემენტი - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის საკუთრებას.

8^{1}. გადამცემ ქსელზე მიერთების შემთხვევაში, გარდა გამანაწილებელი ქსელის ოპერატორის მიერთებისა, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი შეზღუდვები:

ა) 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 250 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;

ბ) 400 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 200 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;

გ) 330 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს არანაკლებ 150 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;

დ) 220 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს:

დ.ა) გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში - არანაკლებ 80 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ობიექტი;

დ.ბ) გადაცემის ლიცენზიატის გადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში - არანაკლებ 50 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი;

ე) 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელზე დასაშვებია მიერთებულ იქნეს:

ე.ა) გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში - არანაკლებ 25 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ობიექტი;

ე.ბ) გადაცემის ლიცენზიატის გადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში - არანაკლებ 10 მგვტ სიმძლავრის მოხმარების ან გენერაციის ობიექტი.

9. განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) ელექტროგადამცემ ქსელზე მიერთება უნდა განხორციელდეს მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. გადამცემ ქსელზე მიერთების შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება მხარეთა მიერ.
10. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების შესაძლო სტანდარტულ ვარიანტს განსაზღვრავს გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 25 ივლისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.08.2019წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 8. მიერთების განაცხადი

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეიმუშაოს გადამცემ ქსელთან მიერთების განაცხადის ფორმა და წარუდგინოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დასამტკიცებლად.

2. განმცხადებელი ვალდებულია, მიერთების განაცხადი შევსებული სახით წარუდგინოს იმ გადაცემის ლიცენზიატს, რომლის კუთვნილ გადამცემ ქსელთანაც უნდა მოხდეს მიერთება.

3.მიერთების განაცხადის ფორმაში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) განმცხადებლის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საბანკო რეკვიზიტები, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
ბ) ტექნიკური ინფორმაციის მისაღებად გამოყოფილი პირის საკონტაქტო მონაცემები;
გ) მისაერთებელი ობიექტის დასახელება, მდებარეობა და გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) კოორდინატები;
დ) მისაერთებელი ობიექტის საქმიანობის ტიპი (სფერო);
ე) ახალი მიერთების ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ტიპები;
ვ) განმცხადებლის ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთების სავარაუდო თარიღი;
ზ) ობიექტის მისაერთებელი ნომინალური ძაბვის სავარაუდო საფეხური;
თ) მისაერთებელი ობიექტის:
თ.ა) საპროექტო სიმძლავრე - მწარმოებლის შემთხვევაში;
თ.ბ) აქტიური სიმძლავრე - სხვა მოსარგებლის შემთხვევაში;
თ.გ) რეაქტიური სიმძლავრე ან აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტი
ი) მოსარგებლის მოთხოვნის შემთხვევაში – ასევე ალტერნატიული ელექტრომომარაგების აუცილებლობა, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის პრევენციისთვის.
4. განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
5. მიერთების განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა) მისაერთებელი ობიექტის განლაგების საკადასტრო რუკა ან ობიექტის განლაგების გეგმა;
ბ) მისაერთებელი ობიექტის დღე-ღამური (საათობრივი) გრაფიკი - ნებისმიერი სიმძლავრის გენერაციის ობიექტის ან/და ისეთი მომხმარებლის გადამცემ ქსელზე მიერთებისას, რომლის მიერ მოთხოვნილი სიმძლავრე აღემატება 1000 კვტ-ს;
გ) გენერაციის ობიექტის მიერთების განაცხადის შემთხვევაში – სამინისტროს მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი ან შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც დასტურდება მისაერთებელი ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის (კვლევის) ან განხორციელების (მშენებლობის) ეტაპზე ყოფნის ფაქტი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

მუხლი 9. მიერთების განაცხადის განხილვა

1.მიერთების პირველი ეტაპი იწყება მიერთების მაძიებლის (განმცხადებლის) მიერ გადამცემ ქსელზე მიერთების განაცხადის ელექტროენერგიის გადაცემის შესაბამის ლიცენზიატთან რეგისტრაციით.
2. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელზე მიერთების განაცხადის

რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაამოწმოს წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების ფორმალური სრულყოფილება (მათ შორის, მოიცავს თუ არა განაცხადი წესების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, შეესაბამება თუ არა განაცხადი წესების 8^1 მუხლის მოთხოვნებს, გადახდილია თუ არა მიერთების პირველი ეტაპის საფასური და ა.შ.). ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში გადაცემის ლიცენზიატი როგორც მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ასევე წერილობით აცნობებს განმცხადებელს (მაძიებელს) ხარვეზის შესახებ და უსაზღვრავს 5 (ხუთი) სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ხარვეზი მითითებულ ვადაში არ გამოსწორდა, გადაცემის ლიცენზიატი უბრუნებს განმცხადებელს (მიერთების მაძიებელს) განაცხადს, თანდართულ დოკუმენტაციას და მიერთების საფასურს (თუ იგი გადახდილია განმცხადებლის (მიერთების მაძიებელის) მიერ). განმცხადებლის (მიერთების მაძიებელის) მიერ გადაცემის ლიცენზიატისთვის განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ხელახალი რეგისტრაცია. შესაბამისად, მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი იწყება თავიდან.

3.მაძიებლის (განმცხადებლის) მიერ ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოსწორების შემთხვევაში, მიერთების უზრუნველყოფის პერიოდში არ ჩაითვლება როგორც გადაცემის ლიცენზიატის მიერ მაძიებლისთვის (განმცხადებლისთვის) მიცემული ხარვეზის გამოსწორების ვადა, ასევე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შემოწმების ვადა.

4.თუ განაცხადის რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში განმცხადებელს (მაძიებელს) არ ეცნობება ხარვეზის თაობაზე, განაცხადი მიღებულად ითვლება.

5. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის ვადა (მიერთების პირველი ეტაპი) განისაზღვრება დანართი №10-ით.

6.განაცხადის არსებითად განხილვისას, გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია პირველი 5 სამუშაო დღის ვადაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დააზუსტოს მისაერთებელი ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთების წერტილის მდებარეობა.

7.გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, განაცხადის რეგისტრაციიდან დანართი №10-ით გათვალისწინებულ ვადაში არსებითად განიხილოს იგი და შესაბამისი ტექნიკური პირობის პროექტი გადაუგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. გადაცემის ლიცენზიატის მიერ მომზადებული ტექნიკური პირობის პროექტში ასახული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) მიერთების სავარაუდო წერტილი და ძაბვის საფეხურები;

ბ) მიერთების სავარაუდო სქემა, არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციით ან ახლის დამატებით;

გ) მიერთების შერჩეული სტანდარტული ვარიანტი;

დ) აღრიცხვის უჯრედის მოწყობის პირობები გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში აღრიცხვის მოწყობის შემთხვევაში;

ე) გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში ძალოვანი მოწყობილობების მოწყობის პირობები.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, დანართით №10 გათვალისწინებულ ვადაში განიხილოს განაცხადი, გადაცემის ლიცენზიატის კომენტარებთან ერთად და მიღებული გადაწყვეტილება გაუგზავნოს გადაცემის ლიცენზიატს. იმ შემთხვევაში, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ ვადაში არ აცნობებს პასუხს გადაცემის ლიცენზიატს, განაცხადი ჩაითვლება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებულად.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს:

ა) დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში – მიერთების ტექნიკურ პირობას და შეთავაზებას მიერთების შესახებ;

ბ) უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში – დასაბუთებულ უარს განაცხადის დაკმაყოფილებაზე.
10. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისგან გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატმა მიერთების მაძიებელს (განმცხადებელს) 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მიერთების შეთავაზება ან დასაბუთებული უარი განაცხადის დაკმაყოფილებაზე.
11. გადამცემ ქსელზე მიერთების პირველი ეტაპი სრულდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ განმცხადებლისათვის (მიერთების მაძიებლისათვის) გადამცემ ქსელზე მიერთების შეთავაზების წარდგენით, რომელიც მოიცავს ამ წესების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს ან დასაბუთებული უარით მიერთებაზე.
12. განაცხადის განხილვის შედეგად გაცემული ტექნიკური პირობა უნდა შეესაბამებოდეს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების ამ წესების მე-7 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტულ ვარიანტთაგან ერთ-ერთს.
13. მიერთების უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ვადის გაშვება არ ათავისუფლებს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატს მიერთების შეთავაზების ან დასაბუთებული უარის წარდგენის ვალდებულებისგან.
14. მიუხედავად იმისა, დაეთანხმება თუ არა განმცხადებელი (მიერთების მაძიებელი) გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილ მიერთების შეთავაზებას, გადახდილი პირველი ეტაპის მიერთების საფასური განმცხადებელს უკან არ უბრუნდება.
15. 6-10 კვ და 35 კვ ძაბვაზე განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება (გარდა ელექტროენერგიის წარმოების მსურველისა, რომელსაც მიერთება სურს 6-10 კვ და 35 კვ ძაბვაზე) გააჩნია მხოლოდ ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიატს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 25 ივლისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.08.2019წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 9[1]. უარი გადამცემ ქსელზე მიერთებაზე

1. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატები ვალდებულნი არიან, კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსონ და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია მათ კუთვნილ ქვესადგურებში არსებული თავისუფალი სიმძლავრეების თაობაზე. აღნიშნული ინფორმაციის განახლება გადაცემის ლიცენზიატებმა უნდა უზრუნველყონ ყოველკვარტალურად. გადამცემი ქსელის ქვესადგურებში არსებული თავისუფალი სიმძლავრეების გამოთვლის მეთოდოლოგია თანხმდება კომისიასთან.
2. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, უარი უთხრას განმცხადებელს (მიერთების მაძიებელს) გადამცემ ქსელზე მიერთებაზე ისეთ საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც მისაერთებელ ობიექტთან უახლოეს ქვესადგურში ან გადამცემ ხაზზე არ არსებობს თავისუფალი მისაერთებელი სიმძლავრე, ამასთან, მოთხოვნილია ისეთი მიერთება, რომლისთვისაც გადამცემი

სისტემა ვერ იქნებოდა მზად ამ მიერთების განსახორციელებლად, საჭიროა არსებული გადამცემი ქსელის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (გაძლიერება), რისი ფინანსური საშუალება გადამცემი სისტემის ოპერატორს არ გააჩნია (მიერთების საფასურის მიღმა) და არც უახლოესი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ არის გათვალისწინებული საინვესტიციო გეგმით. ასევე, თუ ასეთი მიერთება საფრთხის ქვეშ აყენებს მთლიანად გადამცემი სისტემის საიმედო ფუნქციონირებას ან მისი განხორციელება წინააღმდეგობაში მოდის ამ წესების მე-7 მუხლის 8^1 პუნქტით განსაზღვრულ პირობებთან, გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გასცეს მიერთების შეთავაზება, თუ გადამცემ ქსელზე მიერთების განაცხადის განხილვის დროისათვის გადამცემ ქსელს არ გააჩნია შესაბამისი თავისუფალი სიმძლავრე მოთხოვნილი განაცხადის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის სამწლიანი ნაწილით გათვალისწინებულია გადამცემი ქსელის მშენებლობის ან/და გაძლიერების იმგვარი სამუშაოები, რომლებიც მისცემს საშუალებას გადაცემის ლიცენზიატს სამომავლოდ სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) შესაბამისი მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი უფლებამოსილია, მიერთების შეთავაზების მოქმედების ვადის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის სამწლიანი ნაწილით.
4. გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე უარი უნდა ეფუძნებოდეს გადაცემის ლიცენზიატის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ განსაზღვრულ დეტალურ ტექნიკურ-ეკონომიკურ კრიტერიუმებს, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად უნდა მოიცავდეს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა, მისაერთებელ არეალში თავისუფალი სიმძლავრეების შექმნის ტექნიკური შეუძლებლობა, დამყარებული რეჟიმების ლიმიტები, გარდამავალი პროცესების მდგრადობის შეზღუდვები, მოკლე-შერთვის დენების სიდიდეებთან დაკავშირებული შეზღუდვები, აგრეთვე გადამცემი სისტემის საიმედოობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
5. გადაცემის ლიცენზიატი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განსაზღვრავენ და კომისიას შესათანხმებლად წარუდგენენ ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმების ჩამონათვალსა და მათი შეფასების მეთოდოლოგიას. კომისიასთან შეთანხმების შემდეგ, გადაცემის ლიცენზიატი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფენ მათ ხელმისაწვდომობას საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსების გზით.
6. გადამცემ ქსელზე მიერთებაზე დასაბუთებული უარი განმცხადებელს (მაძიებელს) უნდა ეცნობოს წერილობითი ფორმით, მიერთების პირველი ეტაპის უზრუნველყოფის ვადაში. წერილობით უარს თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც გახდა გადამცემ ქსელზე მიერთებაზე უარის საფუძველი. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელზე მიერთების უარის შესახებ შეტყობინება ყველა თანდართული დოკუმენტით ასევე გაუგზავნოს კომისიას, რომელიც თავის მხრივ, ამოწმებს უარის დასაბუთებულობას და, შემოწმების შედეგების თაობაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადაში ატყობინებს გადაცემის ლიცენზიატსა და განმცხადებელს (მაძიებელს).
7. მიუხედავად გადამცემ ქსელზე მიერთებაზე უარისა, განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მოთხოვნის შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულნი არიან, მიაწოდონ განმცხადებელს (მიერთების მსურველს) დეტალური ინფორმაცია მოთხოვნილი მიერთების პირობების სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებისათვის გადამცემ ქსელში (სისტემაში) გასატარებელი სამუშაოების შესახებ (საჭირო დანახარჯების ჩათვლით).
8. განმცხადებელი (მაძიებელი) უფლებამოსილია გადამცემ ქსელზე მიერთებაზე უარი გაასაჩივროს კომისიაში ან სასამართლოში.
9. გადაცემის ლიცენზიატი არ არის უფლებამოსილი, გადამცემ ქსელზე მიერთებაზე უარი

უთხრას ელექტროსადგურს შემდეგი მიზეზების გამო:
ა) გადამცემ ქსელში არასაკმარისი თავისუფალი სიმძლავრე;
ბ) ელექტროსადგურის მიერთების შედეგად გამოწვეული გადამცემი ქსელის ცალკეული უბნების ან ელემენტების შესაძლო გადატვირთვა;
გ) ელექტროსადგურის მიერთებისათვის საჭირო გადამცემი ქსელის გაძლიერებით გამოწვეული ფინანსური დანახარჯები.
10. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთებაზე უარის შემთხვევაში, განმცხადებელს (მაძიებელს) გადამცემ ქსელზე მიერთების პირველი ეტაპის გადახდილი საფასური უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 20 დეკემბრის დადგენილება №31 - ვებგვერდი, 28.12.2018წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 25 ივლისის დადგენილება №17 - ვებგვერდი, 01.08.2019წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №42 - ვებგვერდი, 25.12.2024წ.

მუხლი 10. შეთავაზება მიერთების შესახებ

1. შეთავაზება მიერთების შესახებ უნდა მოიცავდეს:

ა) ტექნიკურ პირობას, რომელიც უნდა მოიცავდეს წესების 11^1 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს;

ბ) მიერთების სავარაუდო თარიღებს;

გ) მიერთების ხელშეკრულების პროექტს;

დ) განმცხადებლის (მაძიებლის) მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადამცემ ქსელზე მიერთებისათვის გადასახდელ მეორე ეტაპის საფასურს, გარდა ამ წესების 10^1 მუხლით გათვალისწინებული არასტანდარტული მიერთების შემთხვევისა.

2. მიერთების თაობაზე ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ შეთავაზებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში შეთავაზება (ასევე – ტექნიკური პირობა) ავტომატურად უქმდება. ამასთან, გადაცემის ლიცენზიატი უფლებამოსილია ერთჯერადად, არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადით გააგრძელოს აღნიშნული ვადა მაძიებლის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით, რომლითაც დასტურდება ობიექტური გარემოებები, რამაც ხელი შეუშალა მაძიებელს ხელშეკრულების ხელმოწერასა და გადაცემის ლიცენზიატისთვის წარდგენაში.

3. (ამოღებულია - 07.10.16, №24).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 07.02.2023 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

მუხლი 10^1. არასტანდარტული მიერთება

1. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადამცემ ქსელზე მიერთება შეიძლება განხორციელდეს არასტანდარტული მიერთების გზით, რა დროსაც მიერთების მაძიებელი საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფს მისაერთებელი ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთებას. ამავდროულად, გადაცემის ლიცენზიატი და მაძიებელი შესაძლებელია შეთანხმდნენ გადამცემ ქსელთან დაკავშირებული აუცილებელი ინფრასტრუქტურული ან/და სხვა შესაბამისი სამუშაოების მაძიებლის მიერ საკუთარი ხარჯებით სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, რა შემთხვევაშიც ფორმდება დამატებითი შეთანხმება.

2. არასტანდარტული მიერთება შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე გადამცემი სისტემის ოპერატორის უარის შემთხვევაში;

ბ) მოთხოვნილ მიერთებაზე გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ მიერთების შეთავაზების გაცემის შემთხვევაში, თუ მიერთების მაძიებლისთვის მიუღებელია ამ შეთავაზებაში მოცემული მოთხოვნილი მიერთების თარიღი, რადგანაც იგი არსებითად განსხვავდება განაცხადით მოთხოვნილი მიერთების თარიღიდან და ისე აუარესებს მიერთების მაძიებლის მდგომარეობას, რომ აშკარად საფრთხის ქვეშ დგება მისაერთებელი ობიექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციაში გაშვების საკითხი (რაც უნდა დასტურდებოდეს მაძიებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ან წერილობითი ახსნა/განმარტებით).

3. არასტანდარტული მიერთების მოთხოვნა, მიერთების მაძიებელმა გადამცემი სისტემის ოპერატორთან უნდა შეიტანოს წერილობით, განცხადების სახით. განცხადებაში ჩამოთვლილი და აღწერილი უნდა იყოს არასტანდარტული მიერთების მოთხოვნის გამომწვევი გარემოებები. იგი ასევე უნდა შეიცავდეს ყველა იმ გარემოებას, რაც გათვალისწინებულია ამ მუხლით არასტანდარტულ მიერთების შემთხვევაზე და ამ მიერთების შესრულების შედეგად გადაცემის მომსახურებაში შემავალი ქსელის (შექმნილი ქონების) გადამცემი სისტემის ოპერატორის საკუთრების საკითხს.

4. გადამცემ ქსელზე მიერთების მოთხოვნაზე გადამცემი სისტემის ოპერატორის უარის შემთხვევაში, არასტანდარტული მიერთების მოთხოვნისას (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული არასტანდარტული მიერთებისას), მიერთების მაძიებელი და გადამცემი სისტემის ოპერატორი შესაძლებელია, წერილობით შეთანხმდნენ მოთხოვნილი მიერთების სამუშაოების მიერთების მაძიებლის მიერ შესრულების შესახებ, თუ არასტანდარტული მიერთების მოთხოვნა ითვალისწინებს:

ა) გადამცემი სისტემის ოპერატორისათვის პირობების გაუმჯობესებასა და იმ მიზეზ(ებ)ის აღმოფხვრას, ან/და გამორიცხვას, რაც საფუძვლად დაედო გადამცემი სისტემის ოპერატორის წერილობით უარს, მოთხოვნილ მიერთებაზე;

ბ) მიერთებისთვის საჭირო ახალი / სარეკონსტრუქციო ქსელისა და სამუშაოების საპროგნოზო-წინასწარ ხარჯთაღრიცხვას, მასთან დაკავშირებული სამუშაოების დეტალურ გეგმა-გრაფიკს (სამუშაოების დასრულების ვადების მითითებით). ამასთან, შეთავაზებაში დეტალურად უნდა იყოს მოცემული მისაერთებელი ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთების სამუშაოები, მათ შორის მიერთებისთვის საჭირო ახალი ქსელის მშენებლობისა და აუცილებლობის შემთხვევაში, არსებული გადამცემი ქსელის გაძლიერების (რეკონსტრუქციის) სამუშაოებიც (სრულად, თუ ნაწილობრივ), ასევე შესრულებული სამუშაოების შედეგად შექმნილი აქტივების გადმოცემის საკითხი;

გ) ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებს.

5. მიერთების შეთავაზებაში მოცემული ვადების მიუღებლობის შემთხვევაში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში), მიერთების მაძიებელს შეუძლია მიმართოს გადაცემის სისტემის ოპერატორს ამ წესების მე-9 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შეთავაზების მიღების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ამ შეთავაზებით გათვალისწინებული ვადისა. არასტანდარტული მიერთების მოთხოვნის შესახებ განცხადების გადამცემი სისტემის ოპერატორთან დარეგისტრირების მომენტიდან, სტანდარტული მიერთების შეთავაზებით განსაზღვრული ვადის დენა ჩერდება. აღნიშნული ვადის დენა გაგრძელდება სისტემის ოპერატორის მიერ არასტანდარტულ მიერთებაზე უარის შემთხვევაში, აღნიშნული უარის მიერთების მაძიებლისთვის ჩაბარების მომენტიდან. ამასთან, მხარეთა მიერ არასტანდარტულ მიერთებაზე შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ გაცემული მიერთების შეთავაზება ავტომატურად უქმდება.

6. მიერთების შეთავაზებაში მოცემული ვადების მიუღებლობის შემთხვევაში (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში), ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, მაძიებლის მიერ არასტანდარტული მიერთების შეთავაზება უნდა მოიცავდეს:

ა) მიერთებისთვის საჭირო ახალი ქსელისა და სამუშაოების საპროგნოზო-წინასწარ ხარჯთაღრიცხვას, სამუშაოების დეტალურ გეგმა-გრაფიკს (რომელიც მათ შორის უნდა მოიცავდეს ტექნიკური პროექტის მომზადების, პროექტის შეთანხმების, საჭიროების შემთხვევაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების, სამშენებლო ნებართვების და ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოების დასრულების, მოწყობილობა დანადგარების საგარანტიო ვადებს და შესრულებული სამუშაოების შედეგად შექმნილი აქტივების საკითხსა და მათ გადმოცემის ვადებს);

ბ) მიერთების სამუშაოების დასრულების საერთო ვადას, რომელიც მიერთების უჯრედის მოწყობის შემთხვევაში, უნდა იყოს ამ წესის მე-9 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული მიერთების შეთავაზებით განსაზღვრულ ვადაზე არანაკლებ 6 თვით ნაკლები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზის შეჭრის შემთხვევაში – არანაკლებ 1 წლით ნაკლები;

გ) ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

7. გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ არასტანდარტული მიერთების განცხადების განხილვა:

ა) არ უნდა აღემატებოდეს არასტანდარტული მიერთების მოთხოვნის მიღებიდან 2 კალენდარულ თვეს;

ბ) შეთანხმების შემთხვევაში მხარებმა უნდა გააფორმონ ხელშეკრულება არასტანდარტული მიერთების თაობაზე, ხოლო თუ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას – ამავე ვადაში გადამცემი სისტემის ოპერატორმა დასაბუთებული, წერილობითი უარი უნდა უთხრას მიერთების მაძიებელს;

გ) თუ მხარეები შეთანხმდნენ არასტანდარტულ მიერთებაზე (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში), მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს პირგასამტეხლოს მიერთების მაძიებლის მიერ, არასტანდარტული მიერთების და მასთან დაკავშირებული სამუშაოების დროულად შეუსრულებლობის – ვადა გადაცილების შემთხვევაზე;

8. გადამცემი სისტემის ოპერატორისა და მიერთების მაძიებლის მიერ არასტანდარტულ მიერთების პირობებზე შეთანხმების შემთხვევაში, მხარეებს შორის 15 სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ხელშეკრულება.

9. ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს:

ა) მიერთების დასრულების ვადებს;

ბ) ხელშეკრულების ფასს, რომელიც წარმოადგენს მიერთებისთვის საჭირო ახალი ქსელისა და შესასრულებელი სამუშაოების საპროგნოზო-წინასწარ ხარჯთაღრიცხვას, თუ ხელშეკრულების სხვა ფასზე არ შეთანხმდებიან;

გ) პირგასამტეხლოს, მიერთების და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ვადაში, დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში (ხელშეკრულების ფასის 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე).

დ) სანქციებს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში;

ე) დებულებებს მასალის, დანადგარებისა და შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის, ვარგისიანობისა და გამძლეობის პირობების შესახებ;

ვ) დებულებებს შექმნილი ან/და რეკონსტრუირებული (გაძლიერებული) გადამცემი ქსელის (რაც საჭიროა ერთიანი გადამცემი სისტემის ფუნქციონირებისა და მართვისთვის), გადამცემი სისტემის ოპერატორის სახელზე აქტივის შექმნის ან/და რეგისტრაციის შესახებ ან სხვა, გადამცემი სისტემის ოპერატორისთვის მისაღებ სამართლებრივ გზას, რომლის შედეგად ახლად აშენებული გადამცემი ქსელი იქნება გადამცემი სისტემის ოპერატორის საკუთრებაში;

ზ) ნორმებს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ ტექნიკური პირობით განსაზღვრული მიერთების სამუშაოების პერიოდული ინსპექტირების შესახებ;

თ) დებულებებს მიერთების სამუშაოების დასრულების დასადასტურებლად განსახორციელებელი ქმედებებისა და შესაქმნელი დოკუმენტების შესახებ;

ი) ნორმებს მიერთების დასრულების შემდგომ, შესრულებული სამუშაოებისა და მასალის ხარისხის შემოწმების შესახებ;

კ) დებულებებს მიერთების სამუშაოებში ან/და შექმნილ აქტივებში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მათი გამოსწორების შესახებ;

ლ) ნორმებს სადავო საკითხების გადაწყვეტის თაობაზე;

მ) მიერთების ხელშეკრულების ვადის გაზრდის შესაძლებლობას (ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მიერთების ვადა არ უნდა აღემატებოდეს გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ სტანდარტული მიერთებით შეთავაზებულ ვადას).

10. ხელშეკრულებას გაფორმებისთანავე უნდა დაერთოს და მისი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს:

ა) მიერთების ტექნიკური პირობა;

ბ) მიერთების და მასთან დაკავშირებული სამუშაოების გეგმა-გრაფიკი.

11. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, გადამცემი სისტემის ოპერატორმა უნდა გასცეს ახალი ტექნიკური პირობა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებსა და მოიცავდეს უშუალოდ მისაერთებელი ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთების (მისაერთებელი ქსელის მშენებლობის) პირობას. ამასთან, მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ახალი ტექნიკური პირობა, ასევე მოიცავდეს გადამცემი ქსელის რეკონსტრუქციის (გაძლიერების) პირობებს (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში).

12. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიერთების პერიოდის განმავლობაში და მის დასრულებამდე, მხარეებმა ერთმანეთთან წერილობით უნდა შეათანხმონ ან/და ხელშეკრულებას დაურთონ, ასევე:

ა) მიერთების ტექნიკური პროექტი;

ბ) მიერთების განსახორციელებლად მისაღები აუცილებელი ნებართვები.

13. არასტანდარტული მიერთების შედეგად შექმნილი აქტივების გადაცემის მომსახურებაში შემავალი ქსელის მესაკუთრე, უპირობოდ უნდა იყოს გადამცემი სისტემის ოპერატორი (აღნიშნული პირობა მიერთების ხელშეკრულების არსებით პირობად უნდა იქნეს მხარეთა მიერ აღიარებული). წინააღმდეგ შემთხვევაში, გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია უარი განაცხადოს არასტანდარტულ მიერთებაზე. ამასთან, გადამცემი სისტემის ოპერატორმა არ უნდა

მოახდინოს ამ ახლად შექმნილი აქტივების გამოყენება ან/და ექსპლუატაცია სანამ, არ მოხდება ახალად შექმნილი ქონების რეგისტრაცია გადამცემი სისტემის ოპერატორის საკუთრებად.

14. არასტანდარტული მიერთების შედეგად გადამცემი სისტემის ოპერატორის საკუთრებაში დარეგისტრირებული (გადასული) აქტივი უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო. უძრავი ქონება, რომელზეც განთავსდება აღნიშნული აქტივი, არ უნდა იყოს მესამე პირის საკუთრებაში, იპოთეკით დატვირთული ან/და სადავო.

15. გადამცემი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია იმ აქტივის გამართულ ექსპლუატაციაზე, რომელიც დარეგისტრირდება მის საკუთრებაში არასტანდარტული მიერთების შედეგად.

16. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია უარი განაცხადოს არასტანდარტულ მიერთებაზე თუ მიერთების მაძიებელთან ვერ შეთანხმდა:

ა) მიერთების შედეგად შექმნილი ან სარეაბილიტაციო აქტივის საკუთრების საკითხზე;

ბ) პირგასამტეხლოს საკითხზე, მიერთების მაძიებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

გ) მიერთების და მასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მასალის შესაბამისი ხარისხით შესრულებაზე;

დ) მიერთების პერიოდში და მისი დასრულების შემდგომ ჩატარებული სამუშაოებისა და მასალის ხარისხის შემოწმების წესზე;

ე) არასტანდარტული მიერთების მოთხოვნა ან/და ხელშეკრულება არ შეიცავს ან არ შეესაბამება ამ მუხლით პირდაპირ გათვალისწინებულ პირობებს.

17. გადამცემი სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს არასტანდარტულ მიერთებაზე, თუ:

ა) არ ეთანხმება არასტანდარტულ მიერთებას ტექნიკური გარემოებებიდან გამომდინარე;

ბ) შეთავაზებასთან დაკავშირებით გააჩნია რედაქციული ან/და ტექნიკური ხასიათის შენიშვნ(ებ)ი, რომელიც არ გამოსწორდა მიერთების მაძიებლის მხრიდან.

18. არასტანდარტულ მიერთებაზე უარი უნდა იყოს დასაბუთებული. უარის შემთხვევაში მიერთების მაძიებელს უფლება აქვს მიმართოს კომისიას, ან სასამართლოს.

19. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომისიას ცნობის სახით წარუდგინოს მის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2023 წლის 31 იანვრის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 07.02.2023 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 24 დეკემბრის დადგენილება №42 - ვებგვერდი, 25.12.2024 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

მუხლი 11. მიერთების ხელშეკრულება

1. მიერთების ხელშეკრულება ფორმდება განმცხადებელს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და შესაბამის გადაცემის ლიცენზიატს შორის. მიერთების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს შეიმუშავებენ გადაცემისა და დისპეჩერიზაციის ლიცენზიატები და დასამტკიცებლად წარუდგენენ კომისიას.
2. მიერთების ხელშეკრულება უნდა ასახავდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:
ა) მხარეთა მიერ წესების მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას;
ბ) გადამცემ ქსელზე მიერთებასთან დაკავშირებულ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს;
გ) მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მისი მოქმედების გაგრძელების შესაძლებლობას;
დ) მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;
ე) მიერთების სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელ მხარეებს .

3. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის (გარდა გენერაციის ობიექტისა) მიერთების სამუშაოები ვერ განხორციელდება მიერთების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში და ამავე ვადაში მოთხოვნილ იქნა აღნიშნული ვადის გაგრძელება, გადაცემის ლიცენზიატი უფლებამოსილია:

ა) ვადის გაგრძელების ობიექტური საფუძვლის არსებობისას, მხარის შესაბამისი დასაბუთებული მომართვის შემთხვევაში, ურთიერთშეთანხმებით, ერთჯერადად, არაუმეტეს 2 (ორი) წლის ვადით გააგრძელოს მიერთების ვადა;

ბ) უარი თქვას მიერთების ვადის გაგრძელებაზე. მიერთების ვადის გასვლის შემთხვევაში, მიერთების განსახორციელებლად საჭირო იქნება მაძიებლის მიერ გადაცემის ლიცენზიატისთვის ხელახალი განაცხადის წარდგენა და ამ თავით დადგენილი მიერთების ეტაპების ახლიდან გავლა (მათ შორის, შესაბამისი საფასურის ხელახლა გადახდა).

4. იმ შემთხვევაში, თუ გენერაციის ობიექტის მიერთების სამუშაოები ვერ ხორციელდება მიერთების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, მაძიებელს უფლება აქვს გადაცემის ლიცენზიატს მიმართოს მიერთების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაზრდაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი გენერაციის ობიექტის განხორციელების (მშენებლობის) მიზნით დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიცვლება (გაიზრდება), ასეთი ვადის ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე, გაზარდოს მიერთებისთვის გათვალისწინებული ზღვრული ვადა, ამავე დოკუმენტით განსაზღვრული ახალი ვადის გათვალისწინებით. ყველა სხვა შემთხვევაში, მაძიებლის მოთხოვნის საფუძველზე, მიერთებისთვის განსაზღვრული ზღვრული ვადის გაზრდა დაუშვებელია.

5. იმ შემთხვევაში, თუ მაძიებელს (გენერაციის ობიექტის შემთხვევაში) უარი ეთქვა სამშენებლო ეტაპზე გადასვლის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაზე/შესაბამისი განხორციელების

(მშენებლობის) ხელშეკრულების გაფორმებაზე, ან შეწყდა ასეთი დოკუმენტის, მათ შორის, კვლევის ეტაპზე ყოფნის დამადასტურებელი ხელშეკრულების მოქმედება, აღნიშნული წარმოადგენს გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, აღნიშნული საფუძვლის დადგომიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს მიერთების მაძიებელს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

მუხლი 11[1]. ტექნიკური პირობა

1. ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, ტექნიკური პირობა ყველა ტიპის მისაერთებელი ობიექტისათვის უნდა განსაზღვრავდეს შემდეგ საკითხებს:
ა) განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) გადამცემ ქსელთან მიერთების წერტილ(ებ)ს, ძაბვის საფეხურების მითითებით;
ბ) განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ გადამცემ ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის (ელექტროგადამცემი ხაზი, ქვესადგური, სატრანსფორმატორო პუნქტი და ა.შ.) მოწყობის ან/და არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის პირობებს;
გ) ახალი საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილ(ებ)ის მოწყობის აუცილებლობას და, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში - აღრიცხვის უჯრედ(ებ)ის მოწყობისათვის საჭირო პირობებს;

დ) საკონტროლო აღრიცხვის წერტილ(ებ)ის მოწყობის აუცილებლობას და, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში - საკონტროლო აღრიცხვის წერტილ(ებ)ის ადგილმდებარეობასა და ელექტროენერგიის აღრიცხვის შესატყვისი უჯრედ(ებ)ის მოწყობისათვის საჭირო პირობებს;
ე) ელექტროენერგიის მრიცხველის ზედა დონის ესკიზა სისტემაში ჩართვის პირობებს;
ვ) რეაქტიული სიმძლავრის რეგულირების პირობებს ძაბვის რეგულირების მიზნით;

ზ) ავარიის საწინააღმდეგო ავტომატიკის მუშაობაში მონაწილეობის პირობებს, განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ მისაერთებელი ობიექტის მინაერთ(ებ)ისათვის რელეური დაცვის მოწყობის, ასევე რელეური დაცვის დანაყენების ანგარიშის პირობებს.

თ) I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის განმცხადებლის ობიექტზე/ქვესადგურზე მოწყობის პირობებს;
ი) ალტერნატიული ელექტრომომარაგების პირობებს და სქემას, ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში.
2. გარდა ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საკითხებისა, საჭიროების შემთხვევაში, ელექტროსადგურ(ებ)ის გადამცემ ქსელზე მიერთების ტექნიკური პირობა დამატებით უნდა მოიცავდეს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის სიჩქარის რეგულირების პირობებს
ბ) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობას;
გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროსადგურის ავტომატური დისტანციური მართვის შესაძლებლობას;
დ) ელექტროსადგურის გენერატორ(ებ)ზე, საკუთარ მოხმარებასა და სხვა მინაერთ(ებ)ზე ელექტროენერგიის აღრიცხვის უჯრედების მოწყობის პირობებს;
ე) ელექტროსადგურების მიერ რეაქტიული სიმძლავრის უზრუნველყოფას ქსელის წესებით დადგენილ ფარგლებში.
3. ტექნიკურ პირობაში მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული გადაცემის ლიცენზიატის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ შესასრულებელი სამუშაოები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46- ვებგვერდი, 08.01.2018 წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №81 - ვებგვერდი, 30.12.2020 წ.

მუხლი 11^2. გადამცემ ქსელთან მიერთების საფასური და მისი გადახდის ვადები

1. გადამცემ ქსელზე მიერთების საფასური განისაზღვრება 500, 400, 330, 220, 110, 35 და 6-10 კვ ძაბვაზე. მისი გადახდა გათვალისწინებულია ორ ეტაპად.

2. მიერთების პირველი ეტაპის საფასურის გადახდა ხდება განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიერ, გადამცემ ქსელზე მიერთების თაობაზე განაცხადის შეტანისას. მისი ოდენობა დამოკიდებულია ძაბვის საფეხურზე და მოცემულია წინამდებარე წესების დანართში №10.

3. მიერთების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდა ხდება:

ა) გენერაციის ობიექტის შემთხვევაში – ამ ობიექტის განხორციელების (მშენებლობის) თაობაზე მაძიებელსა და სამინისტროს შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, თუ გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის გენერაციის ობიექტსა და სამინისტროს შორის უკვე გაფორმებულია განხორციელების (მშენებლობის) თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულება, მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გადაცემის ლიცენზიატთან მიერთების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) სხვა მაძიებლის (გენერაციის ობიექტის გარდა) შემთხვევაში – მიერთების ხელშეკრულების ხელმოწერიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში;

გ) მხარეები უფლებამოსილი არიან ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში წერილობით შეთანხმდნენ მიერთების მეორე ეტაპის საფასურის ერთჯერადად, არაუმეტეს 50%-ის გადახდის განწილვადებაზე.

3[1]. გადაცემის ლიცენზიატი უფლებამოსილია არ დაიწყოს მიერთების მეორე ეტაპის სამუშაოები, სანამ მიერთების მაძიებლის მიერ არ მოხდება მიერთების მეორე ეტაპის საფასურის სრულად გადახდა, ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წესით 50%-ის გადახდა და დარჩენილი ნაწილის განწილვადებაზე შეთანხმება. მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდის ვადის გასვლის შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს საფასურის სრულად გადაუხდელობას ან განწილვადებაზე შეუთანხმებლობას, გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულება წყდება, რის შესახებაც გადაცემის ლიცენზიატი წერილობით აცნობებს მაძიებელს. ასეთ შემთხვევაში, მიერთების I ეტაპის საფასური მაძიებელს უკან არ უბრუნდება.

3[2]. თუ გენერაციის ობიექტის შემთხვევაში, მიერთების ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი 3 (სამი) წლის თავზე ჯერ კიდევ არ არის დამდგარი მიერთების მეორე ეტაპის საფასურის გადახდის ვალდებულება გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, მოითხოვოს გენერაციის ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის (კვლევის) ან განხორციელების (მშენებლობის) ეტაპთან დაკავშირებული პროცესების მიმდინარეობის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენა და მის წარმოსადგენად მაძიებელს განუსაზღვროს 2 (ორი) თვის ვადა. მაძიებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში, აღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობა წარმოადგენს გენერაციის ობიექტის ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს. ასეთ შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია აღნიშნული საფუძვლის დადგომიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში გაუგზავნოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინება მიერთების მაძიებელს.

4. მიერთების მეორე ეტაპის საფასურის ოდენობა დამოკიდებულია მოთხოვნილი ძაბვის საფეხურზე და მიერთების სქემაზე. მიერთების მეორე ეტაპის საფასურის ოდენობა ძაბვის საფეხურებისა და მიერთების სქემების მიხედვით, მოცემულია წინამდებარე წესების დანართებში №11 და №12. გადაცემის ლიცენზიატის კუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის შემთხვევაში, მიერთების მეორე ეტაპის საფასური წარმოადგენს დანართებით №11 და №12 შესაბამის ძაბვის საფეხურზე ელექტროგადამცემი ხაზისა მშენებლობისა და უჯრედის მოწყობისათვის გათვალისწინებული საფასურების ჯამს. იმ შემთხვევაში, თუ გადამცემ ქსელზე მიერთების სქემა ითვალისწინებს განმცხადებლის ობიექტის ალტერნატიულ ელექტრომომარაგებასაც, მიერთების მეორე ეტაპის საფასური განისაზღვრება ამ პუნქტის შესაბამისად როგორც ძირითადი, ასევე ალტერნატიული ელექტრომომარაგებისათვის გაანგარიშებული მიერთების საფასურების ჯამით.

5. 500, 400, 330 კვ და 6-10 კვ ძაბვაზე მიერთების საფასურის მეორე ეტაპის გამოთვლა ხდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ ამ წესების მე-7 მუხლის მე-7 ან მე-8 პუნქტებით გათვალისწინებულ სამუშაოებს. შესაბამისად, მიერთების მეორე ეტაპის საფასური წარმოადგენს ამ სამუშაოების საფასურს. აღნიშნულ სამუშაოებს ახორციელებს გადაცემის ლიცენზიატი.

6. მიერთების პირველი ეტაპისთვის განსაზღვრული საქმიანობის ამ წესების დანართში №10 განსაზღვრულ ვადებში შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია მიერთების მაძიებელს დაუბრუნოს მიერთების პირველი ეტაპისთვის გადახდილი საფასური.

7. მიერთების მაძიებლის ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთება, დანადგარების ტესტირების და საექსპლუატაციოდ გამზადების ჩათვლით, უნდა მოხდეს მიერთების ხელშეკრულების მოქმედების ვადაში.

8. მიერთების ხელშეკრულების მხარეებს უფლება არ აქვთ, დაუსაბუთებლად განაცხადონ უარი მიერთების თაობაზე ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე.

9. მიერთების შესახებ ხელშეკრულების გაუქმების (ვადის გასვლის) შემდგომ, თუ გადამცემ ქსელზე მიერთება არ განხორციელდა განმცხადებლის (მიერთების მაძიებლის) მიზეზით, მიერთების მაძიებელი ვალდებულია, ხელახლა მიმართოს განაცხადით გადაცემის ლიცენზიატს და თავიდან გაიაროს წინამდებარე წესებით განსაზღვრული ყველა პროცედურა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

მუხლი 11[3]. საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მიერთება

1. სამინისტრო უფლებამოსილია, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მიერთების მიზნით, ამ მუხლით დადგენილი წესით, მიერთების სპეციალური განაცხადით მიმართოს ელექტროენერგიის გადაცემის შესაბამის ლიცენზიანტს. მიერთების სპეციალური განაცხადის ფორმას შეიმუშავებს გადამცემი სისტემის ოპერატორი და დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიას.

2. მიერთების სპეციალურ განაცხადზე ვრცელდება ამ წესების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები, გარდა ამავე პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტებით დადგენილი მოთხოვნებისა. მიერთების სპეციალურ განაცხადში დამატებით მიეთითება საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის მოწონების შესახებ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების რეკვიზიტები.

3. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიანტი მიერთების სპეციალურ განაცხადს განიხილავს ამ წესების მე-9 მუხლით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ამ მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

4. ამ წესების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ამ მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, ელექტროენერგიის გადაცემის შესაბამის ლიცენზიანტსა და სამინისტროს შორის, იდება მიერთების სპეციალური ხელშეკრულება.

5. საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულებით შესაბამისი პირობის გათვალისწინების შემთხვევაში, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესში გამარჯვებული მონაწილე წარმოადგენს სამინისტროს უფლებამონაცვლეს მიერთების სპეციალურ ხელშეკრულებაში, რის შესახებაც სამინისტრო დაუყოვნებლივ აცნობებს გადაცემის ლიცენზიანტს.

6. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ელექტროენერგიის გადამცემ ქსელზე მიერთების ორივე ეტაპის საფასურს იხდის „საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შერჩევის პროცესში გამარჯვებული მონაწილე, შესაბამისი საჯარო და კერძო თანამშრომლობის ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის ვადაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.06.2021 წ.

მუხლი 12. ტექნიკური პროექტის შეთანხმება

1. ამ წესების მე-7 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების გათვალისწინებით, განმცხადებელი (მიერთების მაძიებელი) ან/და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელზე მიერთების მეორე ეტაპის განმავლობაში, გაცემული ტექნიკური პირობისა და მიერთების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად მოამზადოს ტექნიკური პროექტი და წარუდგინოს იგი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესათანხმებლად.
2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ტექნიკური პროექტის წარდგენიდან 20 სამუშაო დღის ვადაში შეითანხმოს იგი ან, საჭიროების შემთხვევაში, მისცეს მიერთების მაძიებელს ან გადაცემის ლიცენზიატს კონკრეტული შენიშვნები.
3. იმ შემთხვევაში, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ტექნიკური პროექტის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში არ მიაწვდის შენიშვნებს მიერთების მაძიებელს ან/და გადაცემის ლიცენზიატს - ტექნიკური პროექტი შეთანხმებულად ჩაითვლება.
4. ტექნიკური პროექტის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, თუ შენიშვნები გამოსწორებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება არ აქვს გამოთქვას შენიშვნა პროექტის იმ კომპონენტებზე, რომელიც წარმოდგენილი იყო პროექტის თავდაპირველ ვერსიაში და არ შეცვლილა. ასეთ შემთხვევაში, სხვა შენიშვნებისა თუ პირობების არარსებობისას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ითანხმებს განმეორებით წარმოდგენილ პროექტს.
5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ტექნიკური პროექტის შეთანხმება ნიშნავს, რომ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი იღებს პასუხისმგებლობას პროექტში ასახულ მხოლოდ გადამცემ ქსელთან განმცხადებლის ობიექტის მიერთებისთვის დადგენილ პირობების ნაწილზე და ამ პირობების „ქსელის წესებით“ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ტექნიკური პროექტის შეთანხმება ხდება წერილობითი სახით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

მუხლი 12[1]. მიერთების წერტილის სქემები და ნახაზები

1. მიერთების წერტილის სქემები და ნახაზები წარმოადგენს ტექნიკური პროექტის ნაწილს. იგი მზადდება ყოველი მისაერთებელი ელექტრომოწყობილობა-დანადგარისათვის და მოიცავს პროექტირების ნორმებით განსაზღვრულ ყველა საჭირო ნახაზს.
2. განმცხადებელი და გადაცემის ლიცენზიატები ამზადებენ და ერთმანეთს წარუდგენენ მიერთების წერტილამდე მათ მხარეს არსებული ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარის ნახაზსა და სქემას, რომელიც მზადდება მიერთების ხელშეკრულებისა და ტექნიკური პირობის მოთხოვნების შესაბამისად.
3. გადაცემის ლიცენზიატი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებით, ამზადებს და გადასცემს განმცხადებელს მიერთების წერტილამდე გადაცემის ლიცენზიატის მხარეს არსებული განმცხადებლისათვის აუცილებელი ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ნახაზებსა და სქემებს, მიერთების ხელშეკრულების ან ტექნიკური პროექტის მოთხოვნების შესაბამისად.
4. თუ მიერთების წერტილი განმცხადებლის მფლობელობაში არსებულ ობიექტზეა, მიერთების უჯრედის ნახაზებს ამზადებს განმცხადებელი, ყველა სხვა შემთხვევაში მიერთების უჯრედის ნახაზებს ამზადებს გადაცემის ლიცენზიატი. მიერთების უჯრედის ნახაზები უნდა შეთანხმდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან.
5. მიერთების წერტილის ნახაზები და სქემები ზუსტად უნდა ასახავდეს მიერთების წერტილში პირველადი და მეორადი კომუტაციის ელექტრულ მიერთებებსა და მასთან დაკავშირებულ მოწყობილობებს.
6. მიერთების წერტილების ნახაზების შტამპი უნდა მოიცავდეს უფლებამოსილი პირების სახელებსა და გვარებს, თარიღებსა და ხელმოწერებს.
7. ამ მუხლის შესაბამისად შეთანხმებული მიერთების წერტილების სქემები და ნახაზები დაერთვება ტექნიკურ პროექტს. მიერთების წერტილის სქემებისა და ნახაზების თითო ეგზემპლარი ინახება თითოეულ მხარესთან.
8. გადაცემის ლიცენზიატისა და განმცხადებლის მიერ მიერთების წერტილის ნახაზების მომზადების ის საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ქსელის წესებით (პროცედურები, ვადები, გაფორმების სტანდარტები და სხვა) საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით აისახება მიერთების ხელშეკრულებაში.
9. მიერთების წერტილის ნახაზები გამოყენებულ უნდა იქნეს მიერთების ობიექტთან დაკავშირებით განსახორციელებელი სამშენებლო, საექსპლუატაციო, სარემონტო თუ საპროექტო სამუშაოების დროს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016წ.

მუხლი 13. განმცხადებლის ობიექტის გადამცემ ქსელზე მიერთება (ექსპლუატაციაში მიღება)

1. განმცხადებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციაში გაშვების წინ აუცილებელია ჩატარდეს წინასწარი ტესტირება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მითითებების შესაბამისად. განმცხადებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციაში მიღების პროცედურები განისაზღვრება ამ წესების 138-ე-144-ე, 201-ე-204-ე, 292-ე-295-ე და 297-ე - მე-300 მუხლების შესაბამისად.

2. (ამოღებულია - 26.10.2021, №43).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 14. (ამოღებულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 15. (ამოღებულია)

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 16. ჰარმონიკული დამახინჯება

1. გადამცემ ქსელზე მიერთებული ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარი გათვლილი უნდა იყოს ჰარმონიკული დამახინჯების დასაშვები დონეებისთვის.

2. გადამცემ ქსელზე მიერთებული არცერთი ელექტრომოწყობილობა-დანადგარი არ უნდა იწვევდეს გადამცემ ქსელში ძაბვის ჰარმონიკულ დამახინჯებას 1.5%-ზე მეტით, ხოლო ცალკეული ჰარმონიკების შემთხვევაში – 1%-ზე მეტით.

მუხლი 17. ძაბვის ასიმეტრია

1. მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარმა არ უნდა გამოიწვიოს გადამცემ ქსელზე მიერთების წერტილებში, უქმი სვლიდან ნომინალურ დატვირთვამდე ფაზათაშორისი ძაბვის ასიმეტრია ერთ პროცენტზე (1%) მეტით.

მუხლი 18. ძაბვის რხევა და ციმციმი

1. მოსარგებლემ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) ძაბვის რხევა მისი ელექტრომოწყობილობა-დანადგარის მიერთების ნებისმიერ წერტილში, დატვირთვის ცვლილების დროს არ აღემატებოდეს ძაბვის ნომინალური სიდიდის ერთ პროცენტს (1%);

ბ) მიერთების წერტილში ძაბვის ციმციმი არ უნდა აღემატებოდეს P_{st}=0.8 და P_{lt}=0.6 ზღვრებს, 95%-ის სანდოობის ინტერვალით, გაზომვების ერთი კვირის განმავლობაში.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გადაწყვეტილებით ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძაბვის ნებისმიერი ცვალებადობა შეიძლება ნებადართული იყოს არაუმეტეს სამ პროცენტამდე (3%), იმ პირობით, თუ ეს საფრთხეს არ უქმნის გადამცემ ქსელს ან გადამცემ ქსელზე მიერთებულ სხვა მოსარგებლეებს.

მუხლი 19. ძაბვის ცვალებადობა გარდამავალი რეჟიმის დროს

1. განმცხადებლის ქსელის დაპროექტებისას და არსებულის ექსპლუატაციისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ზომები, რომლებიც ამცირებენ გარდამავალი რეჟიმის ზემოქმედებას გადამცემ ქსელზე.

მუხლი 20. ნეიტრალის დამიწების რეჟიმი

1. 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის ძალოვან ტრანსფორმატორს უნდა გააჩნდეს ნეიტრალის დამიწების მოწყობილობა. მიწასთან მოკლე შერთვის დასაშვები კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 1.4-ს. კოეფიციენტის ზუსტი სიდიდე უნდა განისაზღვროს ტექნიკურ პირობაში ან/და ტექნიკურ პროექტში ასახული გაანგარიშების საფუძველზე. მიერთების შემდგომ კოეფიციენტის დასაშვებ ზღვრებში ცვლილება უნდა შეთანხმდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

მუხლი 21. ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაცია

1. მოსარგებლემ ელექტრომოწყობილობა-დანადგარის გადამცემ ქსელზე მიერთების თითოეული წერტილი უნდა უზრუნველყოს საკომუტაციო მოწყობილობით.

2. მოსარგებლე უნდა ფლობდეს და ექსპლუატაციას უწევდეს მიერთების წერტილიდან თავის მხარეზე არსებულ ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარს.

3. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, ფლობდეს და ექსპლუატაცია გაუწიოს გადამცემ ქსელს მიერთების წერტილის ჩათვლით.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ოპერატიულად მართოს გადამცემი ქსელი და მასზე მიერთებული ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარი მოსარგებლესთან შეთანხმების შესაბამისად.

5. მოსარგებლე ვალდებულია, შეასრულოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის განკარგულება წარმოებული ან მოხმარებული სიმძლავრისა და ელექტროენერგიის მართვის უზრუნველსაყოფად.

6. მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხიმგებლობა ეკისრება მოსარგებლეს.

მუხლი 22. ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვა და ავტომატიკა

1. მოსარგებლე ვალდებულია გადამცემ ქსელზე მიერთებული მის მფლობელობაში არსებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარები აღჭურვოს შესაბამისი რელეური დაცვისა და ავტომატიკის საშუალებებით, იანგარიშოს შესაბამისი მოკლე შერთვის დენები და დაცვის დანაყენები. ანგარიშისთვის საჭირო პარამეტრებს მოსარგებლეს აწვდის შესაბამისი სისტემის ოპერატორი.

2. ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვისა და ავტომატიკის სქემებსა და პარამეტრებს ითანხმებს და მათი მუშაობის დანაყენებს ამტკიცებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

3. რელეური დაცვის სქემებმა უნდა უზრუნველყონ დაზიანებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების სწრაფი და სელექტიური გამორთვა გადამცემი ქსელიდან. ამ სქემების ზოგად მოთხოვნებს ითვალისწინებს ეს წესები, ხოლო მათი კონკრეტიზაცია, განმცხადებლის მისაერთებელი ობიექტის ინდივიდუალური მახასიათებლების მიხედვით, განხორციელდება ტექნიკურ პირობაში ან/და შესაბამის ტექნიკურ პროექტში.

4. გადამცემ ქსელზე მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვისა და ავტომატიკის საშუალებებს მათი საპასპორტო მონაცემებისა ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის შესაბამისად უნდა ჩაუტარდეს ტესტირება სწრაფმოქმედებისა და სელექტიურობის დადგენილი დონის უზრუნველსაყოფად.

5. ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვისა და ავტომატიკის სწორი და წარმატებული მოქმედების უნარი, რელეური დაცვისა და ავტომატიკის საიმედოობის მაჩვენებლის მიხედვით უნდა აღემატებოდეს 99%-ს.

6. რელეური დაცვისა და ავტომატიკის მეშვეობით გადამცემ ქსელზე მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ამორთვის დრო (რელეური დაცვისა და ავტომატიკის ამუშავების მიზეზის წარმოშობიდან, ამომრთველის მიერ ელექტრული რკალის ჩაქრობამდე) არ უნდა აღემატებოდეს ცხრილში მოცემულ მაჩვენებლებს.

ქსელის ძაბვა	გათიშვის დრო
330 კვ და უფრო მაღალი	80 მილიწამი

220 კვ	100 მილიწამი
110 კვ	120 მილიწამი

7. ალბათობა იმისა, რომ ელექტრომოწყობილობა-დანადგარის გათიშვას დასჭირდება ამ მუხლის მე-6 პუნქტში განსაზღვრულზე მეტი დრო, უნდა იყოს ერთ პროცენტზე (1%) ნაკლები.

8. ამომრთველის მოქმედების უარის შემთხვევაში, მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარები და გადაცემის ლიცენზიატის გადამცემი ქსელი მიერთების წერტილებში აღჭურვილი უნდა იყოს ამომრთველის უარის რეზერვირების ავტომატიკით, რომელიც არაუმეტეს 300 მილიწამში გათიშავს სალტეზე მიერთებულ ყველა შესაბამის ამომრთველს.

9. მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რელეური დაცვისა და ავტომატიკის მუდმივი და ცვლადი დენის წრედებში სამუშაოების ჩატარება მოსარგებლის მიერ ან მისი სახელით დაუშვებელია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ნებართვის გარეშე.

10. ამ წესების მოთხოვნების ფარგლებში, განმცხადებლის მისაერთებელი ობიექტის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით, ტექნიკური პირობით ან/და ტექნიკური პროექტით განისაზღვრება მოსარგებლის ქსელში ავტომატური განმეორებითი ჩართვის ელექტრომოწყობილობის დამონტაჟების აუცილებლობა და პირობები.

11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია:

ა) დაამონტაჟოს სასისტემო ავტომატიკა, სისტემური ავარიის თავიდან აცილების მიზნით;

ბ) განახორციელოს მომხმარებელთა გათიშვები სიხშირის და ძაბვის ზვავისებური ვარდნის თავიდან აცილების მიზნით.

12. გენერაციის ობიექტი აღჭურვილი უნდა იყოს დაცვის სისტემით, რომელიც აგზნების დაკარგვის შემთხვევაში გამორთავს შესაბამის გენერატორს.

13. სისტემური საჭიროებიდან გამომდინარე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, ელექტროენერგიის მწარმოებლისაგან მოითხოვოს ასინქრონული რეჟიმისგან დაცვის სისტემის დაყენება მათ ენერგობლოკებზე/აგრეგატებზე, რაც უნდა აისახოს ტექნიკურ პირობაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.

მუხლი 23. განმცხადებლის ელექტროსადგურისათვის დადგენილი მოთხოვნები

1. ნომინალური სიმძლავრის კოეფიციენტის მნიშვნელობები ელექტროსადგურების ენერგობლოკების/აგრეგატებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგ საზღვრებში:

არაოფიციალური ვერსია

დასახელება	cosφ
თბოსადგურები	0.85-0.90
ჰიდროსადგურები	0.80-0.85

1[1].ელექტროსადგურები დადგმული სიმძლავრისა და მათდამი წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად იყოფა A, B, C, D ტიპის ელექტროსადგურებად. ელექტროსადგურების ტიპები მოცემულია ამ წესების დანართ №31-ში, ხოლო მათდამი წაყენებული მოთხოვნები წარმოდგენილია №32-ე დანართის ცხრილებში.

1[2]. (ამოღებულია - 26.10.2021, №43).

2. გენერატორს უნდა შეეძლოს, მიაწოდოს ნომინალური აქტიური სიმძლავრე გენერატორის სალტეზე.

3. (ამოღებულია - 26.10.2021, №43).

4. ნორმალურ რეჟიმში, ამ წესების 30-ე დანართში განსაზღვრულ ზღვრებში ძაბვის ცვალებადობა ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს გენერატორის სალტეზე მიწოდებულ აქტიური სიმძლავრის სიდიდეზე.

5. ამწევი ტრანსფორმატორის გადამრთველი, საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორი და გენერატორის აგზნების სისტემა უნდა დაპროექტდეს და შეირჩეს ისე, რომ გენერატორმა იმუშაოს გადამცემი ქსელის ნომინალურ ძაბვაზე და შეძლოს რეაქტიული სიმძლავრის რეგულირება გენერატორის სიმძლავრის მახასიათებლი მრუდის შესაბამისად. გენერატორის რეაქტიული სიმძლავრე არ უნდა შეიზღუდოს მთავარი ან დამხმარე ელექტრომოწყობილობების საკონტროლო დაცვის სისტემებითა და შეუთანხმებელი ოპერატიული ჩარევით.

6. გენერატორს უნდა შეეძლოს რეაქტიული სიმძლავრის მოხმარების რეჟიმში გადასვლა მისი სიმძლავრის მახასიათებელი მრუდის მიხედვით, გადამცემ ქსელთან მუშაობის მდგრადობის შენარჩუნების გათვალისწინებით.

7. ნორმალურ პირობებში გენერატორის რეაქტიული სიმძლავრის მიწოდება გენერატორის სალტეზე, აქტიური სიმძლავრის ნომინალური სიდიდის შენარჩუნებით, უნდა უზრუნველყოფდეს ძაბვის დონის შენარჩუნებას ნომინალურიდან ± 5% ინტერვალში და გადამცემ ქსელთან მდგრადი მუშაობის შენარჩუნებას.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია წინასწარ შერჩეული ელექტროსადგურისაგან მოითხოვოს სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის უზრუნველყოფა. ასეთი ელექტროსადგურები სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენას ახორციელებენ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა მიმართოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში, ელექტროსადგური ვალდებულია მოთხოვნისთანავე დაუშვას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წარმომადგენელი

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის პროცესის ტესტირებისა და გამოკვლევის პროცესში მონაწილეობის მისაღებად.

9. (ამოღებულია - 26.10.2021, №43).

10. ენერგობლოკი/აგრეგატი აღჭურვილი უნდა იყოს სიჩქარის რეგულირების სისტემით, ნორმალურ პირობებში სიმძლავრის რეგულირებით სიხშირის ცვლილების მიმართ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

11. ელექტროენერგიის მწარმოებელს გადამცემი სისტემის ოპერატორთან წინასწარი შეთანხმების გარეშე არ აქვს უფლება შეცვალოს სიჩქარისა და სიხშირის რეგულატორის დანაყენები.

11^1. 10 მგვტ და მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების (აგრეთვე მარეგულირებლის სტატუსის მქონე ნებისმიერი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების) ჰიდროაგრეგატის სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემამ უნდა უზრუნველყოს დატვირთვის ცვლილება არანაკლებ 3,33%/წმ სიჩქარით.

11^2. ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისგან ელექტროენერგიის მწარმოებლის გათავისუფლება შესაბამისი არსებული ჰიდროაგრეგატის ნაწილში დასაშვებია შემდეგ შემთხვევებში:

ა) ზემოაღნიშნული სიჩქარის პარამეტრი იზღუდება ქარხანა-დამამზადებლის საპასპორტო პირობებით ან/და –

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლის მიერ წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში ცალსახად და არაორაზროვნად არის მითითებული შემდეგი ორივე გარემოების არსებობის შესახებ:

ბ.ა) ჰიდროაგრეგატს არ შეუძლია აღნიშნული პარამეტრის დაცვა;

ბ.ბ) საექსპერტო კვლევის ფარგლებში ჩატარებული ხარჯსარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ აღნიშნული პარამეტრის მიღწევა დაკავშირებულია არაგონივრულად დიდ და გაუმართლებელ ხარჯებთან და აქედან გამომდინარე – ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

11^3. ამ მუხლის 11^1 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნისგან ელექტროენერგიის მწარმოებლის გათავისუფლება შესაბამისი ახალი ჰიდროაგრეგატის (გარდა მარეგულირებლის სტატუსის მქონე ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროაგრეგატებისა) ნაწილში დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელექტროენერგიის მწარმოებლის მიერ პროექტირების ეტაპზე წარმოდგენილ საექსპერტო დასკვნაში ცალსახად და არაორაზროვნად არის მითითებული ამ მუხლის 11^2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ.

11^4. ამ მუხლის 11^2 და 11^3 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით 3,33%/წმ სიჩქარის პარამეტრის მოთხოვნისგან ელექტროენერგიის მწარმოებლის გათავისუფლების შემთხვევაში, შესაბამისი ჰიდროაგრეგატის მიერ დასაცავ სიჩქარის პარამეტრად მიიჩნევა:

ა) არსებული ჰიდროაგრეგატის შემთხვევაში – შესაბამის საექსპერტო დასკვნასა და ქარხანა-დამამზადებლის მიერ გაცემულ საპასპორტო პირობებში მითითებულ პარამეტრებს შორის უფრო ნელი სიჩქარის პარამეტრი;

ბ) ახალი ჰიდროაგრეგატის შემთხვევაში – შესაბამის საექსპერტო დასკვნაში მითითებული სიჩქარის პარამეტრი.

11^5. ამ მუხლის 11^2 და 11^3 პუნქტებით გათვალისწინებული საექსპერტო დასკვნა გაცემული უნდა იყოს შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრედიტებული ორგანოს/პირის მიერ.

11^6. ამ მუხლის 11^2 – 11^4 პუნქტების მიზნებისთვის, არსებულ ჰიდროაგრეგატად ითვლება ის ჰიდროაგრეგატები, რომელთა მიმართაც ტექნიკური პირობა გაცემულია ამ მუხლის 11^1 – 11^5 პუნქტების ძალაში შესვლამდე, ხოლო ახალ ჰიდროაგრეგატებად – რომელთა მიმართ ტექნიკური პირობა გაიცემა ამ მუხლის 11^1 – 11^5 პუნქტების ძალაში შესვლის შემდეგ.

12. ავტონომიურ რეჟიმში მუშაობა მოეთხოვება C და D ტიპის ელექტროსადგურებს. ავტონომიურ რეჟიმში მუშაობის დროს C ტიპის ელექტროსადგურის გენერატორის სიჩქარის რეგულირების სისტემას უნდა შეეძლოს იმუშაოს 47.0 ჰც - 53.0 ჰც სიხშირის ფარგლებში, ხოლო D ტიპის ელექტროსადგურის გენერატორის სიჩქარის რეგულირების სისტემას ასევე უნდა შეეძლოს იმუშაოს 45.0 ჰც – 55.0 ჰც სიხშირის დიაპაზონში, თუ არ იზღუდება დამამზადებლის საპასპორტო პირობებით.

13. თითოეულ გენერატორს, გარდა A ტიპის ელექტროსადგურისა, უნდა ჰქონდეს სწრაფმოქმედი აგზნებისა და ძაბვის ავტომატური რეგულირების სისტემები, რომლებიც ელექტროსადგურის გენერატორის სალტეზე ფაქტფაქტობრივ ძაბვას აკონტროლებენ და მუდმივად ჩართულნი არიან მოქმედებაში.

14. ძაბვის ავტომატური რეგულირების სისტემამ დანაყენების ± 0.5% -იანი სიზუსტით უნდა უზრუნველყოს გენერატორის სტაბილური ძაბვის შენარჩუნება ამ წესების 40^2 მუხლში მოცემულ ძაბვის ზღვრებში, ისე რომ შენარჩუნებული იყოს გენერატორის სტატიკური მდგრადობა.

15. სტატიკური აგზნების შემთვევაში, აღმგზნების ძაბვის ზედა ზღვარი მინიმუმ ორჯერ, ხოლო მოსრიალე კონტაქტების გარეშე აგზნებების შემთხვევაში 1.6-ჯერ უნდა აღემატებოდეს გენერატორის აგზნების ნომინალურ ძაბვას. აგზნების სისტემას უნდა შეეძლოს ზედა ზღვრული ძაბვის შენარჩუნება არანაკლებ10 წამის განმავლობაში.

16. ყველა გენერატორი აღჭურვილი უნდა იყოს ძაბვისა და აგზნების ავტომატური რეგულირების და რეაქტიული სიმძლავრის შემზღუდავი მოწყობილობით. ელექტროენერგიის მწარმოებელს არ აქვს უფლება, აგზნების მოწყობილობა გადაიყვანოს ავტომატურიდან ხელით მართვის რეჟიმზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წინასწარი თანხმობის გარეშე.

17. რეაქტიული სიმძლავრის დისპეტჩირების მიზნით გენერაციის ობიექტის სამაღლებელ ტრანსფორმატორებს უბდა გააჩნდეს ხვიათა გამომყვანების გადამრთველები. ტრანსფორმაციის

კოეფიციენტი, გადამრთველების დიაპაზონი და ბიჯის სიდიდე სრულად უნდა აკმაყოფილებდეს რეაქტიული სიმძლავრისათვის ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

18. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, მიიღოს აღრიცხვის კონტროლის და ელექტროსადგურის სხვა მონაცემები, რომლებიც მას შესაძლოა დასჭირდეს კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით.

19. ამ წესების 30-ე დანართში მოცემულ ძაბვების ცვალებადობის დიაპაზონში და გადამცემ ქსელში ერთ ან რამდენიმე ფაზაზე მოკლე ჩართვისას, ელექტროსადგურს უნდა შეეძლოს უწყვეტი მუშაობა, რომელთა შედეგადაც მიერთების წერტილებში ძაბვა შეიძლება დაეცეს 500 მილიწამის განმავლობაში ნომინალური ძაბვის 0-დან 80%-მდე, ხოლო მომდევნო ერთი (1) წამის მანძილზე ძაბვის ცვალებადობა იყოს ნომინალური ძაბვის 80-110%-მდე დიაპაზონში, რის შემდეგაც ძაბვა კვლავ აღდგება ნომინალური ძაბვის 90-110%-მდე.

20. უკუმიმდევრობის დენების წარმოშობისას გენერატორს უნდა შეეძლოს მუშაობა საქართველოში აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტში ასახული მოთხოვნების შესაბამისად. გენერატორი არ უნდა გამოირთოს აგრეთვე იმ მინაერთის სარეზერვო დაცვის მოქმედებამდე, რომელზეც მოკლე ჩართვის გამო გადამცემ ქსელში წარმოიშვა უკუმიმდევრობის დენები.

21. გენერატორის ამწევი ტრანსფორმატორის (110 კვ და ზევით) მაღალი ძაბვის გრაგნილი ვარსკვლავისებურად უნდა იყოს ჩართული, ხოლო ნეიტრალი დამიწებული. ამწევი ტრანსფორმატორის ნეიტრალი, როცა ელექტროსადგური ქვესადგურის გვერდით მდებარეობს, მიერთებული უნდა იყოს ქვესადგურის დამიწების კონტურთან.

22. ელექტროსადგურები უნდა იქნეს დაპროექტებული იმგვარად, რომ სიხშირის ცვალებადობამ 121-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულ ფარგლებში არ გამოიწვიოს მათი მწყობრიდან გამოსვლა. ელექტროენერგიის მწარმოებელი პასუხისმგებელია, დაიცვას ენერგობლოკები/აგრეგატები დაზიანებისაგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს სიხშირის აღნიშნულ ზღვრებს გარეთ გასვლამ. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელიდან გათიშვაზე იღებს ელექტროენერგიის მწარმოებელი.

23. გადამცემი ქსელიდან გათიშვის შემდეგ ელექტროსადგური ვალდებულია, იმუშაოს ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ სიხშირის ზღვრებში გამოყოფილ დატვირთვაზე (ავტონომიურ რეჟიმში).

24. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, ელექტროსადგურზე უზრუნველყოს სინქრონიზაციის კონტროლი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მითითებულ ამომრთველებზე, რაც, ელექტროსადგურის კონფიგურაციიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს:

ა) საგენერატორო ამომრთველებს;

ბ) ძალოვანი ტრანსფორმატორის მაღალი ძაბვის ამომრთველს;

გ) ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მაკავშირებელ 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზის ამომრთველს.

25. (ამოღებულია - 26.10.2021, №43).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46- ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 24. მოთხოვნები განაწილების ლიცენზიატებისა და გადამცემ ქსელთან მიერთებული მომხმარებლების მიმართ

1. გადამცემი ქსელის ნომინალურ (110კვ და ზემოთ) ძაბვებზე, გადამცემ ქსელში ჩართული სამფაზა ტრანსფორმატორებისა და ტრანსფორმატორთა ჯგუფების მაღალი ძაბვის გრაგნილებს, რომლებიც ვარსკვლავისებურად არიან შეერთებულნი, უნდა ჰქონდეთ ვარსკვლავისებური კავშირის ნულოვან (ნეიტრალურ) წერტილში დამიწების შესაძლებლობა. დამიწების მიზნით ნეიტრალის გამომყვანი გამოტანილი უნდა იყოს კორპუსის გარეთ.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად, გადაცემის და განაწილების ლიცენზიატებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიხშირული განტვირთვის ავტომატიკით მომხმარებლის გამორთვა.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, მოსარგებლეს მოსთხოვოს სიხშირული განტვირთვის ავტომატიკის დამონტაჟება თავის მხარეს.

4. განაწილების ლიცენზიატები და გადამცემ ქსელზე მიერთებული მომხმარებლები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ, რომ მიერთების წერტილში სიმძლავრის კოეფიციენტი იყოს არანაკლებ 0,85. ამ მიზნით განაწილების ლიცენზიატებმა და გადამცემ ქსელზე მიერთებულმა მომხმარებლებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების გატარება, მათ შორის შესაბამისი საშუალებების მონტაჟი.

5. განაწილების ლიცენზიატებმა დაბალი ძაბვის სისტემაში რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაცია უნდა განახორციელონ დატვირთვის წერტილთან უშუალო სიახლოვეს, ამ წესების 40^2 მუხლში მითითებული ძაბვის ზღვრების შენარჩუნების მიზნით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 24^1. მოთხოვნები მომხმარებლების სიმძლავრის ცვლილებისადმი

1. მოხმარების ობიექტი ქსელთან მიერთებისას და ასევე არსებული მოხმარების ობიექტი სიმძლავრის გაზრდისას, ნორმალური ოპერირების რეჟიმში არ უნდა იწვევდეს სისტემის სიხშირის გადახრას 0.2 ჰც-ზე მეტი სიდიდით სისტემის იზოლირებულ რეჟიმში მუშაობისას.

2. ცვალებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგური (მათ შორის, ქარის და მზის ელ. სადგურები) ქსელთან მიერთებისას და, ასევე, ასეთი ტიპის არსებული სადგური სიმძლავრის გაზრდისას, ნორმალური ოპერირების რეჟიმში აქტიური სიმძლავრის ცვლილებით (არაავარიულ და სიხშირის რეგულირების რეჟიმში) არ უნდა იწვევდეს სისტემის სიხშირის ცვლილებას 0,2 ჰც-ზე მეტად.

3. ახალი მოხმარების ობიექტი და ცვალებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგური ქსელთან მიერთებისას, ასევე არსებული მოხმარების ობიექტი და ცვალებადი ენერგიის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგური სიმძლავრის გაზრდისას, ვალდებულნი არიან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს, მოთხოვნის შემთხვევაში, მიერთების ან/და მოდიფიკაციის განაცხადთან ერთად წარუდგინოს სიმძლავრის მოხმარების/გენერაციის ტიპიური გრაფიკი, სადაც მაქსიმუმ 1 წამიანი გრანულირებით ასახული იქნება მაქსიმალური სიდიდით და სიჩქარით სიმძლავრის ცვლილება, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰჰქონდეს ნორმალურ მუშა პროცესში (არაავარიულ ან/და სიხშირის რეგულირების რეჟიმში).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.

მუხლი 25. მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარის ოპერატიულ მართვასთან, ტექმომსახურებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები

1. მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარის მართვისა და ტექმომსახურების პასუხისმგებლობა ეკისრება მის მფლობელს.

2. ნებისმიერი მოსარგებლე, რომლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარები მდებარეობს გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში, მათზე სამუშაოების შესასრულებლად ვალდებულია,

დაიცვას გადაცემის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დადგენილი ინსტრუქციები და მოთხოვნები.

3. თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და/ან გადაცემის ლიცენზიატი ასრულებს სამუშაოებს საკუთარ ელექტრომოწყობილობა-დანადგარებზე, რომლებიც განთავსებულია მოსარგებლის ობიექტზე, იგი ვალდებულია, დაიცვას ამ ობიექტისთვის დადგენილი უსაფრთხოების ინსტრუქციები და მოთხოვნები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

მუხლი 26. ობიექტისა და ელექტრომოწყობილობა-დანადგარების იდენტიფიკაცია

1. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, საჭიროების მიხედვით მიაწოდოს თითოეულ მოსარგებლეს ინფორმაცია თავისი ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ნომენკლატურისა და ნუმერაციისა სისტემის შესახებ. მოსარგებლე ვალდებულია, გამოიყენოს აღნიშნული ნუმერაციის სისტემა თავის ელექტრომოწყობილობა-დანადგარებთან მიმართებაში.

2. ის მხარე, რომელიც ახორციელებს ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მონტაჟს, პასუხისმგებელია, უზრუნველყოს საკუთარ ობიექტზე მკაფიო და არაორაზროვანი ფირნიშების არსებობა, ობიექტისა და ელექტრომოწყობილობა-დანადგარის იდენტიფიკაციის მიზნით.

3. ელექტრომოწყობილობა-დანადგარის თითოეული კომპონენტის ნუმერაცია ნაჩვენები უნდა იყოს ობიექტის ელექტრულ სქემაზე.

მუხლი 27. ობიექტებზე დაშვება

1. გადაცემის ლიცენზიატისა და მოსარგებლის ობიექტებზე დაშვებასთან დაკავშირებული დებულებები განისაზღვრება ამ წესებითა და მიერთების ხელშეკრულებით.

2. მოსარგებლე უზრუნველყოფს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და გადაცემის ლიცენზიატის, აგრეთვე კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანიზაციების წარმომადგენლების დაუბრკოლებელ დაშვებას (მათი ხელსაწყოების, ელექტრომოწყობილობებისა და სატრანსპორტო საშუალებების ჩათვლით) მიერთების უჯრედზე (მიერთების წერტილის მოსარგებლის ობიექტზე არსებობის შემთხვევაში) და მოსარგებლის შენობა-ნაგებობების შიგნით არსებულ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და/ან გადაცემის ლიცენზიატის აპარატურაზე.

3. გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურზე არსებული მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დისპეტერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს, შეამოწმოს ასეთ ელექტრომოწყობილობა-დანადგარებთან დაკავშირებული ტესტირების შედეგები და ტექნიკური მომსახურების ჩანაწერები ნებისმიერ დროს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს აგრეთვე აქვს

უფლება, შეამოწმოს მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარები მიერთების წერტილში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

4. მოსარგებლის ობიექტზე არსებული გადაცემის ლიცენზიატის ყველა ელექტრომოწყობილობა-დანადგარის ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გადაცემის ლიცენზიატი და მოსარგებლე ვალდებულნი არიან, გამოყონ პერსონალი უსაფრთხოების საჭირო ზომების მიღებისა და ოპერატიული საქმიანობის განხორციელების მიზნით.

თავი II[1]. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის წესი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 22 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 29.04.2020 წ.

მუხლი 27[1]. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის ზოგადი პირობები

1. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის წესი (შემდგომში – მიერთების მოდიფიკაციის წესი) განსაზღვრავს გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციისა და ქსელით სარგებლობის ძირითად ტექნიკურ-ორგანიზაციულ პირობებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის, გადაცემის ლიცენზიატისთვის და განმცხადებლისთვის.

2. მიერთების მოდიფიკაციის წესის მიზანია, უზრუნველყოს გადამცემი ქსელისა და ამ ქსელთან მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაცია და ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილური მუშაობა მისი შეცვლილი გარემოებებისადმი, მიერთების ტექნიკური პირობის მოთხოვნებისა და პარამეტრებისადმი ცვლილება/მისადაგების გზით;

3. მიერთების მოდიფიკაციის წესის ამოცანებია:

ა) განმცხადებლის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის სამართლიანი და არადისკრიმინაციული წესებისა და სტანდარტების განსაზღვრა;

ბ) მიერთების მოდიფიკაციის წერტილებში გადამცემი ქსელის ნორმალური ფუნქციონირების პირობებისა და პარამეტრების განსაზღვრა;

გ) გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის ტექნიკური გადაწყვეტისა და ექსპლუატაციის კრიტერიუმების განსაზღვრა ეკონომიკური მიზანშეწონილობის (უმცირესი ღირებულების პრინციპის) გათვალისწინებით.

მუხლი 27[2]. ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები

1. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის წესები და მოთხოვნები ვრცელდება იმ ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციაზე, რომელიც უკვე არის მიერთებული ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან და ხდება ქსელთან მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური მახასიათებლების შეცვლა (გაუმჯობესება) ან ახლის დამატება, კერძოდ:

ა) ქვესადგურის სქემის ცვლილება;

ბ) გადამცემ ქსელთან მიერთების სიმძლავრის გაზრდა;

გ) სარეზერვო კვების მოთხოვნა ან მიერთების წერტილის შეცვლა;

დ) ქსელის ელემენტის ან კონფიგურაციის ცვლილება.

2. განმცხადებელმა, რომელსაც სურს გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაცია, ამ წესების 27[3] მუხლით გათვალისწინებული განაცხადით უნდა მიმართოს გადაცემის შესაბამის ლიცენზიატს (რომლის ქსელთან არსებული მიერთების მოდიფიკაციაც სურს განმცხადებელს) და გააფორმოს მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულება დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატებთან.

3. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპი მოიცავს განმცხადებლის მხრიდან ამ წესების 27[3] მუხლის შესაბამისად, გადაცემის ლიცენზიატისთვის განაცხადისა და წინამდებარე წესებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენას, გადაცემის ლიცენზიატის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან აღნიშნული დოკუმენტაციის შეთანხმებასა და განმცხადებლისათვის მიერთების მოდიფიკაციის შეთავაზების წარდგენას;

ბ) გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის მეორე ეტაპი მოიცავს გადაცემის ლიცენზიატს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და განმცხადებელს შორის მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულების ხელმოწერას, მიერთების მოდიფიკაციის ტექნიკური პირობით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას შესაბამისი მხარეების მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებასა და საექსპლუატაციოდ მომზადებას.

4. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაცია ხორციელდება მაშინ, როდესაც ობიექტი გადამცემ ქსელთან მიერთებულია გადაცემის ლიცენზიატის ელექტროგადამცემ ხაზში შეჭრის ან გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურში უჯრედის მოწყობის გზით. გადაცემის ლიცენზიატის ელექტროგადამცემ ხაზზე განშტოებით მიერთების მოდიფიკაციის აუცილებლობის შემთხვევაში, მოდიფიკაციის მსურველი ვალდებულია, წარუდგინოს გადაცემის ლიცენზიატს ახალი მიერთების განაცხადი და მიერთება განახორციელოს ამ წესების მე-7 მუხლით დადგენილი ერთ-ერთი სტანდარტული ვარიანტისა და პირობების მიხედვით.

5. განმცხადებლის ელექტროგადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაცია უნდა განხორციელდეს მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულებაში მითითებულ მიერთების მოდიფიკაციის

უზრუნველყოფის ვადაში, რომელიც განისაზღვრება მხარეთა მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე.

მუხლი 27[3]. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი

1. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის (შემდგომში – მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი) ფორმას შეიმუშავებს დისპეტჩერიზაციის ლიცნზიატი და წარუდგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას დასამტკიცებლად. მიერთების მოდიფიკაციის განაცხადში მოცემული უნდა იყოს შემდეგი გაინფორმაცია:

ა) განმცხადებლის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საბანკო რეკვიზიტები, მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;

ბ) ტექნიკური ინფორმაციის მისაღებად განმცხადებლის მიერ გამოყოფილი პირის საკონტაქტო მონაცემები;

გ) გადამცემ ქსელთან მიერთებული ობიექტის (რომლის მიერთების მოდიფიკაციაც ხორციელდება) დასახელება, გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) კოორდინატები;

დ) ობიექტის საქმიანობის ტიპი (სფერო);

ე) მიერთების მოდიფიკაციის არსი;

ვ) მოთხოვნილი სრული (არსებულის გათვალისწინებით) აქტიური სიმძლავრე - სიმძლავრის გაზრდის შემთხვევაში;

ზ) განმცხადებლის ობიექტის მიერთების მოდიფიკაციის უზრუნველყოფის

სავარაუდო თარიღი;

თ) ობიექტის მისაერთებელი ნომინალური ძაბვის სავარაუდო საფეხური;

ი) სამოდიფიკაციო ობიექტის:

ი.ა) მაქსიმალური არსებული აქტიური დატვირთვა;

ი.ბ) სიმძლავრის კოეფიციენტის მნიშვნელობა.

კ) განმცხადებლის ობიექტზე მოწყობილობა/დანადგარების მოდიფიკაციის შემთხვევაში:

კ.ა) ელემენტის დასახელება;

კ.ბ) ელემენტის მახასიათებელი ნომინალური პარამეტრები;

ლ) დამატებითი ინფორმაციის გრაფა.

მ) განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში – ასევე ალტერნატიული ელექტრომომარაგების აუცილებლობა, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის პრევენციისთვის.

2. მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

3. მიერთების მოდიფიკაციის განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სიმძლავრის გაზრდის შემთხვევაში ობიექტის დღე-ღამური (საათობრივი) ან/და სახასიათო დატვირთვის გრაფიკი;

ბ) ელექტრული ცალხაზოვანი სქემა, ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ელექტრული პარამეტრების მითითებით.

4. განმცხადებელი ვალდებულია, სრულყოფილად შეავსოს მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი დამტკიცებული ფორმის შესაბამისად და წარუდგინოს იმ გადაცემის ლიცენზიატს, რომლის კუთვნილ გადამცემ ქსელთან უნდა მოხდეს არსებული მიერთების მოდიფიკაცია.

5. ამ წესების 27^6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ მოდიფიკაციის პირველი ეტაპის საფასურს განმცხადებელი იხდის მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის შეტანისას.

მუხლი 27^4. მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის განხილვა

1. მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპი იწყება განმცხადებლის მიერ გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის ელექტროენერგიის გადაცემის შესაბამის ლიცენზიატთან რეგისტრაციით.

2. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაამოწმოს წარმოდგენილი განაცხადისა და თანდართული დოკუმენტების შესაბამისობა ამ წესების მოთხოვნებთან (მათ შორის, მოიცავს თუ არა განაცხადი ამ წესების 27^3 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, გადახდილია თუ არა მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპის საფასური და ა.შ.). ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი წერილობით აცნობებს განმცხადებელს ხარვეზის შესახებ და უსაზღვრავს 5 (ხუთი) სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ ხარვეზი მითითებულ ვადაში არ გამოსწორდა, გადაცემის ლიცენზიატი განმცხადებელს უბრუნებს მიერთების მოდიფიკაციის განაცხადს, თანდართულ დოკუმენტაციას და მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპის საფასურს (თუ იგი გადახდილია განმცხადებლის მიერ). განმცხადებლის მიერ გადაცემის ლიცენზიატისთვის განაცხადის განმეორებით წარდგენის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მისი ხელახალი რეგისტრაცია. შესაბამისად, მიერთების მოდიფიკაციის უზრუნველყოფის პერიოდის ათვლა იწყება თავიდან.

3. განმცხადებლის მიერ ხარვეზის დადგენილ ვადაში გამოსწორების შემთხვევაში, მიერთების მოდიფიკაციის უზრუნველყოფის პერიოდში არ ჩაითვლება როგორც გადაცემის ლიცენზიატის მიერ განმცხადებლისათვის მიცემული ხარვეზის გამოსწორების ვადა, ასევე ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიერთების მოდიფიკაციის განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის შემოწმების ვადა.

4. თუ მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის რეგისტრაციიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში განმცხადებელს არ ეცნობება ხარვეზის თაობაზე, მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი მიღებულად ითვლება.

5. ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიერთების მოდიფიკაციის განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის ვადა (მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპი) განისაზღვრება 35 სამუშაო დღით.

6. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის წარმოებაში მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში არსებითად განიხილოს იგი და შესაბამისი ტექნიკური პირობის პროექტი გადაუგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. გადაცემის ლიცენზიატის მიერ მომზადებული ტექნიკური პირობის პროექტში ასახული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) მიერთების მოდიფიკაციის წერტილი და ძაბვის საფეხური;

ბ) მიერთების მოდიფიკაციის სქემა, არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციით ან ახლის დამატებით;

გ) აღრიცხვის უჯრედ(ებ)ის მოწყობის პირობები;

დ) ძალოვანი მოწყობილობების მოწყობის პირობები.

7. მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის განხილვისას, თუ გამოიკვეთება, რომ მოთხოვნილი ცვლილებები არ საჭიროებს ქსელთან მიერთების მოდიფიკაციას, მოდიფიკაციის პროცედურა წყდება, გადახდილი პირველი ეტაპის საფასური განმცხადებელს სრულად უბრუნდება უკან (10 სამუშაო დღის ვადაში), ხოლო მოთხოვნილი ცვლილებების განხორციელებაზე თანხმობა წარედგინება განმცხადებელს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წერილით.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, 20 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს მიერთების მოდიფიკაციის განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, ასევე გადაცემის ლიცენზიატის მიერ მომზადებული ტექნიკური პირობის პროექტი და ტექნიკური პირობის საბოლოო რედაქცია (დადებითი გადაწყვეტილება) ან უარი მიერთების მოდიფიკაციაზე (უარყოფითი გადაწყვეტილება). მიერთების მოდიფიკაციაზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უარყოფითი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ამ წესების 9^1 მუხლით განსაზღვრულ გადამცემ ქსელთან მიერთების მოთხოვნაზე უარის თქმის ტექნიკურ-ეკონომიკურ კრიტერიუმებს.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისგან გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატმა 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში განმცხადებელს

უნდა გაუგზავნოს მიერთების მოდიფიკაციის შეთავაზება ან დასაბუთებული უარი მიერთების მოდიფიკაციის განაცხადის დაკმაყოფილებაზე.

10. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპი სრულდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ განმცხადებლისათვის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის შეთავაზების წარდგენით (რომელიც მოიცავს ამ წესების 27^4 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს) ან დასაბუთებული უარით მიერთების მოდიფიკაციაზე.

11. მიერთების მოდიფიკაციის უზრუნველყოფის პირველი ეტაპის ვადის გაშვება არ ათავისუფლებს ელექტროენერგიის გადაცემის ლიცენზიატს მიერთების მოდიფიკაციის შეთავაზების ან დასაბუთებული უარის წარდგენის ვალდებულებისგან.

12. მიუხედავად იმისა, დაეთანხმება თუ არა განმცხადებელი გადაცემის ლიცენზიატის მიერ წარდგენილ მიერთების მოდიფიკაციის შეთავაზებას ან უარს, გადახდილი პირველი ეტაპის მიერთების საფასური განმცხადებელს უკან არ უბრუნდება.

13. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის უარის შესახებ შეტყობინება ყველა თანდართული დოკუმენტით ასევე გაუგზავნოს კომისიას, რომელიც თავის მხრივ, ამოწმებს უარის დასაბუთებულობას და, შემოწმების შედეგების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ატყობინებს გადაცემის ლიცენზიატსა და განმცხადებელს.

მუხლი 27^5. შეთავაზება მიერთების მოდიფიკაციის შესახებ

1. შეთავაზება მიერთების მოდიფიკაციის შესახებ უნდა მოიცავდეს:

ა) ტექნიკურ პირობას, რომელიც უნდა მოიცავდეს ამ წესების 11^1 მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს;

ბ) მიერთების მოდიფიკაციის სავარაუდო თარიღს;

გ) მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულების პროექტს;

2. მიერთების მოდიფიკაციის თაობაზე ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ შეთავაზებიდან 1 თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეთავაზება (ასევე - ტექნიკური პირობა) ავტომატურად უქმდება. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

3. გადაცემის ლიცენზიატის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი დგინდება მხარეთა შორის გაფორმებული მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულებით, რომელიც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

მუხლი 27[6]. მიერთების მოდიფიკაციის საფასური

1. გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციის პირველი ეტაპის საფასური განისაზღვრება 2500 ლარით დღგ-ის ჩათვლით და გადაიხდება ამ წესების 27[3] მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2. მიერთების მოდიფიკაციის მეორე ეტაპის საფასურის გადახდა ხდება შესაბამისი ლიცენზიატის მიერ 27[5] მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიერთების მოდიფიკაციის სამუშაოების შესრულების შემდეგ, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მიერთების მეორე ეტაპის საფასური განისაზღვრება ლიცენზიატის მიერ მიერთების მოდიფიკაციის მიზნით გაწეული მომსახურების ღირებულებით, რაც დადასტურებულ უნდა იქნეს აუდიტორული დასკვნით. აუდიტორულ დასკვნას ამზადებს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შერჩეული აუდიტორი.

მუხლი 27[7]. მიერთების მოდიფიკაციის ტექნიკური პროექტის შეთანხმება და ობიექტის საექსპლუატაციოდ მომზადება

1. ობიექტის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაციისას, საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება და ობიექტის საექსპლუატაციოდ მომზადება ხორციელდება იმავე პროცედურებისა და პირობების შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრულია ახალი მიერთებისას, ამ წესების II თავით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების მოდიფიკაცია, დანადგარების ტესტირებისა და საექსპლუატაციოდ მომზადების ჩათვლით, უნდა განხორციელდეს მიერთების მოდიფიკაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული მიერთების უზურნველყოფის ვადაში.

3. მოდიფიკაციის ფარგლებში შემენილი/გადაცემული/შექმნილი ქონების საკუთრება განისაზღვრება საბალანსო გაყოფის წერტილის პრინციპით - იმ ელექტრომოწყობილობა-დანადგარის საკუთრებასთან ან/და მფლობელობასთან (მათ შორის ოპერირება, მოვლა-პატრონობა) დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოდიფიკაციის მსურველის მიერ მონტაჟდება გადაცემის ლიცენზიატის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 27[8]. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის პროცედურები და ხელშეკრულება

1. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მსურველმა (შემდგომში - მიერთების აღდგენის მსურველი), რომელსაც სურს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენა, აღდგენის მოთხოვნის შესახებ წერილობით უნდა მიმართოს გადაცემის შესაბამის ლიცენზიატს და გააფორმოს ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის ხელშეკრულება.

2. ელექტროენერგიის გადამცემ ქსელთან ამ მუხლის შესაბამისად მიერთების აღდგენის შესაძლებლობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მიერთების აღდგენის მსურველს.

3. მიერთების აღდგენის მსურველი ვალდებულია, გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მოთხოვნა წარუდგინოს გადაცემის იმ ლიცენზიატს, რომლის კუთვნილი გადამცემი ქსელის ელემენტები/მოწყობილობები უნდა აღდგეს ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან მიერთების აღდგენის მიზნით.

4. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენა არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ გადამცემი ქსელის კონფიგურაცია იმდენად არის შეცვლილი, რომ ობიექტის მიერთების პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა შეუძლებელია ან/და იწვევს ქვესადგურის გაფართოებასთან ან/და გაძლიერებასთან დაკავშირებულ დამატებით ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს (დანახარჯებს) ან/და ხელს უშლის/ზღუდავს ქსელთან მიერთებული ობიექტების სრულფასოვან, საიმედო, უსაფრთხო და ხარისხიან ელექტრომომარაგებას. გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატი ვალდებულია, წარუდგინოს მიერთების აღდგენის მსურველს შესაბამისი დასაბუთება. ასეთ შემთხვევაში, მიერთების აღდგენის მსურველი უფლებამოსილია, წარუდგინოს გადაცემის ლიცენზიატს ახალი მიერთების განაცხადი და მიერთება განახორციელოს ამ წესების მე-7 მუხლით დადგენილი პირობებისა და მიერთების შეთავაზების ერთ-ერთი სტანდარტული ვარიანტის შესაბამისად.

5. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენა ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პირველი ეტაპი მოიცავს მიერთების აღდგენის მსურველის მხრიდან გადაცემის ლიცენზიატისათვის ქსელთან მიერთების აღდგენის მოთხოვნისა და წინამდებარე წესით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენას, აღნიშნული მოთხოვნის ელექტროენერგიის გადაცემის შესაბამის ლიცენზიატთან რეგისტრაციას, გადაცემის ლიცენზიატის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვას, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებას და გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის ხელშეკრულების გაფორმებას;

ბ) მეორე ეტაპი მოიცავს მხარეების მიერ სამუშაოების შესრულებას აღდგენის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მოთხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) მიერთების აღდგენის მსურველის დასახელება, მისი სამართლებრივი ფორმა, მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა;

ბ) აღსადგენი ობიექტის სახელწოდება, მდებარეობა, გლობალური პოზიციონირების სისტემის (GPS) კოორდინატები; საქმიანობის სფერო, პარამეტრები, ტექნიკური მახასიათებლები.

7. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მოთხოვნას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) საკადასტრო ნახაზი ან სქემატური გეგმა;

ბ) ხაზის ქსელთან მიერთების და ამ მიერთების პარამეტრების დამადასტურებელი სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია (მიერთების ტექნიკური პირობა, მიერთების პროექტი, პროექტის შეთანხმების დოკუმენტი), რაც ადასტურებს გადამცემ ქსელთან მიერთების გამართულ ფუნქციონირებას 1998 წლის შემდეგ;

გ) მიერთების ტექნიკური პარამეტრები და სპეციფიკაცია;

დ) შესაძლებლობა, აღდგენილ იქნეს იგივე პარამეტრებით, რომლებიც თანხვედრაშია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

8. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მოთხოვნას გადაცემის ლიცენზიატი არსებითად განიხილავს რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში, რის შემდეგაც დაინტერესებულ მხარეს აცნობებს გადაწყვეტილებას. შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატი უზრუნველყოფს მოცემულ ვადაში გადაწყვეტილების შეთანხმებას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან ან/და მისგან დასაბუთებული მოსაზრებების მიღებას აღდგენის შეუძლებლობის შესახებ.

9. გადაცემის ლიცენზიატის გადაწყვეტილება გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის თაობაზე შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი:

ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის საფუძვლები და აუცილებლობა, ამასთანავე არსებული ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, განხორციელდეს გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენა თავდაპირველი სახით, იმავე პარამეტრებითა და პირობებით, გადაცემის შესაბამისი ლიცენზიატი იღებს დადებით გადაწყვეტილებას გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის თაობაზე, ამზადებს გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის ხელშეკრულების პროექტს ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ხელმოსაწერად წარუდგენს მხარეებს. ხელშეკრულებას ხელს აწერენ როგორც შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატი, ასევე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის მსურველი;

ბ) გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენაზე უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატი დაინტერესებულ მხარეს წერილობით აცნობებს დასაბუთებულ უარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ყველა იმ გარემოებაზე მითითებით, რაც გახდა გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის უარის საფუძველი. გადაწყვეტილებას თან უნდა დაერთოს ყველა ის დოკუმენტი, რომლებსაც განხილვისას დაეყრდნო გადაცემის ლიცენზიატი.

10. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის უარის შესახებ შეტყობინება ყველა თანდართული დოკუმენტით ასევე გაუგზავნოს კომისიას, რომელიც, თავის მხრივ, ამოწმებს უარის დასაბუთებულობას და შემოწმების შედეგების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, ატყობინებს გადაცემის ლიცენზიატსა და მიერთების აღდგენის მსურველს.

11. აღდგენისას სამუშაოები ანაზღაურდება საბალანსო გაყოფის წერტილის შესაბამისად.

12. გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად საკითხებს:

ა) იმ სამუშაოების დეტალურ ჩამონათვალს, რომლებიც აუცილებელია გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის განხორციელებისათვის;

ბ) გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მისი მოქმედების გაგრძელების შესაძლებლობას;

გ) გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენასთან დაკავშირებულ მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს;

დ) ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას;

ე) მხარეთა პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში;

ვ) ინფორმაციას გადამცემ ქსელთან მიერთების აღდგენის სამუშაოების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ;

ზ) აღდგენილ ინფრასტრუქტურაზე საკუთრების უფლების საკითხებს (მათ შორის, შესაბამის ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის პროცედურასა და წესს).

13. გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებას მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ხელშეკრულების პროექტის წარდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეთავაზება ავტომატურად ჩაითვლება ძალადაკარგულად. აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

14. იმ ელექტრომოწყობილობა-დანადგარის საკუთრებასთან ან/და მფლობელობასთან (მათ შორის ოპერირება, მოვლა-პატრონობა) დაკავშირებული საკითხები, რომელიც მიერთების აღდგენის მსურველის მიერ მონტაჟდება გადაცემის ლიცენზიატის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

თავი III
გადამცემი ქსელის დაგეგმვის წესი

მუხლი 28. გადამცემი ქსელის დაგეგმვის წესის მიზნები

1. გადამცემი ქსელის დაგეგმვის წესის (შემდგომში „დაგეგმვის წესი“) მიზანია გადამცემი ქსელის დაგეგმვის პროცედურების, ტექნიკური მოთხოვნების, აგრეთვე ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებსა და მაძიებლებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის პროცედურების განსაზღვრა, გადამცემი ქსელის დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და შემდგომი გაფართოების დაგეგმვის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად.

2. დაგეგმვის წესი განსაზღვრავს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებისა და მაძიებლების პასუხისმგებლობას გადამცემი ქსელის განვითარების გეგმასთან დაკავშირებით;

ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებსა და მაძიებლებს შორის ურთიერთობის მექანიზმებს;

გ) გადამცემი ქსელის დაგეგმვის კრიტერიუმებს და სტანდარტებს, რომელთა დაცვით დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატებმა უნდა უზრუნველყონ გადამცემი ქსელის უსაფრთხო, საიმედო და ეფექტიანი მუშაობა;

დ) იმ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებსაც გადაცემის ლიცენზიატი, მაძიებელი და მოსარგებლე წარუდგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს გადამცემი ქსელის განვითარების დაგეგმვის მიზნით;

ე) იმ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომელსაც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი წარუდგენს გადაცემის ლიცენზიატებს, მაძიებლებსა და მოსარგებლეებს ელექტრომოწყობილობა-დანადგარების შერჩევისათვის.

მუხლი 29. გადამცემი ქსელის დაგეგმვა

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ხორციელდება გადამცემი ქსელის განვითარების გეგმის შემუშავება, მათ შორის ყველა საჭირო კვლევა და შეფასება.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფს გადაცემის ლიცენზიატების, მაძიებლებისა და მოსარგებლეებისაგან მონაცემების შეგროვებასა და კოორდინაციას, აგრეთვე ინფორმაციის გაცვლას მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატორებთან.

3. გადამცემი სისტემის ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს გადამცემი ქსელის განვითარების ერთიანი გეგმა ათწლიანი პერიოდისათვის, რომელსაც წარუდგენს სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ამ თავში აღნიშნულ და სხვა საჭირო ინფორმაციაზე დაყრდნობით შეადგინოს ელექტროენერგიის წარმოება-მოხმარების ათწლიანი საპროგნოზო ბალანსი.

5. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები და მაძიებლები ვალდებულნი არიან, შეასრულონ დაგეგმვასთან დაკავშირებული პირობები, ამ თავის დებულებების შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.06.2021 წ.

მუხლი 30. ძირითადი პრინციპები

1. დაგეგმვის პროცესში სხვა გარემოებებთან ერთად გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) საიმედოობის ტექნიკური მოთხოვნები;

ბ) ეკონომიკური და ოპერატიული მართვის, ტექმომსახურების, რელეური დაცვისა და ავტომატიკის საკითხები;

გ) ელექტროენერგიის წარმოების, მოხმარებისა და განაწილების ობიექტებთან კოორდინაციის საკითხები;

დ) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები.

2. გადამცემი ქსელის განვითარების ერთიანი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს საიმედოობის, ეკონომიკურობის, გარემოს დაცვის, განვითარების პროგნოზების, სისტემათაშორისი კავშირებისა და ადგილობრივი გადამცემი ქსელის დაგეგმვის საკითხებს.

3. ამ წესებში გადამცემი ქსელის საიმედოობის შესაფასებლად გამოიყენება ორი კრიტერიუმი:

ა) ადეკვატურობა – ელექტროენერგეტიკული სისტემის უნარი უწყვეტად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, როგორც ქსელის ელემენტის გეგმიური, ასევე მოულოდნელი გათიშვის პირობებში.

ბ) მდგრადობა - ელექტროენერგეტიკული სისტემის უნარი გაუძლოს შეშფოთებებს, როგორიცაა მოკლე ჩართვა ან ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების მოულოდნელი გათიშვა.

4. დაგეგმვის ეს მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განვითარების სხვადასხვა სცენარებისა და გაუთვალისწინებელი სიტუაციების ალბათობის შეფასებისას.

5. გადამცემი ქსელის განვითარების დაგეგმვის დროს ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებმა და მაძიებლებმა უნდა იხელმძღვანელონ დაგეგმვის კრიტერიუმებითა და სტანდარტებით.

6. განმცხადებლის მხრიდან მიერთების ძვირადღირებული საინჟინრო გადაწყვეტილებების შემოთავაზების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია შესთავაზოს მხარეებს გონივრული ალტერნატივა ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო და უსაფრთხო ფუქციონირების უზრუნველყოფის მოთხოვნების დაცვით.

7. გრძელვადიანი გეგმები ყოველწლიური პერიოდულობით უნდა გადაიხედოს.

8. დაგეგმვის პროცესი უნდა შედგებოდეს შემდეგი ძირითადი ეტაპებისაგან:

ა) მონაცემების შეგროვება;

ბ) მონაცემების დამუშავება;

გ) მოდელირება;

დ) ნაკლოვანების აღმოფხვრის ან შემცირების ოპტიმალური გეგმის შემუშავება;

ე) გადამცემი ქსელის განვითარების ერთიანი გეგმის მომზადება.

9. დაგეგმვის პროცესი უნდა მოიცავდეს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობას წლის სეზონების მიხედვით;

ბ) მოკლევადიან პერიოდში ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის დეტალურ შესწავლას;

გ) გრძელვადიან პერიოდში ელექტროენერგეტიკული სისტემის სტრატეგიული დაგეგმვის მოთხოვნებს.

10. დაგეგმვის პროცესი უნდა დაიწყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის შეფასებით. პოტენციური რისკების გამოვლენის შემთხვევაში, განხორციელდეს რისკების დეტალური ანალიზი, მისი აღმოფხვრის ან შემცირების მიზნით.

11. ელექტროენერგეტიკული სისტემის დაგეგმვის მოკლევადიანი პერიოდი განისაზღვრება 1-დან 5 წლამდე, ხოლო გრძელვადიანი 5-დან 10 წლამდე პერიოდით.

12. ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების გეგმა უნდა იძლეოდეს გამოვლენილი რისკების აღმოფხვრის ან/და შემცირების შესაძლებლობას.

მუხლი 31. გადამცემი ქსელის დაგეგმვისათვის საჭირო მონაცემები

1. განმცხადებლები გადამცემ ქსელში ჩართვამდე და მოსარგებლეები ქსელში ჩართვის შემდგომ, ასევე გადაცემის ლიცენზიატები ვალდებულნი არიან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების დაგეგმვის უზრუნველსაყოფად წარუდგინონ ინფორმაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და განსაზღვრული პერიოდულობის მიხედვით.

2. განაწილების ლიცენზიატები, ელექტროენერგიის მწარმოებლები ნებისმიერი სიმძლავრის ელექტროსადგურის ან/და ცალკეული ენერგობლოკის/აგრეგატის შემთხვევაში, ხოლო მომხმარებლები 5 მგვტ-ზე მეტი დადგმული სიმძლავრის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, ასეთი საწარმოო საშუალებების დაგეგმილი კონსერვაციისას, აგრეთვე ექსპლუატაციიდან და დისპეტჩერული მართვიდან გაყვანის შემთხვევაში 24 თვით ადრე შეატყობინონ აღნიშნული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

3. მეზობელ სისტემებთან კავშირების შესასწავლად ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარების მოდელირებისათვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ისარგებლოს მეზობელი ქვეყნების ქსელის მონაცემებით.

მუხლი 32. გადამცემი ქსელის დაგეგმვისათვის საჭირო მონაცემების კლასიფიკაცია

1. გადამცემი ქსელის დაგეგმვის მონაცემები იყოფა ოთხ ძირითად კატეგორიად:

ა) წინასწარი საპროექტო მონაცემები;

ბ) საპროექტო მონაცემები;

გ) სტანდარტული მონაცემები;

დ) დეტალური (დამატებითი) მონაცემები.

2. საპროექტოა მონაცემები, რომლებიც უნდა წარმოადგინონ განმცხადებლებმა ახალი მიერთების ან არსებულის მოდიფიკაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიერთების შეთავაზების მიღების შემდეგ.

3. სტანდარტულია მონაცემები, რომლებიც ყოველწლიურად უნდა წარმოადგინოს გადამცემი ქსელის ყველა არსებულმა მოსარგებლემ.

4. დეტალურია (დამატებითი) მონაცემები, რომლებიც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა შეიძლება მოითხოვოს დამატებით საპროექტო მონაცემების ან სტანდარული მონაცემების გარდა.

5. განმცხადებლის მიერ ახალი მიერთების ან არსებული მიერთების მოდიფიკაციის მოთხოვნის დროს, მაგრამ მიერთების შეთავაზების მიღებამდე, განმცხადებლის მიერ წარდგენილი ყველა მონაცემი ჩაითვლება წინასწარ საპროექტო მონაცემებად. მიერთების შეთავაზების დადგენილი წესით მიღების შემდეგ, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წინასწარი საპროექტო მონაცემები და მოგვიანებით წარმოდგენილი დაზუსტებული მონაცემები ჩაითვლება საპროექტო მონაცემებად.

6. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებულნი არიან, ყოველწლიურად მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ მუხლით გათვალისწინებული სტანდარტული მონაცემები. ამ მონაცემების ჩაბარების ვადაა ყოველი წლის სექტებრის ბოლო სამუშაო დღე. ეს მონაცემები უნდა მოიცავდეს მომდევნო ხუთი წლის ინფორმაციას. მონაცემთა ჩაბარების ბოლო თარიღიდან მომდევნო თარიღამდე კონკრეტული წლის მონაცემებში ცვლილების არქონის შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია, მონაცემების ჩაბარების მაგივრად წარადგინოს წერილობითი განაცხადი კონკრეტული წლისათვის მონაცემების უცვლელობაზე.

7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს, საჭიროებისამებრ მოითხოვოს მის მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით დამატებითი დეტალური მონაცემები. მოსარგებლე

ვალდებულია, მიაწოდოს მას აღნიშნული ინფორმაცია მოთხოვნის მიღებიდან ოცდაათი (30) სამუშაო დღის ვადაში.

8. გადამცემი ქსელის დაგეგმვის მონაცემების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

ა) საპროგნოზო მონაცემები: ამ კატეგორიაში შედის მომდევნო ხუთი (5) წლისათვის მოსარგებლის მიერ შეფასებული საპროგნოზო მაჩვენებლები, წარმოებისა და მოხმარების პროგნოზების ჩათვლით;

ბ) დაგეგმილი ელექტრომოწყობილობა-დანადგარების სავარაუდო მონაცემები: ამ კატეგორიაში შედის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების ან/და ელექტროსადგურის შესახებ განმცხადებლის მიერ გადამცემ ქსელთან მიერთებამდე შეფასებული სავარაუდო ინფორმაცია და პარამეტრების სიდიდეები;

გ) ელექტრომოწყობილობა-დანადგარების რეგისტრირებული მონაცემები: მონაცემები, რომლებიც მიერთების შემდეგ დაზუსტდა, როგორც საბოლოო სიდიდეები.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, დამატებით მოითხოვოს განმცხადებლისაგან ან/და მოსარგებლისგან მონაცემები და დამატებითი გათვლებისა და კვლევების ჩატარება საჭიროების მიხედვით.

10. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების მიერ წარმოსადგენ სტანდარტული დაგეგმვისა და დეტალური დაგეგმვის მონაცემების ჩამონათვალსა და ფორმას ამტკიცებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და აქვეყნებს საკუთარ ვებ-გვერდზე.

11. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მოსარგებლე მიიჩნევს, რომ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მომზადებული საპროგნოზო მონაცემები სათანადოდ არ ასახავს მოსარგებლის დაგეგმვის მონაცემებს, იგი უფლებამოსილია, მიმართოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს აღნიშნული მონაცემების კორექტირების თხოვნით.

მუხლი 33. გადამცემი ქსელის შესწავლა დაგეგმვის მიზნით

1. დისპეტერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, პერიოდულად ან საჭიროებისამებრ ჩაატაროს გადამცემი ქსელის დაგეგმვისათვის საჭირო კვლევითი სამუშაოები, გადამცემი ქსელის ეკონომიკური, უსაფრთხო, საიმედო და სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, მოამზადოს:

ა) პროგნოზი მომდევნო ათწლიანი პერიოდის განმავლობაში გადამცემი ქსელის მუშაობის შესახებ;

ბ) გადამცემი ქსელის განვითარების პროექტების შეფასება;

გ) განმცხადებლის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის წარდგენილი პროექტების შეფასება;

დ) გადამცემი ქსელზე ან/და მოსარგებლეთა ქსელზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს დატვირთვის პროგნოზული სიდიდეებით;

ე) კვლევების შედეგად გადამცემ ქსელში ან მოსარგებლის ქსელში გამოვლენილი ნაკლოვანებების იდენტიფიკაცია და აღმოფხვრის ღონისძიებების განსაზღვრა;

ვ) ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში გადამცემი ქსელის მუშაობის შეფასება;

ზ) გადამცემი ქსელისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის შეფასება გარდამავალი პროცესების დროს;

თ) გადამცემი ქსელის განვითარების გეგმები;

ი) ნებისმიერი სხვა შეფასება, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს გადამცემი ქსელის უსაფრთხოებისა და საიმედოობის უზრუნველსაყოფად.

2. გადამცემი ქსელის დაგეგმვის მიზნით ჩასატარებელ კვლევებში შეიძლება შედიოდეს:

ა) გადამცემ ქსელში დატვირთვის ნაკადგანაწილების შესწავლა;

ბ) მოკლე ჩართვის ანალიზი;

გ) სტატიკური და დინამიკური მდგრადობის შესწავლა;

დ) დამყარებული რეჟიმების შესწავლა;

ე) კვანძებში ძაბვის სიდიდეების კვლევა;

ვ) ელექტრომაგნიტური გარდამავალი პროცესების კვლევა;

ზ) გადამცემი ქსელის საიმედო მუშაობასთან დაკავშირებული კვლევები;

თ) სხვა სახის კვლევები საჭიროების მიხედვით.

მუხლი 34. კომპიუტერული მოდელირება

1. გადამცემი ქსელის დაგეგმვის მიზნით მათემატიკური მოდელების გამოყენებით რეჟიმების დამუშავების მეთოდებსა და პროცედურებს ამტკიცებს დისპეჩერიზაციის ლიცენზიატი.

მუხლი 35. გადამცემი ქსელის დაგეგმვის კრიტერიუმები

არაოფიციალური ვერსია

1. გადამცემი ქსელის დაგეგმვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ელექტროენერგიის სტანდარტული პარამეტრების შენარჩუნება ამ წესების 40 [1] მუხლის შესაბამისად, ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვისა და ელექტროენერგიის წარმოების მოსალოდნელი სიდიდეების პირობებში.

2. გადამცემი ქსელის დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს სასისტემო ავარიის თავიდან აცილებისა და სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების პირობებში, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს:

ა) სისტემის ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლით (N-1);

ბ) სისტემის ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლით, პლუს ერთი ენერგობლოკის/აგრეგატის ავარიული გამორთვით (N-G-1);

გ) სისტემის ერთი ელემენტის შეკეთებაში ყოფნის დროს სისტემის სხვა ელემენტის ავარიული გამორთვით (N-1-1).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემდეგ, ელექტროენერგეტიკულმა სისტემამ უნდა შეინარჩუნოს სტაბილური მდგომარეობა ავარიის შემდგომი რეჟიმის პარამეტრების დასაშვები ზღვრების ფარგლებში ამ წესების 40 [1] მუხლის შესაბამისად.

4. ავარიის შემდგომ რეჟიმში გადამცემი ქსელის მუშაობის პირობები უნდა დადგინდეს სიმულაციის ტესტების შედეგების შესაბამისად. ისინი მოკლედაა შეჯამებული პირველ დანართში. აღნიშნული არ გამორიცხავს უფრო დეტალური ტესტირების შესაძლებლობას, რომელიც გადამცემი ქსელის კონკრეტული კომპონენტების უკეთ დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

5. დამატებითი დეტალური ტესტირება შეიძლება მოიცავდეს:

ა) ქვესადგურის საიმედოობის შეფასებას;

ბ) ძაბვის ვარდნის სიმულაციას;

გ) ასინქრონული რეჟიმის გაანგარიშებებს;

დ) დინამიკურ მდგრადობას;

ე) გადართვების სიმულაციებს;

ვ) სხვა საჭირო კვლევებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.

მუხლი 36. ავარიების კვლევა სხვადასხვა სცენარის დროს

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

1. ავარიული სიტუაციების კვლევის მიზანია ელექტროენერგეტიკული სისტემის ავარიის გავრცელებისა და სტაბილურობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით შემდეგი სცენარების განხილვა:

ა) საბაზისო სცენარი;

ბ) მაღალი ალბათობის ავარიული სიტუაციები;

გ) მცირე ალბათობის ავარიული სიტუაციები.

2. საბაზისო სცენარი:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის საბაზისო სცენარი, ანუ ნორმალური რეჟიმი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ელექტროენერგეტიკული სისტემის ყველა ელემენტი მუშა მდგომარეობაშია და რეჟიმის პარამეტრები ნორმალური ზღვრების ფარგლებშია. ასეთი სცენარისთვის კვლევა ხორციელდება დამყარებული რეჟიმის პირობებში;

ბ) საბაზისო სცენარში გათვალისწინებული დატვირთვების პირობებში ძაბვის ნორმალური სიდიდის უზრუნველსაყოფად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვა, მაშუნტირებელი რეაქტორი და სინქრონული კომპენსატორი, შემკრები სალტეების სექციონირება და რეგულირების სხვა საშუალებები. დატვირთვის მოსალოდნელი დონეებისა და ელექტროენერგიის წარმოების გრაფიკების მოდელირებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმე საბაზისო სცენარის შემუშავება.

3. მაღალი ალბათობის ავარიული სიტუაციები:

ა) ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის ტესტი (N-1) გულისხმობს ერთი ენერგობლოკის/აგრეგატის (შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში ერთი ელექტროსადგურის) ან ელექტროგადამცემი ქსელის მხოლოდ ერთი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის შესაძლებლობას. ერთი ელემენტის პოტენციური ავარიით გამოწვეული ზიანის მინიმუმზე დაყვანის მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვის, მაშუნტირებელი რეაქტორის გამოყენებისა და სალტეების სექციონირების მეთოდი;

ბ) ერთი ელემენტის და იმავდროულად ერთი ენერგონლოკის/აგრეგატის (შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში ერთი ელექტროსადგურის) გათიშვის სცენარის (N-G-1) მეორე შესაძლო ავარიული სიტუაციისათვის მოსამზადებლად (ე.ი. ენერგობლოკის/აგრეგატის გათიშვიდან მეორე ელემენტის გათიშვამდე) შესაძლებელია (N-G-1) ვარიანტის მოდიფიკაცია, შემდეგი მეთოდების გამოყენებით: ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვა, მაშუნტირებელი რეაქტორის ჩართვა-გამორთვა, გენერაციის დისპეტჩერიზაციის გეგმის შეცვლა და სალტის სექციონირება;

გ) სისტემის ერთი ელემენტის შეკეთებისას სისტემის სხვა ელემენტის ავარიული გათიშვა (N-1-1) გულისხმობს გადამცემი ქსელის ერთი ელემენტის ან ერთი ენერგობლოკის/აგრეგატის (შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში ერთი ელექტროსადგურის) გათიშვას იმ დროს, როდესაც სისტემის სხვა რომელიმე ელემენტი შეკეთების რეჟიმშია. შეკეთების პროცესი შეიძლება ისე იყოს დაგეგმილი, რომ სისტემა მზად იყოს მეორე ელემენტის ავარიული გათიშვისათვის,

შემდეგი მეთოდებით: ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვა, ფაზათა ძვრის კუთხის რეგულირება, სადისპეტჩერო გრაფიკის ცვლილება და სალტის სექციონირება;

დ) N-1-1 კვლევის ჩატარება შეიძლება ისეთი სიტუაციებისათვის, როდესაც ერთდროულად ორი ელემენტი იძულებით არის გათიშული, მაგრამ პირველ და მეორე გათიშვებს შორის არის საკმარისი დრო გადადინებების ნორმალურ ზღვრებში აღსადგენად;

ე) სისტემის ერთი ელემენტის შეკეთებისას სისტემის სხვა ელემენტის ავარიული გათიშვის (N-1-1) შემთხვევისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები შესაძლოა განსხვავებული იყოს იმის გათვალისწინებით, რომ (N-1-1) შემთხვევის ალბათობა ბევრად ნაკლებია ვიდრე (N-1)-ისა. (N-1-1) შემთხვევებისათვის დასაშვებია მოხმარების დატვირთვის გარკვეული შემცირება.

4. მცირე ალბათობის ავარიული სიტუაციები: ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით სისტემამ უნდა გაუძლოს უფრო მწვავე, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელ ავარიულ სიტუაციებსაც (სალტეების დაზიანება, სალტის მაერთებელი მოწყობილობის დაზიანება, ამომრთველების დაზიანება, რელეების არასათანადო მუშაობა, ორჯაჭვა ხაზის მწყობრიდან გამოსვლა და ა.შ.) ისე, რომ ამას არ მოჰყვეს ძაბვის ზვავი ან უკონტროლო კასკადური გათიშვები.

მუხლი 37. გადამცემი ქსელის მუშაობის სტანდარტები

1. მოკლე ჩართვის დენების დონეები:

ა) მოკლე ჩართვის დენების მაქსიმალური დონე არ უნდა აღემატებოდეს ელექტრომოწყობილობის მახასიათებლების 90%-ს;

ბ) 110 კვ და მეტი ძაბვის გადამცემი ქსელის ნეიტრალი, როგორც წესი, ყრუდ უნდა იყოს დამიწებული. მიწასთან ცალფაზა მოკლე შერთვის დროს მიწასთან მოკლე შერთვის ძაბვა არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური ფაზათაშორისი ძაბვის 80%-ს.

2. დინამიკური მდგრადობის ტესტირება:

ა) სისტემის დინამიკური მდგრადობა შენარჩუნებული უნდა იყოს სამფაზა მოკლე ჩართვის ან მიწასთან ორფაზა მოკლე ჩართვის დროს;

ბ) დინამიკური მდგრადობის ტესტის ჩატარების დროს გასათვალისწინებულია, რომ დაზიანებული ელემენტი ამორთულ იქნეს ძირითადი დაცვით. ამავე დროს ხაზის ავტომატურად განმეორებითი ჩართვის (აგჩ) მოწყობილობა უნდა იყოს მოქმედებაში;

გ) ტესტირების დროს ასინქრონული რეჟიმი ხანმოკლე დროითაც კი დაუშვებელია.

3. კასკადური გათიშვები:

ა) ავარიულმა სიტუაციამ არ უნდა გამოიწვიოს გადამცემი ქსელის მთლიანობის დარღვევა ან სისტემის გათიშვა გადამცემი ხაზების ან ელექტროსადგურის კასკადური გათიშვის გამო.

შესაძლო ავარიული სიტუაციების კვლევების შედეგები გათვალისწინებული უნდა იყოს სისტემის დაცვის ელექტრომოწყობილობის დაგეგმვის და რელეური დაცვის დანაყენების განსაზღვრის დროს;

ბ) სპეციალური დაცვის სქემები: გადამცემ ქსელში კასკადური გათიშვების გავრცელების და, შედეგად, სისტემის ჩაქრობის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია, განხორციელებული იქნეს სპეციალური დაცვის სქემები.

4. ძაბვის ზვავისებური ვარდნის (ძაბვის კოლაფსი) თავიდან აცილების მიზნით გადამცემი ქსელის დატვირთვის დონესა და სტატიკური მდგრადობის დარღვევის დონეს შორის ყოველთვის უნდა იყოს შენარჩუნებული მდგრადობის მარაგი. იგი უნდა განისაზღვროს გადამცემი ქსელის დატვირთვის გაზრდისას ელექტროენერგეტიკული სისტემის მახასიათებლების შესწავლით.

5. სადენების პარამეტრების დასაშვები ზღვრები (ნორმალური და ავარიული):

ა) გადამცემი ხაზის სადენების თერმული პარამეტრები უნდა განისაზღვროს ყველაზე უფრო მეტად მგრძნობიარე ელემენტის პარამეტრების მიხედვით, იქნება ეს გამტარის მახასიათებლები, ჩაღუნვის ისარი, თუ ელექტრომოწყობილობის თერმული პარამეტრები;

ბ) ელექტრომოწყობილობათა ნორმალური და ავარიული თერმული მდგრადობის ზღვრები უნდა განისაზღვროს სეზონურობის თავისებურებების გათვალისწინებით. ნორმალური და გადატვირვის მდგომარეობების შესაბამისი პარამეტრების განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი დამხმარე ელექტრომოწყობილობათა პარამეტრები, როგორიცაა გამანაწილებელი მოწყობილობა, ბუშინგი (შემყვანი იზოლატორი), გამზომი ტრანსფორმატორები, ტრანსფორმატორის ხვიათა გადამრთველი და სხვა;

გ) როგორც ნორმალური, ასევე ავარიული სიტუაციის დაგეგმვისას, მიუღებელია ელექტრომოწყობილობათა გადატვირთვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მომენტალურად ხდება სიტუაციის გამოსწორება (ავტომატური ან ოპერატორის მოქმედებით), მაგრამ დაცული უნდა იყოს დასაშვები ზღვრული პარამეტრები (დენის ძალა):

გ.ა) საჰაერო ხაზების შემთხვევაში ნომინალური დატვირთვის (დენის ძალა) 110% მნიშვნელობები 30 წუთის განმავლობაში;

გ.ბ) ტრანსფორმატორებისა და კაბელების შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მწარმოებლისა და საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისიის სტანდარტების მოთხოვნები.

6. ელექტროენერგეტიკული სისტემა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ ძაბვა დარჩეს ამ წესების 40 [2] მუხლში მოცემულ ზღვრებში.

7. ძაბვის ცვლილების მნიშვნელობები:

ა) საბაზო სცენარით ოპერირებისას, ე.ი. როცა ყველა ხაზი მწყობრშია, ძაბვის (ნახტომისებური) ცვლილების მნიშვნელობა გამოწვეული კონდენსატორის და მაშუნტირებელი რეაქტორის გადართვით არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური ძაბვის 3.0%-ს;

ბ) გაუთვალისწინებელი შემთხვევისას (N-1), ძაბვის მაქსიმალური მნიშვნელობა ამ შემთხვევის წინ და მის შემდეგ არ უნდა იყოს 10%-ზე მეტი.

8. ელექტროენერგეტიკული სისტემა ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ სიხშირე დარჩეს ამ წესების 40^1 მუხლში მოცემულ ზღვრებში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 38. ავარიის თავიდან აცილების დამატებითი ღონისძიებები

1. გაუთვალისწინებელი შემთხვევის წინა პერიოდის (საბაზისო სცენარის) მოსამზადებლად ჩასატარებელია ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან ის ქმედებები, რომლებიც მიმართულია სისტემის პარამეტრების ნორმალურ ზღვრებში აღსადგენად:

ა) ტრანსფორმატორის გრაგნილების ხვიათა გამომყვანების გადართვა;

ბ) ფაზათა ძვრის კუთხის რეგულატორების გამოყენება;

გ) მაშუნტირებელი რეაქტორის, სინქრონული და სტატიკური კომპენსატორის ჩართვა ან/და გამორთვა;

დ) სალტეების სექციონირება.

2. საბაზისო სცენარი მოიცავს როგორც ქსელის გადატვირთვებისა და ძაბვის ნორმალური პარამეტრებიდან გადახრების თავიდან აცილებას, ასევე პოტენციური ცალკეული გაუთვალისწინებელი შემთხვევის სცენარებისთვის სისტემის მომზადებას. საბაზისო სცენარი გამოიყენება გაუთვალისწინებელი შემთხვევების შესწავლის ამოსავალ წერტილად.

3. N-G-1 და N-1-1 შემთხვევებში იგულისხმება, რომ პირველი გათიშვიდან, მათ შორის, რომელიმე ელემენტზე სარემონტო სამუშაოების დაწყებიდან მეორე გათიშვამდე, საკმარისი დროა იმისათვის, რომ მომზადდეს სისტემა მეორე გათიშვისთვის. ამ დროს დასაშვებია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება და აგრეთვე გენერაციის დისპეტჩერიზაციის გეგმის შეცვლა (რედისპეტჩირება).

4. N-1 ან N-G-1 სცენარების შემთხვევებისას და იმის გათვალისწინებით, რომ ავარიის შემდგომი პარამეტრების ზღვრები არ დარღვეულა, სისტემის პარამეტრების ნორმალურ ზღვრებში აღსადგენად ჩასატარებელია ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედებები:

ა) ტრანსფორმატორის გრაგნილების ხვიათა გამომყვანების გადართვა;

ბ) ფაზათა ძვრის კუთხის რეგულატორების გამოყენება;

გ) მაშუნტირებელი რეაქტორის, სინქრონული და სტატიკური კომპენსატორის ჩართვა ან/და გამორთვა;

დ) გენერაციის დისპეტჩერიზაციის გეგმის შეცვლა (რედისპეტჩირება);

ე) გადართვები.

5. არჩეული უნდა იყოს ის ქმედებები, რომელთაც ყველაზე დიდი გავლენა ექნებათ ავარიული დარღვევების აღმოსაფხვრელად.

6. N-G-1და N-1-1 შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იყოს დატვირთვის შემცირება მომხმარებელთა გათიშვის გზით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ავარიის შემდგომი პარამეტრების ზღვრების დარღვევა.

7. გენერაციის დისპეტჩერიზაციის გეგმის შეცვლა (რედისპეტჩირება):

ა) მუშაობაში მყოფი ენერგობლოკების/აგრეგატების დატვირთვების შეცვლა დასაშვებია ხაზის ელემენტის (N-1) და ენერგობლოკების/აგრეგატების (G-1) ავარიული გამორთვის შემდეგ, რათა დაცული იყოს N-G-1 ან N-1-1 მოთხოვნა;

ბ) გადამცემი ქსელის ელემენტის გაუთვალისწინებელი, ავარიული გამორთვისას დასაშვებია ენერგობლოკების/აგრეგატების სიმძლავრეების ცვლილება გადამცემი ქსელის პარამეტრების ნორმალურ ზღვრებში აღდგენის მიზნით.

8. ძაბვის რეგულირება ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვის საშუალებით:

ა) ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანის მდგომარეობა შერჩეული უნდა იყოს საბაზისო სქემის, ენერგობლოკების/აგრეგატების ან ქსელის ელემენტის სარემონტო გამორთვის რეჟიმებისთვის, სანამ დადგება N-G-1 ან N-1-1 შემთხვევა;

ბ) როგორც ავარიისშემდგომი ქმედება, მისაღებია ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვა ორ ქვესადგურში ელექტროენერგეტიკული სისტემის პარამეტრების ნორმალურ ზღვრებში დასაბრუნებლად;

გ) ტრანსფორმატორის ხვიათა გამომყვანების გადართვა წარმოებს იმ ტრანსფორმატორებზე, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს გადამცემ ქსელზე.

9. ფაზარეგულატორებისათვის არჩეულ უნდა იქნეს ფაზათა ძვრის კუთხის სათანადო მნიშვნელობა სხვადასხვა სცენარებისათვის საჭიროების მიხედვით.

10. მაშუნტირებელი რეაქტორის, სინქრონული და სტატიკური კომპენსატორის ჩართვა-გამორთვა გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა სცენარებისათვის საჭიროების მიხედვით.

11. სალტეების სექციონირება და გადამცემ ქსელში გადართვები:

ა) სხვადასხვა სცენარის დამუშავებისას დასაშვებია სალტეების სექციებად დაყოფა, რათა ელექტროენერგიის მოხმარება არ გახდეს საერთო გადატვირთვის მიზეზი;

ბ) სხვადასხვა სცენარის განხილვისას, ავარიის თავიდან აცილების მიზნით, დასაშვებია, გადამცემ ქსელში საჭირო რაოდენობის გადართვების განხორციელება ელექტროენერგეტიკული სისტემის პარამეტრების ნორმალურ საზღვრებში დასაბრუნებლად.

12. დატვირთვის (მოხმარების) შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს N-1-1 და N-G-1 სცენარების შემთხვევაში გადამცემ ქსელის ელემენტების გადატვირთვის თავიდან აცილებისა და ძაბვის ან სიხშირის დასაშვებ ფარგლებში შესანარჩუნებლად.

მუხლი 39. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმა

1. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმა უნდა შემუშავდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, გადამცემი ქსელის შესწავლის შედეგების გათვალისწინებით. ამ გეგმაში აღწერილი უნდა იყოს არსებული გადამცემი ქსელი, საჭირო მოდიფიკაციები და განვითარება.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეიმუშაოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა და განაახლოს ყოველ წელიწადს.

3. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმაში განსაზღვრული უნდა იყოს გადამცემი ქსელის მოსალოდნელი რეჟიმები წლების მიხედვით და მითითებული იყოს გადამცემი ქსელის ის კვანძები, სადაც საჭიროა ახალი ელექტრომოწყობილობა/დანადგარების ექსპლუატაციაში შეყვანა ან არსებულის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია, ამ წესებით დადგენილი ელექტროენერგიის ხარისხის პარამეტრების უზრუნველსაყოფად და საიმედოობის კრიტერიუმების შესაბამისად.

4. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმაში მითითებული უნდა იყოს გადამცემი ქსელის ის კვანძები, სადაც ოპტიმალურია ახალი ელექტროსადგურების და/ან სხვა მოსარგებლეების მიერთება, რათა ხელი შეეწყოს კონკურენციას ელექტროენერგიის ბაზარზე და გადამცემი ქსელის განვითარებას გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული წესით.

5. თუ გადამცემი ქსელის ზოგიერთ უბანზე, სადაც გადამცემი ქსელის განვითარების გეგმის მიხედვით დაგეგმვის კრიტერიუმების (N-1, N-G-1, N-1-1) და ელექტროენერგიის ხარისხის დადგენილი მოთხოვნების შესრულება ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონელია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემი ქსელის განვითარების გეგმასთან ერთად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას წარუდგინოს აღნიშნული ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ანალიზში განხილული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ა) დაგეგმვის კრიტერიუმების შეუსრულებლობით გამოწვეული ელექტროენერგეტიკული სისტემის ნორმალური მუშაობის დარღვევების ალბათობა და შედეგები;

ბ) დაგეგმვის კრიტერიუმების შესრულების მიზნით სისტემის გასაუმჯობესებლად ჩასატარებელი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება;

გ) ნორმალური მუშაობის დარღვევის ალბათობის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება.

6. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმა სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გადამცემი ქსელის საექსპლუატაციო მახასიათებლების შესახებ, რომელიც მოიცავს:

ა) გადამცემი ქსელის ზოგად მახასიათებლებს, მეზობელი ქვეყნების გადამცემ ქსელებთან კავშირების გათვალისწინებით;

ბ) გადამცემი ქსელის არსებული მდგომარეობის შეფასებებს და იმ უბნების სრულ ანალიზს, რომლებიც დაგეგმვის კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებენ;

გ) 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გამტარუნარიანობას;

დ) გადამცემი ქსელის ნაკადგანაწილებას მაქსიმალური დატვირთვების დროს;

ე) მოკლე ჩართვის დენების სიდიდეებს 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის ქვესადგურების სალტეებზე;

ვ) გადამცემ ქსელში დანაკარგებს;

ზ) გადამცემი ქსელის განვითარებას, რომელიც ეფუძნება ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის პროგნოზს;

თ) გადამცემი ქსელის განვითარებას, რომელიც ეფუძნება ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის გეგმებს;

ი) ახალი სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობების შეთავაზებებს;

კ) მეზობელი ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ სისტემებთან დაგეგმილი გადადინებების მოცულობებს.

7. გადაცემის ლიცენზიატები ვალდებულნი არიან, მოამზადონ თავიანთი გადამცემი ქსელების საინვესტიციო გეგმები გადამცემი ქსელის განვითარების გეგმის საფუძველზე.

8. გადამცემი ქსელის განვითარების გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ელექტროენერგიის წარმოების წლიურ საპროგნოზო მოცულობებს ათწლიანი პერიოდისათვის.

9. გენერაციის პროგნოზირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) ათწლიანი პერიოდის მოხმარების პროგნოზი;

ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემისათვის საჭირო სიმძლავრის რეზერვი;

გ) არსებული ელექტროსადგურების მდგომარეობა;

დ) იმ დაგეგმილი ელექტროსადგურების პარამეტრები, რომლებთანაც ხელმოწერილია ურთიერთგაგების მემორანდუმი ან მიერთების ხელშეკრულება;

ე) იმპორტ-ექსპორტის სტატისტიკა და პროგნოზები;

ვ) ქვეყანაში ელექტროენერგიის მოხმარებისა და მიწოდების საპროგნოზო ბალანსების ანალიზი;

ზ) რეკომენდაციები ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც დაგეგმილი ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში გაშვება გვიანდება;

თ) რეკომენდაციები სიმძლავრისა და ენერგიის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

თავი IV
ოპერატიული მართვის წესი

მუხლი 40. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირება

1. დატვირთვის მონაცემების მიწოდება, ოპერატიული დაგეგმვა და კონტროლი უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, მოსარგებლეების მიერ მიწოდებულ დატვირთვის მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგინოს მოთხოვნის პროგნოზები გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპისათვის;

ბ) მოკლევადიანი ოპერატიული გეგმების შემუშავების ეტაპზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეიმუშაოს მოთხოვნების პროგნოზები ელექტროენერგიის მწარმოებლების, განაწილების ლიცენზიატებისა და სხვა მომხმარებლების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

2. რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნა მოიცავს რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნას მოსარგებლის სალტეზე, მაგრამ არ მოიცავს გადამცემი ქსელის რეაქტიულ გამტარობასა და რეაქტიულ კომპენსაციას ელექტროენერგეტიკულ სისტემაში, რის საფუძველზეც

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს ჯამური რეაქტიული გამტარობისა და რეაქტიული კომპენსაციის მონაცემების ანგარიშის ჩატარება.

3. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზირების ამოცანებია:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის მომზადება მოსარგებლეების მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით ისე, რომ გათვალისწინებული იქნეს სიმძლავრის საკმარისი რეზერვი;

ბ) მოკლევადიანი ოპერატიული გეგმების შემუშავების ეტაპებზე იმ ფაქტორების განსაზღვრა, რომელიც უნდა გაითვალისწინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა მოთხოვნების პროგნოზირების პროცესში.

4. გრძელვადიანი მოთხოვნის პროგნოზირებისთვის განაწილების ლიცენზიატები და მომხმარებლები ვალდებულნი არიან, მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მონაცემები მოთხოვნილი სიმძლავრისა და აქტიური ენერგიის შესახებ დაგეგმვის სხვადასხვა ეტაპისათვის.

5. ოპერატიული დაგეგმვის ეტაპის დროს (პირველი წლიდან მე-5 წლის ჩათვლით):

ა) არაუგვიანეს ყოველი წლის 30 სექტემბრისა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მოსარგებლეებს მოსალოდნელი წლიური პიკური მოთხოვნის თარიღი/დრო და მოსალოდნელი მინიმალური წლიური მოთხოვნის თარიღი/დრო.

ბ) არაუგვიანეს ყოველი წლის 30 ოქტომბრისა, თითოეული მოსარგებლე ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წერილობით შეატყობინოს მომდევნო ხუთწლიანი პერიოდის თითოეული წლის საპროგნოზო მონაცემები, კერძოდ:

ბ.ა) საათობრივი მოთხოვნა აქტიურ სიმძლავრეზე (მიერთების წერტილების მიხედვით და ჯამურად). ეს მონაცემები იანგარიშება მოსარგებლეებისთვის მოსალოდნელი მაქსიმალური დატვირთვის დღისათვის და აგრეთვე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის მოსალოდნელი წლიური პიკური მოთხოვნილების დღისათვის;

ბ.ბ) წლიური მოთხოვნა (მიერთების წერტილების მიხედვით და ჯამურად) აქტიურ სიმძლავრეზე, მოხმარების კატეგორიების მიხედვით (მაგ: მოსახლეობა, კომერციული სექტორი, სამთავრობო დაწესებულებები, სამრეწველო მომხმარებლები, სასოფლო-სამეურნეო მომხმარებლები, გარე განათება, საავადმყოფოები და ა.შ.) სიტუაციის შესაბამისად;

ბ.გ) აქტიურ სიმძლავრეზე (მიერთების წერტილების მიხედვით და ჯამურად) შედგენილი საათობრივი მოთხოვნის პროგნოზი, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიწოდებული მინიმალური მოხმარების დღისთვის;

ბ.დ) აქტიურ სიმძლავრეზე მოთხოვნა და სიმძლავრის კოეფიციენტი მიერთების წერტილებში მოსარგებლეების პიკური მოხმარების საათებში და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მიწოდებული წლის პიკის საათებში;

ბ.ე) მიერთების წერტილებში აქტიურ სიმძლავრეზე მოთხოვნა და სიმძლავრის კოეფიციენტი - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მოწოდებული წლის მინიმალური მოთხოვნის პერიოდში.

6. მოკლევადიანი დაგეგმვის ეტაპზე ერთი თვით ადრე მოსარგებლე ვალდებულია, წერილობით მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სიმძლავრის საათობრივი გრაფიკები.

7. ერთი დღით ადრე დაგეგმვის ეტაპზე მოსარგებლე ვალდებულია, შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიერთების ნებისმიერ წერტილში მომდევნო დღეს მოთხოვნის 1 მგვტ-ით ან მეტით ცვლილების შესახებ.

8. მოსარგებლე ვალდებულია, წერილობით მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მონაცემები თითოეული დღის აქტიური და რეაქტიული სიმძლავრეების შესახებ, წინა კალენდარული დღის განმავლობაში საათებისა და მიერთების წერტილების მიხედვით.

9. ელექტროენერგიაზე მოთხოვნის პროგნოზების პროცესში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

ა) გასული პერიოდის მონაცემები ელექტროენერგიაზე მოთხოვნების შესახებ, გადამცემი ქსელის დანაკარგების ჩათვლით;

ბ) ელექტროენერგიის ბაზრის ოპერატორის მიერ მოწოდებული შესაბამისი მონაცემები და ინფორმაცია;

გ) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების ზრდის პროგნოზები;

დ) მიმდინარე და გასული პერიოდის ამინდის პროგნოზი;

ე) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის წინასწარ ცნობილი რემონტების გეგმა;

ვ) ელექტროენერგიის მწარმოებლების მიერ დაგეგმილი სიმძლავრის გრაფიკები;

ზ) ელექტროენერგიის მოსალოდნელი იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტი;

თ) მოსარგებლეთა მიერ საჭიროების მიხედვით მიწოდებული სხვა ინფორმაცია.

10. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა ელექტროენერგეტიკული სისტემის მოთხოვნების პროგნოზები უნდა მოამზადოს სათანადო მეთოდოლოგიის გამოყენებით.

მუხლი 40[1]

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ისეთი რეჟიმით მუშაობა, რომ შენარჩუნებული იყოს ელეტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის პარამეტრები, ამ მუხლით განსაზღვრულ დასაშვებ ფარგლებში.

2. გადამცემ ქსელში ნომინალური სიხშირე უნდა იყოს 50 ჰერცი. ამასთან, ქვემოთ მოყვანილ გაუთვალისწინებელ შემთხვევაშიც 53.0 ჰერცზე მაღალი სიხშირე დაუშვებელია.

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია შეინარჩუნოს სიხშირე შემდეგ ფარგლებში:

ა) ნორმალურ რეჟიმში მუშაობის პირობებში:

f=50±0.5 ჰერცი – წლის არანაკლებ 97%-ის განმავლობაში;

ბ) ავარიულ რეჟიმში მუშაობის პირობებში:

47 - 53 ჰერცი;

გ) სიხშირის ნომინალური მაჩვენებლიდან მაქსიმალური დამყარებული სიხშირის გადახრა არ უნდა აღემატებოდეს ±0.8 ჰერცს;

დ) მაქსიმალური დინამიკური გადახრა არ უნდა აღემატებოდეს ±1.5 ჰერცს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2019 წლის 19 ივლისის დადგენილება №16 - ვებგვერდი, 30.07.2019წ.

მუხლი 40[2]

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს, რომ ნორმალურ პირობებში ძაბვის სიდიდეები შეესაბამებოდეს ამ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. ნორმალურ და ავარიულ რეჟიმში ძაბვის სიდიდეების ცვლილება დასაშვებია შემდეგ ზღვრებში:

ა) ნორმალურ პირობებში ძაბვის დასაშვები გადახრა სხვადასხვა ნომინალური ძაბვისათვის მოცემულია ცხრილში:

ნომინალური ძაბვა (კვ)	110	220	330	400	500
ძაბვის დასაშვები ზღვრები	-5%/+10%	- 5%/+7%	± 5%		

ბ) ავარიული სიტუაციის შემდგომ ძაბვის დასაშვები გადახრა სხვადასხვა ნომინალური ძაბვისათვის მოცემულია ცხრილში:

ნომინალური ძაბვა (კვ)	110	220	330	400	500
ძაბვის დასაშვები ზღვრები	-10%/+15%	± 10%			

3. ავარიულ რეჟიმში ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პარამეტრების ზღვრული მნიშვნელობიდან გადახრა დასაშვებია გაგრძელდეს არაუმეტეს 30 წუთისა.

4. ამ მუხლის მოთხოვნების სათანადო დონეზე შესასრულებლად გადაცემის ლიცენზიატის ქვესადგურებში 110 კვ და უფრო მაღალი ნომინალური ძაბვის მქონე ტრანსფორმატორები და

ავტოტრანსფორმატორები აღჭურვილი უნდა იყოს ძაბვის რეგულირების ტექნიკური მოწყობილობებით. ამასთან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე უნდა იქნეს გამოვლენილი 110 კვ და უფრო მაღალი ნომინალური ძაბვის ტრანსფორმატორები და ავტოტრანსფორმატორები, რომლებიც საჭიროებენ ძაბვის ავტომატურ რეჟიმში რეგულირების მოწყობილობებით აღჭურვას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 41. გამორთვების დაგეგმვა

1. გამორთვების დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების, მათ შორის, ენერგობლოკების/აგრეგატების, ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურების გამორთვების დაგეგმვის, კოორდინაციისა და დამტკიცების საკითხები;

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლების/გადაცემის ლიცენზიატების მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის ოპერატიული დაგეგმვის მიზნით მიწოდებული გეგმური პარამეტრები.

2. გამორთვების დაგეგმვა ითვალისწინებს ისეთ გეგმურ გამორთვებს, რომლებმაც შეიძლება შეზღუდოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების სრული სიმძლავრე, კერძოდ:

ა) გრძელვადიან გამორთვებს;

ბ) მოკლევადიან გამორთვებს.

3. ელექტროენერგიის მწარმოებლები/გადაცემის ლიცენზიატები ვალდებულნი არიან, შეატყობინონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ელექტროსადგურზე, გადამცემ ქსელზე ან მასთან დაკავშირებულ მოწყობილობაზე და შენობა-ნაგებობებზე ჩასატარებელი ნებისმიერი სამუშაოების შესახებ, რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტების მიერ ელექტროენერგეტიკული სისტემისათვის მომსახურების გაწევის შესაძლებლობაზე.

4. ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ დაგეგმილი გამორთვები, გარდა 42^2-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა არ უნდა გადაუხვიოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის დაგეგმილი გამორთვების ან მოკლევადიანი დაგეგმილი სამუშაოების გრაფიკს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისაგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, არ გასცეს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის დაგეგმილ გამორთვაზე ან მოკლევადიან დაგეგმილ გამორთვაზე თანხმობა მაშინაც კი, როცა გამორთვა წინასწარ დაგეგმილი იყო შემდეგ შემთხვევებში:

ა) ავარიული შემთხვევის ან ავარიული შემთხვევის დადგომის საშიშროების დროს;

ბ) წყლის უქმი დაღვრის შემთხვევაში;

გ) გამორთვის შემთხვევაში არასაკმარისი იქნება გენერაციის სიმძლავრე პროგნოზირებული მოთხოვნისა და ოპერატიული რეზერვის დასაკმაყოფილებლად.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეუძლია მოსთხოვოს ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს ასეთი გამორთვის გადადება იმ პერიოდისათვის, როდესაც შემზღუდავი ფაქტორები მოხსნილი იქნება.

7. თუ ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის აღდგენისას, ნებისმიერ დროს, ელექტროენერგიის მწარმოებლისთვის/გადაცემის ლიცენზიატისათვის ცნობილი გახდება, რომ აღდგენა ვერ მოხერხდება შეთანხმებულ ვადებში, მან ამის შესახებ დისპეტჩერული განაცხადის პროგრამით დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, მიუთითოს დაგვიანების მიზეზები და ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის აღდგენის თარიღი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 21 ივლისის დადგენილება №19- ვებგვერდი, 28.07.2017 წ.

მუხლი 42. გრძელვადიანი გამორთვების გეგმები

1. გადამცემ ქსელში გამორთვების დაგეგმვის და გადამცემი ქსელის მოსარგებლეებთან გეგმური გამორთვების კოორდინაციის დროს, თითოეული მოსარგებლე ვალდებულია იმოქმედოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის განკარგულების შესაბამისად.

2. ენერგობლოკის/აგრეგატის და გადამცემი ქსელის გამორთვების დაგეგმვისას ელექტროენერგიის მწარმოებელმა გადამცემი სისტემის ოპერატორს უნდა წარუდგინოს გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს მომდევნო ორ კალენდარულ წელზე გაწერილ ვადებს.

3. გამორთვების გეგმა ნიშნავს მწარმოებლის/გადაცემის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტზე ჩასატარებელი სამუშაოების გამო დაგეგმილი გამორთვების ჩამონათვალს.

4. ელექტროენერგიის მწარმოებლის/გადაცემის ლიცენზიატის დასაბუთებისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია უფლებამოსილია თანხმობა გასცეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესისგან განსხვავებული გეგმის მიღებაზე, თუ ეს აუცილებელია გადამცემი ქსელისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის გამართული და საიმედო ფუნქციონირებისათვის.

5. გამორთვების დაგეგმვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ელექტროენერგიის იმ მწარმოებლებზე, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 10 მგვტ-ზე ნაკლებია.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 21 ივლისის დადგენილება №19- ვებგვერდი, 28.07.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.

მუხლი 42[1]. გრძელვადიანი გამორთვების დაგეგმვის პროცედურა

1. გადამცემი სისტემის ოპერატორი ვალდებულია, ყოველი წლის 1 ივლისამდე საკუთარ ვებგვერდზე განათავსოს გამორთვების გეგმის სავალდებულო ფორმა ელექტროენერგიის მწარმოებლებისა და გადაცემის ლიცენზიატებისათვის დასაგეგმი წლების მიხედვით.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ყოველი წლის 5 ივლისამდე წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს გადაცემის ლიცენზიატებსა და ელექტროენერგიის მწარმოებლებს გამორთვების გეგმების წარმოდგენის ან/და განახლების მოთხოვნით.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს გადაცემის ლიცენზიატსა და ელექტროენერგიის მწარმოებელს ამ წესებით დადგენილ ვადებში გამორთვების გეგმების წარმოდგენის ვალდებულებისგან.

4. გამორთვების დაგეგმვის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში, გადაცემის ლიცენზიატის ან ელექტროენერგიის მწარმოებლის მოთხოვნები გაითვალისწინება სხვა გადაცემის ლიცენზიატის ან ელექტროენერგიის მწარმოებლის მიერ დროულად წარმოდგენილი გეგმების დაკმაყოფილების შემდეგ.

5. ნულოვანი წლის 5 აგვისტომდე:

ა) ელექტროენერგიის მწარმოებლები/გადაცემის ლიცენზიატები ვალდებულნი არიან წერილობით მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ქვემოთ ჩამოთვლილი მონაცემები გეგმური გამორთვების შესახებ, რომლებიც ასახული უნდა იყოს გამორთვების გეგმებში:

ა.ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის დასახელება;

ა.ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლის შემთხვევაში – დადგმული და ქონებული სიმძლავრე, ელექტროგადამცემი ხაზის შემთხვევაში – გამტარუნარიანობა;

ა.გ) გამორთვის მოსალოდნელი ხანგრძლივობა;

ა.დ) გამორთვის დაწყებისა და დასრულების დაგეგმილი თარიღები/საათები;

ა.ე) მითითება, გეგმური გამორთვის თარიღები მოქნილია თუ ფიქსირებული;

ა.ვ) თუ გეგმური გამორთვის თარიღები მოქნილია, მითითებული უნდა იყოს პერიოდი, რომლითაც ის შეიძლება შეიცვალოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისგან ასეთი მოთხოვნის მიღების შემთხვევაში;

ბ) ფიქსირებული თარიღების მქონე გეგმურ გამორთვებთან მიმართებაში, ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა მიაწოდოს გამორთვის ფიქსირებული თარიღების საჭიროების დასაბუთება, თუ იგი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა მოითხოვა. თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი/გადაცემის ლიცენზიატი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ვერ მიაწოდებს გონივრულ დასაბუთებას, ჩაითვლება, რომ გამორთვა დაიგეგმა მოქნილი თარიღებით და მისი თარიღი შეიძლება შეიცვალოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის მიხედვით.

6. ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს უფლება აქვს ადრე წარმოდგენილ გეგმაში, გარდა პირველი წლისა, შეიტანოს მხოლოდ ისეთი შესწორებები, რომლებიც განპირობებულია შეცვლილ გარემოებებზე რეაგირების საჭიროებით (გონივრულ ფარგლებში). წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ცვლილებები არ მიიღება და ძალაში რჩება შესაბამისი წლისათვის ადრე წარმოდგენილი გამორთვების გეგმა.

7. ნულოვანი წლის 5 ოქტომბრამდე:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია:

ა.ა) გამორთვების შემოთავაზებული გეგმების გათვალისწინებით, განახორციელოს გადამცემი ქსელის საიმედოობის ანალიზი დაგეგმილი გამორთვების შესაბამისი პერიოდისათვის;

ა.ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლების/გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოდგენილ გეგმებში რაიმე ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ელექტროენერგიის მწარმოებლებს/გადაცემის ლიცენზიატებს ამის შესახებ და ყველა ღონე იხმაროს შეთანხმების გზით პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში წერილობით მიმართოს ინფორმაციის მიმწოდებელს მიღებული ინფორმაციის შესახებ განმარტებების ან დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით. გამორთვების გეგმასთან დაკავშირებით შენიშვნების არსებობისას, ელექტროენერგიის მწარმოებელი/გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიაწოდოს წერილობითი ახსნა-განმარტება, მოთხოვნის მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

გ) საჭიროების შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი გამორთვების გეგმებს განიხილავს იმ მოსარგებლეებთან, რომელთაც შეიძლება შეეხოთ კონკრეტული გამორთვა.

8. ნულოვანი წლის 5 ოქტომბრამდე, გადამცემი სისტემის ოპერატორი გამორთვების გეგმებს შესათანხმებლად უგზავნის შესაბამის ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გამორთვების გეგმის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში ელექტროენერგიის მწარმოებელი/გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია წერილობით დაუდასტუროს ან უარყოს მისი ცალკეული დაგეგმილი გამორთვები. ცალკეული დაგეგმილი გამორთვების უარყოფის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი 10 სამუშაო დღის

ვადაში წერილობით ეთანხმება შესაბამისი დაგეგმილი გამორთვების უარყოფას ან უარს ამბობს თანხმობის გაცემაზე.

9. ელექტროენერგიის მწარმოებლის/გადაცემის ლიცენზიატის მიერ გამორთვების გეგმის ცალკეული დაგეგმილი გამორთვის უარყოფის და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შესაბამისი დაგეგმილი გამორთვის უარყოფაზე თანხმობის გაცემის შემთხვევაში გამორთვების გეგმა შეთანხმებულად ითვლება იმ ნაწილში, რომლის შესრულებაც შესაძლებელია უარყოფილი დაგეგმილი გამორთვის გარეშეც. ელექტროენერგიის მწარმოებლის/გადაცემის ლიცენზიატის მიერ წერილობით უარყოფილი გამორთვების გეგმის ცალკეული დაგეგმილი გამორთვების ნაწილში იგულისხმება, რომ ამ პერიოდში გამორთვები არ ხორციელდება.

10. თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი/გადაცემის ლიცენზიატი ამ მუხლის მე-8 პუნქტში მითითებულ ვადაში არც დაადასტურებს და არც უარყოფს გამორთვების გეგმას, იგი ითვლება დადასტურებულად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შედგენილი რედაქციით.

11. ნულოვანი წლის 1 ნოემბრამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა წერილობით უნდა მიაწოდოს შესაბამის ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს გამორთვების საბოლოო გეგმა, რომელშიც ნაჩვენები იქნება, თუ რომელი ენერგობლოკები/აგრეგატები, ელექტროგადამცემი ხაზი ან/და ქვესადგური როდის (პერიოდის მითითებით) შეიძლება გაჩერდეს.

12. გამორთვების საბოლოო გეგმა უნდა განსაზღვრავდეს მოქნილი და ფიქსირებული გამორთვების პერიოდებს, რომელიც დადასტურებული უნდა იქნეს ელექტროენერგიის მწარმოებლების/გადაცემის ლიცენზიატის მიერ ამ მუხლის მე-8– 10 პუნქტებით დადგენილი წესით.

13. ცვლილებების შეტანა გეგმიურ გამორთვებში ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სურს მოქნილი გეგმიური გამორთვების თარიღების შეცვლა ელექტროენერგიის მწარმოებლების/გადაცემის ლიცენზიატების მიერ წარმოდგენილ გეგმაში მითითებული ალტერნატიული თარიღებით;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სურს ფიქსირებული გეგმიური გამორთვების სხვა დროს გადატანა. ამ შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეუძლია, ელექტროენერგიის მწარმოებლის/გადაცემის ლიცენზიატის წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, მოითხოვოს დაგეგმილი გამორთვების გადატანა. თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი/გადაცემის ლიცენზიატი დათანხმდება დაგეგმილი გამორთვების რაიმე სახით ცვლილებაზე, მაშინ იგი ვალდებულია, განახორციელოს გამორთვები ამ შეთანხმების ფარგლებში.

14. იმ შემთხვევაში, თუ ენერგობლოკი/აგრეგატი, რომლისთვისაც გამორთვების გეგმაში გაწერილია გამორთვები, ელექტროენერგიის მწარმოებელს, გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით, შეუძლია ჩაანაცვლოს იგივე ელექტროსადგურის სხვა ბლოკით (რომელსაც დაახლოებით იგივე სიმძლავრე და დისპეტჩირების პარამეტრები აქვს), ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი

ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული და შესაბამისად გააკორექტიროს საბოლოო გამორთვების გეგმა, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი.

15. იმ შემთხვევაში, თუ გადამცემი ხაზი, რომლისთვისაც გამორთვების გეგმაში გაწერილია გამორთვები, გადაცემის ლიცენზიატს, გონივრულ საფუძველზე დაყრდნობით, შეუძლია ჩაანაცვლოს იმავე ქვესადგურის სხვა ელექტროგადამცემი ხაზით (რომელსაც დაახლოებით იგივე გამტარუნარიანობა აქვს), ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია გაითვალისწინოს აღნიშნული და შესაბამისად, გადამცემი ქსელის საიმედოობის გათვალისწინებით, გააკორექტიროს საბოლოო გამორთვების გეგმა, თუ არ არსებობს უარის თქმის საფუძველი.

16. გეგმური სამუშაოების დამთავრების შემდგომ, თუ შეიცვალა ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრე ან გადამცემი ქსელის გამტარუნარიანობა, ელექტროენერგიის მწარმოებელმა უნდა მიუთითოს სიმძლავრის (მგვტ) სიდიდე, რომელიც ენერგობლოკს/აგრეგატს შეეძლება მიაწოდოს ელექტროენერგეტიკულ სისტემას, ხოლო გადაცემის ლიცენზიატმა – გადამცემი ქსელის გამტარუნარიანობა. აღნიშნული ინფორმაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა ეცნობოს წერილობით გეგმური სამუშაოების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 21 ივლისის დადგენილება №19- ვებგვერდი, 28.07.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №35 - ვებგვერდი, 08.07.2021 წ.

მუხლი 42[2]. დაგეგმილი მოკლევადიანი, დაუგეგმავი და იძულებითი გამორთვები

1. ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს ნებისმიერ დროს, მაგრამ კონკრეტული გამორთვის დაწყებამდე არანაკლებ შვიდი (7) დღით ადრე, დისპეტჩერული განაცხადის პროგრამით შეუძლია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისაგან მოითხოვოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტზე ჩასატარებელი სამუშაოს გამო დაგეგმილი მოკლევადიანი გამორთვის უფლება არაუმეტეს 96 საათისა. მოთხოვნის შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის დასახელებას;

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლის შემთხვევაში – გამოსართავი და ხელმისაწვდომი სიმძლავრის (მგვტ) სიდიდეებს;

გ) გამორთვის დაწყების დღეს და დროს ან დროის შესაძლო ინტერვალს;

დ) გამორთვის მოთხოვნილ ხანგრძლივობას.

2. მოთხოვნის მიღებისთანავე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა შეისწავლოს იგი და ელექტროენერგიის მწარმოებელთან/გადაცემის ლიცენზიატთან სიტუაციის განხილვის შემდეგ პასუხი აცნობოს სამი სამუშაო დღის განმავლობაში.

3. თუ ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტს სჭირდება გამორთვა ისე, რომ არ ემთხვევა დაგეგმილ ვადებს (გრძელვადიანი ან/და მოკლევადიანი გამორთვების გეგმებს), ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა დისპეტჩერული განაცხადის პროგრამით დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს აღნიშნულის შესახებ. ასეთი შეტყობინება უნდა მოიცავდეს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის დასახელებას;

ბ) დაუგეგმავი გამორთვის მოსალოდნელი დაწყების დღეს, დროს და ხანგრძლივობას;

გ) ინფორმაციას გამორთვის ხასიათისა და გამორთული სიმძლავრის (მგვტ) სიდიდის შესახებ (მათ შორის ინფორმაციას სიმძლავრეზე, რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იქნეს გამორთვისას).

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გამორთვა შეიძლება განხორციელდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ავარიული შემთხვევის დადგომის ან ავარიის საშიშროების წარმოშობის დროს;

ბ) ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში;

გ) საკუთრებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში;

დ) წყლის უქმი დაღვრის შემთხვევაში.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს ვადაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა დაადასტუროს ან შესთავაზოს ელექტროენერგიის მწარმოებელს/გადაცემის ლიცენზიატს კორექტირების შეტანა გამორთვის დაწყების თარიღთან და პერიოდთან დაკავშირებით. კორექტირებაზე თანხმობის შემთხვევაში ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა უნდა დაუდასტუროს აღნიშნული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

6. იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის იძულებით გამორთვას, ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა დისპეტჩერული განაცხადის პროგრამით უნდა აცნობოს ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს დაუყოვნებლივ. ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის აღდგენის თარიღისა და დროის დადგენისთანავე ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა დისპეტჩერული განაცხადის პროგრამით დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში აღსადგენად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტისა და შესაბამისი ჩანაწერების შემოწმება.

7. ელექტროენერგეტიკული სისტემის ელემენტის იძულებით გამორთვისას, რომლის დროსაც მომხმარებელს შეუწყდა ან შეეზღუდა ელექტროენერგიის მიწოდება ან გამოიწვია საქართველოს

ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის დარღვევა, ელექტროენერგიის მწარმოებელმა/გადაცემის ლიცენზიატმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უმოკლეს ვადებში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია გამომწვევი მიზეზების შესახებ მაფიქსირებელი ჩანაწერების და შესაბამისი დოკუმენტაციის თანდართვით

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 21 ივლისის დადგენილება №19- ვებგვერდი, 28.07.2017 წ.

მუხლი 43. დამატებითი/სასისტემო მომსახურება

1. დამატებით/სასისტემო მომსახურებას, რომლებიც მნიშვნელოვანია გადამცემი ქსელის გამართულად ფუნქციონირებისათვის და რომლებიც განსაზღვრავენ ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მოწოდების ხარისხს, წარმოადგენს:

ა) სიხშირის შენარჩუნების რეზერვი (პირველადი რეზერვი);

ბ) სიხშირის აღდგენის რეზერვი (მეორეული რეზერვი);

გ) ჩანაცვლების რეზერვი (მესამეული რეზერვი);

დ) ძაბვის რეგულირება;

ე) სისტემის აღდგენა ნულოვანი მდგომარეობიდან.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი სრულად უნდა აკონტროლებდეს ყველა დამატებით/სასისტემო მომსახურებას. მან უნდა განსაზღვროს, რომელი დამატებითი/სასისტემო მომსახურება უნდა იყოს გაწეული, როდის და ვის მიერ, რისთვისაც ამ წესების შესაბამისად შეიმუშავებს დამატებითი/სასისტემო მომსახურების გაწევის ინსტრუქციას, რომელსაც შესათანხმებლად წარუდგენს კომისიას.

3. დამატებითი/სასისტემო მომსახურების მიზნებს წარმოადგენს:

ა) იმ მიდგომების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სიხშირისა და ძაბვის რეგულირებას გადამცემ ქსელში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ოპერატიული მართვის განსახორციელებლად;

ბ) რეზერვის ოპერატიული მართვისთვის დროის სხვადასხვა შუალედების დაწესება, რომლითაც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ახორციელებს რეზერვის მართვას და განსაზღვრავს პროცედურებს ენერგობლოკების/აგრეგატების და სხვა საშუალებების რეზერვის შესაფასებლად;

გ) მოთხოვნების შემუშავება იმ ელექტროსადგურებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენაში.

3^1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და დამატებითი/სასისტემო მომსახურების უზრუნველმყოფ სუბიექტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის სტანდარტულ პირობებს

შეიმუშავებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და შესათანხმებლად წარუდგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას.

4. (ამოღებულია - 26.12.17 №46).

5. გადამცემ ქსელში ჩართული ყველა ენერგობლოკი/აგრეგატი, მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა დამატებითი/სასისტემო მომსახურების უზრუნველყოფაში, აღჭურვილი უნდა იყოს სიჩქარის ავტომატური რეგულირების სისტემებით. ყველა სიხშირის ავტომატური რეგულირების სისტემა უნდა მოქმედებდეს სიხშირის ± 0.015 ჰც გადახრაზე.

6. ელექტროენერგიის მწარმოებელს მხოლოდ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, გამონაკლის შემთხვევაში, შეუძლია შეზღუდოს სიჩქარის რეგულატორის ქმედება:

ა) პერსონალის უსაფრთხოების მიზნით და/ან ენერგობლოკის/აგრეგატის დაზიანების თავიდან ასაცილებლად;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის საიმედოობის უზრუნველსაყოფად;

გ) როდესაც შეზღუდვა განხორციელებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისაგან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

7. ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის, მთლიანობისა და მასზე მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, აკონტროლოს გადამცემ ქსელში არსებული ძაბვები დადგენილ ზღვრებში, რომლის განსახოციელებლად უნდა მიმართოს შემდეგ საშუალებებს:

ა) ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ტევადური რეაქტიული სიმძლავრის მართვას მაშუნტირებელი რეაქტორებით;

ბ) რეაქტიულ სიმძლავრეზე (მგვარ) მოთხოვნის კონტროლსა და მართვას;

გ) გადამცემი ქსელში რეაქტიული სიმძლავრის (მგვარ) დანაკარგების კონტროლსა და მართვას;

დ) ენერგობლოკებზე/აგრეგატებზე რეაქტიული სიმძლავრის (მგვარ) მართვას;

ე) ტრანსფორმატორებზე ტრანსფორმაციის კოეფიციენტის ცვლილებას (ავტომატური და დისტანციური);

ვ) რეაქტიული სიმძლავრის მაკომპენსირებელი საშუალებების (სტატიკური კონდესატორები, სინქრონული კომპენსატორები) მართვას;

ზ) ძაბვის რეგულირების დინამიკურ სისტემას.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია განსაზღვროს და შეცვალოს (საჭიროების მიხედვით) გადამცემ ქსელში ძაბვის რეგულირების პროცედურები.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, მუდმივი დაკვირვება აწარმოოს ინსტრუქციებით მიხედვით საკონტროლო კვანძებში ძაბვებზე.

10. თითოეული ენერგობლოკის/აგრეგატის აგზნების სისტემა უნდა მუშაობდეს ძაბვის ავტომატური რეგულატორის მუდმივი კონტროლის ქვეშ. ელექტროენერგიის მწარმოებელს უფლება არ აქვს, გამოიყვანოს მუშაობიდან ძაბვის ავტომატური რეგულატორი ან შეზღუდოს მისი მოქმედება, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევებისა, რომლის დროსაც ელექტროენერგიის მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს:

ა) პერსონალის უსაფრთხოების მიზნით და/ან ენერგობლოკის/აგრეგატის დაზიანების თავიდან ასაცილებლად;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის საიმედოობის უზრუნველსაყოფად;

გ) როდესაც შეზღუდვა განხორციელებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისაგან მიღებული ინსტრუქციის შესაბამისად.

11. თუ ენერგობლოკი/აგრეგატი ძაბვის ავტომატური რეგულატორის გარეშე მუშაობს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეუძლია, შეზღუდოს ან საჭიროების შემთხვევაში მთლიანად გათიშოს ასეთი ენერგობლოკი/აგრეგატი იმისდა მიხედვით, რამდენადაც ეს აუცილებელია დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში გადამცემი ქსელის უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის.

12. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, დაავალოს ელექტროენერგიის მწარმოებელს მოახდინოს რეაქტიული სიმძლავრის გამომუშავების კორექტირება.

13. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, შეცვალოს ენერგობლოკის/აგრეგატის დატვირთვა ან დატვირთვის გრაფიკი, თუ ეს აუცილებელია გადამცემ ქსელში, მიერთების წერტილებში ძაბვების შესანარჩუნებლად ამ წესებით განსაზღვრულ დონეებზე. ამასთან, ასეთი ზომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ავარიული სიტუაციების დასაძლევად, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებენ ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობას ან უსაფრთხოებას.

14. ძაბვის რეგულირების დამატებითი მექანიზმების გამოყენება დასაშვებია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ავარიული პირობების გაჩენისას. ეს შეიძლება სხვა ზომებთან ერთად მოიცავდეს შემდეგ ზომებს:

ა) ელექტროენერგიის მწარმოებელთან შეთანხმებით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მოითხოვოს ენერგობლოკის/აგრეგატის რეაქტიული სიმძლავრის რეგულირება;

ბ) მომხმარებლის დატვირთვის კონტროლი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ წესებით დადგენილი ძაბვის ავარიული ზღვრებიდან გასვლის თავიდან ასაცილებლად.

15. გადამცემი ქსელის გათიშვისას გეგმის მიხედვით (ნორმალური მუშაობის პირობებში) ან/და ავარიული სიტუაციების დროს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შეიძლება დასჭირდეს ისეთი მართვის განხორციელება, რამაც შეიძლება დროდადრო ზემოქმედება მოახდინოს მოსარგებლეების ფუნქციონირების საიმედოობაზე. ასეთ შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, მოითხოვოს გადამცემი ქსელის ოპერატიული გადართვების განხორციელება შემდეგი მიზეზების გამო:

ა) ელექტრომოწყობილობა-ელექტროდანადგარების გამორთვა რემონტის, ტესტირების, რელეური დაცვის შემოწმების ან მოსარგებლეების მიერ სხვა სამუშაოების ჩატარების მიზნით;

ბ) ელექტრომოწყობილობა-ელექტროდანადგარების გამორთვა ავარიის საფრთხის არსებობის ან ავარიული რემონტის აუცილებლობის დროს;

გ) ძაბვის რეგულირების დროს;

დ) გადამცემ ქსელში სიმძლავრეების გადადინების შემცირება იმ სიდიდემდე, რომელიც შეესაბამება გადამცემი ქსელის ქვესადგურების შესაძლებლობებსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოების საჭიროებებს.

16. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გამორთვები შეიძლება განხორციელდეს ავტომატურად, წინასწარი შეტყობინების გარეშე, რელეური დაცვის და სასისტემო ავტომატიკის მოქმედებით.

17. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ავარიის დროს დასაშვებია ავტომატიკის მოქმედებით გამორთვების განხორციელება, რომლის მიზანია სიმძლავრის გადადინებების, კვანძებში ძაბვისა და სიხშირის ცვალებადობის შეზღუდვა.

18. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეატყობინოს შესაბამის მოსარგებლეს გადამცემ ქსელში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება გავლენას ახდენს მოსარგებლის მუშაობაზე.

19. თუ სისტემაში მოხდა ავარია ან ამოქმედდა რელეური დაცვა და სასისტემო ავტომატიკა და შეუძლებელია ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელება, დასაშვებია მოსარგებლეების ინფორმირება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გატარებული ქმედებების შემდგომ.

20. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გათიშოს მოსარგებლის ელექტრომოწყობილობა-დანადგარი, შემდეგი გარემოებების თავიდან ასაცილებლად:

ა) პერსონალის უსაფრთხოების რისკი;

ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის დარღვევის რისკი;

გ) ელექტრომოწყობილობა-დანადგარის დაზიანების რისკი;

დ) გადამცემი ქსელის ელემენტების გადატვირთვა ავარიულ ლიმიტებზე მეტად;

ე) ძაბვისა და სიხშირის გადახრა ამ წესებით დადგენილი ზღვრების ფარგლებს გარეთ;

ვ) გადამცემ ქსელთან მიერთების პირობების ნებისმიერი მნიშვნელოვანი დარღვევა;

ზ) ნებისმიერი ქმედება ან უმოქმედობა, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

21. რეზერვი წარმოადგენს გენერაციის გამოუყენებელ სიმძლავრეს, რომელიც გამოიყენება რეალურ დროში სიხშირის დასაშვებ ზღვრებში და მიწოდება-მოხმარების ბალანსის შესანარჩუნებლად, მოთხოვნის პროგნოზის უზუსტობისა და ენერგობლოკის/აგრეგატის მოულოდნელი გათიშვის შემთხვევებში. რეზერვი შედგება სიხშირის შენარჩუნების (პირველადი), სიხშირის აღდგენის (მეორეული) და ჩანაცვლების (მესამეული) რეზერვისგან.

22. სიხშირის შენარჩუნების რეზერვი (პირველადი რეზერვი) მოქმედებაში მოდის სიხშირის პირველადი რეგულირებისას. ელექტროენერგიის მწარმოებელი, რომლის ენერგობლოკი/აგრეგატი სისტემას სიხშირის შენარჩუნების რეზერვით (პირველადი რეზერვით) უზრუნველყოფს, ვალდებულია სიჩქარის რეგულატორი ამუშავოს სიხშირის ცვლილების მიმართ ავტომატურ რეჟიმში (თავისუფალი რეგულირების რეჟიმი). სიჩქარის ავტომატური რეგულატორის რეაგირების მაქსიმალური დრო არ უნდა აღემატებოდეს ორ (2) წამს. პირველადი რეგულირების დასრულების ანუ სიმძლავრის წონასწორობის აღდგენის დრო არ უნდა აღემატებოდეს 30 წამს. სიხშირის შენარჩუნების რეზერვს (პირველად რეზერვს) უნდა შეეძლოს მოქმედება არანაკლებ 20 წუთის განმავლობაში.

23. სიხშირის აღდგენის რეზერვის (მეორეული რეზერვის) გამოყენება ხდება სიხშირის მეორეული რეგულირებისას. სიხშირის აღდგენის რეზერვის ამოქმედების დრო შეადგენს შეშფოთებიდან 15 წუთს. სიხშირის აღდგენის რეზერვის მოქმედების ხანგრძლივობა შეადგენს 2 საათს.

24. ჩანაცვლების რეზერვი (მესამეული რეზერვი) იყოფა ორ საფეხურად:

ა) პირველი საფეხური მოქმედებაში უნდა მოვიდეს ავარიიდან 2 საათის განმავლობაში და უნდა შეეძლოს მუშაობა არანაკლებ 24 საათისა;

ბ) მეორე საფეხური მოქმედებაში უნდა მოვიდეს ავარიიდან 24 საათის განმავლობაში და უნდა შეეძლოს მუშაობა არაუმეტეს 1 წლისა.

24^1. ჩანაცვლების რეზერვის ამოქმედება გულისხმობს ელექტროსადგურის მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მოთხოვნილ ვადაში, მაგრამ არაუადრეს ამ წესებით განსაზღვრული ვადისა, მოთხოვნილი სიმძლავრის აღებას, არაუმეტეს კონკრეტული ელექტროსადგურისთვის სიხშირის ჩანაცვლების რეზერვის დადგენილი მოცულობისა.

25. (ამოღებულია - 26.12.17 №46).

26. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, განსაზღვროს პირველადი, მეორეული და მესამეული რეზერვების მოცულობა, რომელიც ნებისმიერ დროს უნდა არსებობდეს სისტემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამ დროს, სხვა გარემოებებთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებები:

ა) ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოვლენები;

ბ) რეზერვების ეკონომიკური მაჩვენებლები;

გ) სისტემაში ჩართული ყველაზე დიდი დადგმული სიმძლავრის მქონე ენერგობლოკი/აგრეგატი, ასევე სისტემათაშორისი და შიდასასისტემო გადამცემი ხაზების გამტარუნარიანობები;

დ) კლიმატური პირობები, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ (პირდაპირ ან არაპირდაპირ) ენერგობლოკების/აგრეგატების და გადამცემი ქსელის საიმედოობაზე;

ე) ელექტროენერგეტიკული სისტემის ყველაზე დატვირთული ელემენტის გამორთვით გამოწვეული სიხშირის მოსალოდნელი ცვლილება, რომელიც გამოთვლილია ელექტროენერგეტიკული სისტემის მათემატიკური მოდელის გამოყენებით.

27. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა აღრიცხოს და აკონტროლოს დამატებითი/სასისტემო მომსახურების გამოყენების ხარისხი.

28. (ამოღებულია - 26.12.17 №46).

29. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენა ხორციელდება შემდეგი სახითა და მოთხოვნების დაცვით:

ა) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღსადგენად საჭიროა ისეთი ელექტროსადგურების არსებობა, რომლის ერთ ენერგობლოკს/აგრეგატს მაინც შესწევს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შესაბამისი მითითების მიღებიდან უმოკლეს ვადაში, ძაბვის არარსებობის პირობებში, გაშვების, ავტონომიურად მომხმარებლის დატვირთვისა და ქსელთან მიერთების უნარი;

ბ) ელექტროენერგიის იმ მწარმოებლებმა, რომელთა ვალდებულებაა სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენა, უნდა უზრუნველყონ სიხშირისა და ძაბვის წინასწარ განსაზღვრული დონეების შენარჩუნება და დატვირთვის აღება ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენის პერიოდში;

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა გადაამოწმოს სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის რეალური შესაძლებლობანი, ასეთი გათიშვის დადგომის შემთხვევაში;

დ) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის განმახორციელებელმა ელექტროენერგიის მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან დამაკავშირებელი ხმოვანი და სხვა სახის კომუნიკაციების არსებობა და ოპერირება ელექტროენერგიის გარეშე

წყაროების გამოუყენებლად იმ პერიოდის მანძილზე, რომელიც განისაზღვრება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ;

ე) თუ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის პროცესში, ენერგობლოკს/აგრეგატს არ შეუძლია პარამეტრების დადგენილ დონეზე შენარჩუნება, ელექტროენერგიის მწარმოებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გასცეს შესაბამისი განკარგულება არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით. ელექტროენერგიის მწარმოებელმა შეიძლება პერსონალისა და ელექტრომოწყობილობა-ელექტროდანადგარების უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, განახორციელოს სიმძლავრის ცვლილება დამოუკიდებლად, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს;

ვ) ელექტროენერგიის მწარმოებელმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა წარუდგინოს ანგარიში ყველა გატარებული ქმედების შესახებ.

30. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის განმახორციელებელ ელექტროენერგიის მწარმოებელთა ვალდებულებები ასახული უნდა იყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებაში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

მუხლი 44. ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა და შეტყობინებები

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის ელექტროენერგეტიკული სისტემისა და ელექტრომოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხოდ მართვისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) ავარიული სიტუაციების დროს დროული და ეფექტიანი ოპერატიული კავშირის ჩამოყალიბება;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და მოსარგებლეებს შორის გასაგზავნი ავარიული სიტუაციებისა და მათი გამომწვევი შემთხვევების ანგარიშის ფორმების მომზადება;

გ) იმ პროცედურების განსაზღვრა, რომლებიც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა გამოიყენოს მოსარგებლის მომსახურების ხარისხზე მატერიალური ზეგავლენის გამომწვევი მნიშვნელოვანი შემთხვევების გამოსაკვლევად.

2. შეტყობინებები ხორციელდება შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა ნებისმიერი მოსარგებლე უნდა გააფრთხილოს მის ელექტრომოწყობილობა-დანადგარებზე იმ შესაძლო გავლენების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვეული იქნეს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული მართვისას;

ბ) მოსარგებლემ უნდა შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს იმ შესაძლო მნიშვნელოვანი შემთხვევების შესახებ, რაც გავლენას მოახდენს ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე;

გ) შეტყობინება უნდა გაიგზავნოს რეალური ვითარებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ და ამასთან, შეძლებისდაგვარად დეტალურად უნდა აღწერდეს არსებულ მდგომარეობას, საშუალებას აძლევდეს შეტყობინების მიმღებს განიხილოს და შეაფასოს მოსალოდნელი შედეგები და რისკები.

3. მოსარგებლის შეტყობინების მიღების შემდეგ, თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ჩათვლის, რომ მომხდარ შემთხვევას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა გადამცემ ქსელზე, იგი უფლებამოსილია, მოსარგებლეს მოსთხოვოს დეტალური წერილობით ანგარიში ამ შემთხვევის შესახებ, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:

ა) ამ წესებით დადგენილი სიხშირის ზღვრების დარღვევას;

ბ) ამ წესებით დადგენილი ძაბვის ზღვრების დარღვევას;

გ) მომხმარებლის გათიშვას;

დ) კუნძულოვან ან ავტონომიურ რეჟიმს;

ე) ელექტროენერგეტიკული სისტემის არასტაბილურობას.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა გამოიკვლიოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი შემთხვევა, რომელმაც შეიძლება მატერიალური ზეგავლენა მოახდინოს მოსარგებლეზე. ეს შემთხვევები შეიძლება მოიცავდნენ მიწოდებაში შეფერხებებს, გათიშვებს, ძაბვების ან სიხშირის გადახრებს, მომსახურების ხარისხის გაუარესებასა და სხვ. მნიშვნელოვანი შემთხვევის პირველადი ანგარიში ხელმისაწვდომი უნდა იყოს თხუთმეტი (15) სამუშაო დღის შემდეგ, ხოლო საბოლოო ანგარიში კი ორი (2) თვის მანძილზე. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა ინიცირება და კოორდინაცია უნდა გაუკეთოს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა კვლევა, ანგარიშის წერილობით მომზადება და მონაწილე მხარეების ჩართულობა პროცესში. მოსარგებლეებმა ყველა არსებული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს და მონაწილეობა მიიღონ კვლევაში, მიზანშეწონილობისა და საჭიროების მიხედვით.

5. მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა უნდა მოამზადონ და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უნდა მიაწოდონ ყოველთვიური მუშაობის ანგარიში. ეს ანგარიშები უნდა მოიცავდნენ მუშაობის მონაცემებს, მნიშვნელოვანი მოვლენების შეფასებებსა და სხვა პრობლემებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ წინა თვის განმავლობაში; იმ ღონისძიებათა ჩამონათვალს, რომელიც გაატარეს მოსარგებლეებმა და გადაცემის ლიცენზიატებმა პრობლემების გადასაჭრელად და რეკომენდაციებს მომავალში მათი თავიდან ასაცილებლად. მოსარგებლეებმა აგრეთვე უნდა მოამზადონ და წარუდგინონ დისპეჩერიზაციის ლიცენზიატს კვარტალური და წლიური ოპერატიული მუშაობის ანგარიშები, რომლებიც უნდა მოიცავდეს ოპერირების მონაცემებს და ისეთ მნიშვნელოვან შემთხვევებს, რომლებმაც მატერიალური ზეგავლენა მოახდინეს გადამცემ ქსელსა თუ რომელიმე მოსარგებლეზე მოცემული კვარტლის ან წლის მანძილზე.

მუხლი 45. ოპერატიული კავშირი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, გადაცემის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის

1. ოპერატიული კავშირი გულისხმობს გადამცემი ქსელის სათანადო ფუნქციონირების და მართვის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შორის სტანდარტული და გამართული კავშირის არხების და საშუალებების გამოყენებას ინფორმაციის დროულად გაცვლის მიზნით. მათ შორის:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების საკონტაქტო ინფორმაციის განსაზღვრას;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის კავშირის საშუალებების დეტალურ აღწერას;

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცედურის განსაზღვრას;

დ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების პერსონალისთვის უფლებამოსილების გადაცემის ზოგადი პროცედურის განსაზღვრას.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ეროვნული სადისპეტჩერო სამსახური და მოსარგებლის ოპერატიული მართვის პუნქტები უნდა იყოს აღჭურვილი დამოუკიდებელ, გამოყოფილ არხზე ჩართული ტელეფონითა და ფაქსის აპარატით, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ოპერატიული მიზნებისთვის.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებულნი არიან, დაიცვან ერთმანეთისთვის გადაცემული ოპერატიული მონაცემების კონფიდენციალურობა, გარდა კანონმდებლობით და ამ წესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საკომუნიკაციო სისტემები და მოწყობილობა:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს შორის კომუნიკაციის მიზნით სავალდებულოა I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის და მონაცემთა გადაცემის სხვა სისტემების განთავსება. ყველა მოწყობილობა თავსებადი უნდა იყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მართვის სისტემასთან;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის დანერგვას რეალურ დროში ინფორმაციის მონიტორინგის და მოსარგებლის ობიექტებზე არსებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მართვის მიზნით;

გ) ელექტროენერგეტიკული სისტემის ყველა მონაწილე ვალდებულია, უზრუნველყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მოთხოვნილი პარამეტრების ხმოვანი კავშირის

განხორციელება, როგორც პირველადი, ისე ალტერნატიული კავშირის არხის უზრუნველყოფის გზით;

დ) ელექტროენერგეტიკული სისტემის ყველა მონაწილე უზრუნველყოფს თავის ოპერატიული მართვის პუნქტზე ჩამწერი მოწყობილობის გამართულ ფუნქციონირებას;

ე) ყველა საკომუნიკაციო მოწყობილობის განთავსება, ფუნქციონირება და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

5. მაკონტროლებელი და ჩამწერი მოწყობილობები:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფს I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის განთავსებას მოსარგებლის შესაბამის ობიექტზე. იმ მოსარგებლეების ჩამონათვალს, რომელთა ობიექტებზეც აუცილებელია I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტის განთავსება, განსაზღვრავს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი. შესაბამისმა მოსარგებლემ უნდა უზრუნველყოს კავშირის მოწყობილობაზე დისტანციური მართვისთვის საჭირო ყველა იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც განსაზღვრულია მიერთების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლებმა უნდა უზრუნველყონ აქტიური და რეაქტიული სიმძლავრის გაზომვის შედეგები და ამომრთველის და გამთიშველის მდგომარეობების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თითოეულ ენერგობლოკზე/აგრეგატზე.

გ) გადამცემი ქსელის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის კონტროლის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფს, მუშაობის ნორმალური რეჟიმის, გარდამავალი პროცესის და მოწყობილობების მდგომარეობის ჩაწერას და შენახვას;

დ) ენერგოსისტემის დინამიკური რეჟიმის კონტროლის მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფს შესაბამისი მოწყობილობის განთავსებას ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილის ობიექტზე.

6. I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი:
ა) უზრუნველყოფს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და მოსარგებლეებს შორის ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის და მონაცემების გადაცემას და გაცვლას;
ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ერთმანეთს უკავშირდებიან სტანდარტული ციფრული ინტერფეისის საშუალებით. საკომუნიკაციო მოწყობილობის კარადები განთავსებული უნდა იყოს მოსარგებლის ობიექტზე შესაბამის ოთახში. მოსარგებლის ელექტროსადგურიდან და ელექტრომოწყობილობიდან საკომუნიკაციო მოწყობილობის კარადებამდე გაყვანილობისა და სიგნალების მიწოდების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია შესაბამისი მოსარგებლე;
გ) კავშირის ყველა საშუალება (I დონის SCADA-ს კომუნიკაციის ელემენტი-ს ჩათვლით) უნდა იყოს დაცული.
7. II და III დონის SCADA-ს და მონაცემთა გადაცემის სისტემების განთავსება ხორციელდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებული არიან, შეათანხმონ

დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან II და III დონის SCADA-ს და მონაცემთა გადაცემის მოწყობილობების ტიპები;
ბ) II და III დონის SCADA-ს და მონაცემთა გადაცემის სისტემების დანერგვის, განთავსებისა და ექსპლუატაციის დანახარჯებს უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის შესაბამისი მონაწილე.

8. III დონის SCADA-ს საკუთარი ხარჯით აწყობს „C" და „D" კატეგორიის გენერაციის ობიექტი.

9. I დონის SCADA-ს ელემენტს ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ მწარმოებლების ობიექტზე აწყობს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი საკუთარი ხარჯით.

10. განაწილების ლიცენზიატები ვალდებულნი არიან, განაწილების ქსელში საკუთარი ხარჯით მოაწყონ III დონის SCADA, ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯით განათავსოს განაწილების ლიცენზიატის 110 კვ. ძაბვის ობიექტებზე I დონის SCADA-ს ელემენტი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება №24 - ვებგვერდი, 17.10.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №43 - ვებგვერდი, 03.11.2021 წ.

მუხლი 46. გადამცემი ქსელის გადატვირთვის მართვა

1. გადამცემი ქსელის გადატვირთვის მართვის მიზანია ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ამავე დროს ელექტროენერგიაზე მოსარგებლეების მოთხოვნის შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

2. გადამცემი ქსელის გადატვირთვა შეიძლება მოხდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) ენერგობლოკების/აგრეგატების გაუმართავი მუშაობის ან ავარიული გამორთვის დროს;

ბ) გადამცემი ხაზის ან ელექტროენერგეტიკული სისტემის რომელიმე სხვა ელემენტის გაუმართავი მუშაობის ან ავარიული გამორთვის დროს;

გ) ტესტირების, ტექნიკური მომსახურების ან რემონტის გამო გენერატორის ან ელექტროენერგეტიკული სისტემის რომელიმე ელემენტის გამორთვის დროს;

დ) დატვირთვის და/ან ძაბვის ისეთი ცვლილების დროს, რომელიც გავლენას ახდენს ელექტროენერგეტიკული სისტემის ნაწილზე ან მთლიანად სისტემაზე;

ე) განაწილების ქსელში არსებული ისეთი შემთხვევების არსებობის დროს, რომელიც გავლენას ახდენს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობაზე;

ვ) როდესაც სიმძლავრის გადასაცემი მოცულობა აღემატება ელექტრო გადამცემი ხაზებისთვის განსაზღვრულ ლიმიტს (გამტარუნარიანობა);

ზ) როდესაც მეზობელ ელექტროენერგეტიკული სისტემის შიდა გადამცემ ქსელში გადატვირთვის გამო დაგეგმილი ექსპორტისა და იმპორტის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების წარმოშობის დროს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა მიიღოს მდგომარეობის გამოსასწორებელი შესაბამისი ზომები, გადამცემ ქსელში შეზღუდვების აღკვეთის ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით, რათა დაცული ან აღდგენილ იქნას ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირება N-1 საიმედოობის კრიტერიუმის შესაბამისად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განსაზღვრავს გადაცემის ქსელის გადატვირთვის ხასიათიდან გამომდინარე მდგომარეობის გამოსასწორებელ ზომებს მათი ეფექტიანობის მიხედვით და დაუყოვნებლივ ახორციელებს მათ. ეს ზომებია:

ა) რეზერვების ამოქმედება;

ბ) დისპეტჩერიზაციის გეგმის შეცვლა (რედისპეტჩირება);

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ოპერატიული მართვის შესაბამისი პროცედურების შესრულება, ძაბვის შემცირების ჩათვლით;

დ) მოსარგებლეებისთვის დაგეგმილი მიწოდების შეზღუდვა ან შეწყვეტა;

ე) დაგეგმილი ექსპორტის და/ან იმპორტის შემცირება ან შეწყვეტა;

ვ) მომხმარებლის დატვირთვის გამორთვა.

4. მდგომარეობის გამოსასწორებლად სხვა ქმედითი ღონისძიებების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, უნდა მოხდეს დაგეგმილი მიწოდების შემცირება ან შეწყვეტა, ექსპორტის და/ან იმპორტის ჩათვლით. გადამცემი ქსელის გადატვირთვის მოხსნამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა შეამციროს ან შეწყვიტოს ელექტროენერგიის დაგეგმილი გამომუშავება და მიწოდება მოსარგებლეებისათვის არადისკრიმინაციული პირობებით და უზრუნველყოს პროცედურის გამჭვირვალობა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

მუხლი 47. მოქმედების გეგმა ავარიული სიტუაციის დროს

1. ავარიული სიტუაციის დროს ელექტროენერგეტიკული სისტემის ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაქრობის შემთხვევების თავიდან აცილების ან გამორთვის შემდეგ ნორმალური ფუნქციონირების

სწრაფად და უსაფრთხოდ აღდგენის მიზნით, უნდა განხორციელდეს ელექტროენერგეტიკული სისტემის მასშტაბით შესაბამისი სწავლება.

2. ავარიის ლიკვიდაციისთვის მოსამზადებელი ნებისმიერი სასწავლო წვრთნა, რომელსაც ატარებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გადაცემის ლიცენზიატი ან მოსარგებლე, შეთანხმებული უნდა იყოს მათ შორის და აგრეთვე ნებისმიერ იმ მოსარგებლესთან, რომელზეც შეიძლება გავლენა მოახდინოს აღნიშნულმა სწავლებამ.

3. ავარიული სიტუაციის დროს მოქმედების გეგმის შედგენის, სწავლებების ჩატარების პირობები და ვადები:

ა) ნაწილობრივი და სრული ჩაქრობის ლიკვიდაციის გეგმები უნდა ითვალისწინებდეს ავარიული მდგომარეობიდან სწრაფად და უსაფრთხოდ გამოსვლის ღონისძიებებს იმგვარად, რომ მოსარგებლეზე ამან მინიმალური გავლენა მოახდინოს;

ბ) ავარიული სიტუაციის დროს მოქმედების ყველა გეგმა პერიოდულად უნდა შემოწმდეს შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად რეალურ გარემოში ტესტირებით. თუ ასეთი ტესტირება საფრთხის წინაშე აყენებს მოსარგებლეს ან იწვევს დიდ ხარჯებს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ტესტირების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული საფრთხის და ხარჯების გათვალისწინებით. ტესტირების ხარჯებს უზრუნველყოფს შესაბამისი აქტივების მფლობელი (მფლობელები);

გ) მოსარგებლეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ავარიული სიტუაციისას მოქმედების გეგმებთან დაკავშირებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნები;

დ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განსაზღვრავს ელექტროენერგიის მიწოდების ცვლილების მოთხოვნებს, მოსარგებლეებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ. მოსარგებლეებს უფლება აქვთ შესათანხმებლად წარადგინონ ალტერნატიული ვარიანტები;

ე) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხისმგებელია გადამცემი ქსელის საოპერაციო ზღვრების დადგენაზე;

ვ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა რეგულარულად უნდა ჩაატაროს სისტემის აუცილებელი კვლევები, რათა განსაზღვროს, რა გავლენა ექნება სხვადასხვა ელემენტის მწყობრიდან გამოსვლას გადამცემი ქსელის საიმედოობაზე. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნით, განაწილების ლიცენზიატებმა ასევე უნდა ჩაატარონ საჭირო კვლევები ქსელის მათ ნაწილში და აცნობონ შედეგები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს;

ზ) ავარიული სიტუაციის დროს, პირველ რიგში, ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ პერსონალისა და მოწყობილობის უსაფრთხოება. ხოლო შემდეგ, გადამცემი ქსელის ერთიანობის დასაცავად - შესაბამისი ოპერაციების განხორციელება;

თ) ავარიული სიტუაციისთვის მოსამზადებელი სასწავლო წვრთნები ტარდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. სასწავლო წვრთნების დროს უნდა მოხდეს რეალური ავარიული სიტუაციის სიმულაცია. ამასთან, უნდა განხორციელდეს სასწავლო წვრთნების შეფასება, პროცედურებში

არსებული ნაკლოვანებების დაფიქსირება, მათი აღმოფხვრის გზების განსაზღვრა და შესაბამისი შესწორებების შეტანა;

ი) სისტემაში ავარიული სიტუაციების სამართავად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშაოს და განახორციელოს ავარიულ სიტუაციებში სამოქმედო გეგმა (გეგმები), რომელიც სხვა გარემოემებთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

ი.ა) სიხშირის შემცირებით მოსარგებლეების (მომხმარებლების) გამორთვა;

ი.ბ) ძაბვის შემცირებით მოსარგებლეების (მომხმარებლების) გამორთვა;

ი.გ) კრიტიკული სიტუაციების მართვა (ბუნებრივი კატაკლიზმებისა და სხვა მოულოდნელი მოვლენების დროს);

ი.დ) მიერთების ყველა წერტილისთვის შესაძლო იძულებითი გათიშვა;

ი.ე) მიწოდების აღდგენა.

4. გადამცემი ქსელის ნაწილობრივ ან მთლიანად გათიშვის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს ყველა მოსარგებლისათვის მიწოდების ნორმალური რეჟიმის აღდგენის სწრაფი და უსაფრთხო მექანიზმის შემუშავება, რაც მოიცავს:

ა) სისტემის აღდგენის ზოგადი სტრატეგიის უზრუნველყოფას;

ბ) სისტემის აღდგენის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას;

გ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების ვალდებულებას, ითანამშრომლონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სისტემის აღდგენის გეგმის შემუშავებასა და განხორციელებაში;

დ) დისპეტერიზაციის ლიცენზიატისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილის სათანადო პერსონალის სწავლებას.

5. გადამცემი ქსელის აღდგენის პროცესში ძაბვისა და სიხშირის სტანდარტული ზღვრები (ნორმალური და ავარიის შემდგომი) არ გამოიყენება.

6. ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენის გეგმა, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად ყველა მონაწილისათვის, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილებას, გასცეს განკარგულებები სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობის მქონე ენერგობლოკების/აგრეგატების გაშვების ინიცირების მიზნით;

ბ) ელექტროენერგიის მწარმოებლების ვალდებულებებს, რომელთა ენერგობლოკები/აგრეგატები უზრუნველყოფენ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენას;

გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილებას, კოორდინაცია გაუწიოს დამატებითი რეზერვების უზრუნველყოფას;

დ) შესაბამისი პროცედურის დასრულებისა და სისტემის აღდგენის შემდეგ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ვალდებულებას, აცნობოს სისტემის მონაწილეებს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ნორმალურ რეჟიმში დაბრუნების შესახებ;

ე) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მეზობელი ქვეყნების სისტემების ოპერატორებთან სიმძლავრის მიღების შესაძლებლობის შეთანხმების საკითხს.

7. ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაქრობისას ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენის ზოგადი სტრატეგია უნდა მოიცავდეს:

ა) ელეტროენერგეტიკულ სისტემაში კუნძულოვანი უბნების შექმნას;

ბ) ელეტროენერგეტიკულ სისტემის იზოლირებული ნაწილების ეტაპობრივ ინტეგრაციას შედარებით დიდ ნაწილებთან;

გ) ელეტროენერგეტიკულ სისტემის მთლიან აღდგენას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

მუხლი 48. საექსპლუატაციო ტესტირება

1. საექსპლუატაციო ტესტირების განსახორციელებლად საჭიროა:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ან ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვა მონაწილის მიერ ელექტროენერგეტიკული სისტემის სამოქმედო ტესტების ჩატარების პროცესის განსაზღვრა, ისე, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალის, ელექტრომოწყობილობა-დანადგარებისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის უსაფრთხოება;

ბ) ასეთი ტესტების ჩატარების პროცედურის დადგენა.

2. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილემ გადამცემ ქსელზე ტესტირების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში, განაცხადით უნდა მიმართოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. განაცხადი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) დაგეგმილი ტესტის მიზანსა და ხასიათს;

ბ) ტესტირებაში მონაწილე ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მასშტაბსა და მდგომარეობას;

გ) დაგეგმილი ტესტის პროცედურას, კომუტაციის (გადართვის) თანმიმდევრობისა და დროის მითითებით.

3. საექსპლუატაციო ტესტების ჩატარების მოთხოვნა უნდა ითვალისწინებდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შეთავაზებული ტესტის დასაგეგმად საჭირო გონივრულ ვადას. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ადგენს თითოეული ტიპის ტესტისთვის საჭირო დროს.

4. დაგეგმილი ტესტის დამტკიცებამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, იმ შემთხვევაში თუ ტესტის ჩატარების შესახებ განაცხადში არასაკმარისი ინფორმაციაა ან დაგეგმილი ტესტის პროცედურა ვერ უზრუნველყოფს პერსონალისა და ქსელის უსაფრთხოებას.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ტესტირების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას, სათანადო ინფორმაციასთან ერთად, ტესტირების მსურველის გარდა აცნობებს ელექტროენერგეტიკული სისტემის იმ მონაწილეებს, რომლებიც ხვდებიან დაგეგმილი ტესტის ზემოქმედების ქვეშ.

6. საექსპლოატაციო ტესტის ჩატარების ინიციატორი შეიძლება იყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, თუ ეს ტესტი საჭიროა გადამცემი ქსელის უსაფრთხო, სტაბილური და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

7. ტესტის ჩატარების შესახებ განაცხადის მიღებიდან არაუმეტეს ერთ თვეში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ატყობინებს ტესტირების მსურველ და ზემოქმედების ქვეშ მყოფ ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებს დაგეგმილი ტესტის შესახებ. შეტყობინება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემოთავაზებული ტესტის მიზანსა და ხასიათს, მასში მონაწილე ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მასშტაბსა და მდგომარეობას, ტესტირების მსურველისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხვა მონაწილეების დასახელებას;

ბ) ტესტის კოორდინაციის მიზნით, შესაქმნელი ტესტირების ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობისათვის წევრების წარმოდგენის თხოვნას;

გ) თუ ტესტი მოიცავს მაღალი ძაბვის ელექტრომოწყობილობასთან მუშაობას ან მის ტესტირებას, უნდა მოხდეს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) ინფორმირება და ამ წესებით დადგენილი შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება.

8. ტესტირების მონაწილეებმა ტესტირების ჩატარებაზე შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში უნდა წარუდგინონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესაბამისი კანდიდატურები ტესტირების ჯგუფის შემადგენლობაში..

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ქმნის ტესტირების ჯგუფს და ნიშნავს ტესტირების კოორდინატორს. ტესტირების ჯგუფის შეხვედრების ჩატარების სიხშირეს განსაზღვრავს ტესტირების კოორდინატორი საჭიროებისამებრ.

10. ტესტირების ჯგუფის დღის წესრიგში უნდა იყოს გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

ა) დაგეგმილი ტესტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია და მისი ხასიათი. ტესტის ჩატარების განაცხადში შემავალი სხვა საკითხები;

ბ) ტესტირების მსურველის მიერ მოწოდებული ტესტის პროცედურის შეფასება, მასში საჭირო ცვლილებების შეტანა და ტესტის პროცედურის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბება;

გ) შესაძლებლობა, შემოთავაზებული ტესტი დაიგეგმოს ნებისმიერ სხვა ტესტთან (ტესტებთან) და მოწყობილობის სარემონტო სამუშაოებთან ერთდროულად, რომლის საჭიროება შეიძლება გაჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ან ელექტროენერგეტიკული სისტემის სარემონტო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;

დ) გადამცემი ქსელისთვის დაგეგმილი ტესტის ეკონომიკური, ოპერაციული შედეგები და მასთან დაკავშირებული რისკი. ენერგობლოკის/აგრეგატის საათობრივი გრაფიკების განსაზღვრა.

11. ტესტირების მსურველმა და სისტემის შესაბამისმა მონაწილემ (ჯგუფში წარმომადგენლის არ მქონე მონაწილეების ჩათვლით) მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყონ ტესტირების ჯგუფი ინფორმაციით.

12. ტესტირების ჯგუფი გადასცემს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ტესტირების მსურველსა და შესაბამის სისტემის მონაწილეებს დაგეგმილი ტესტის პროგრამას, რომელიც მოიცავს:

ა) ტესტირების გეგმას;

ბ) ტესტირების, მათ შორის, ტესტის მონიტორინგის პროცედურას;

გ) პასუხისმგებელი პირების სიას, უსაფრთხოების ზომების კოორდინირებაზე პასუხისმგებელი პირების (საჭიროების შემთხვევაში) და ტესტის განხორციელებაში მონაწილეთა ჩათვლით.

13. თუ ტესტირების ჯგუფი ვერ შეიმუშავებს ტესტირების პროგრამას ან ვერ მიაღწევს შეთანხმებას ტესტირების პროგრამის განხორციელების შესახებ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი იღებს ტესტის ჩატარების, ტესტირების პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას, იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტესტირების ჩატარება გადამცემი ქსელის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

14. ტესტის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, ტესტირების ჯგუფის გადაწყვეტილების შესაბამისად, ტესტირების ინიციატორი ამზადებს და გადასცემს საექსპლოატაციო ტესტის ანგარიშს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, შესაბამისი ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეებსა და ტესტირების ჯგუფის წევრებს.

მუხლი 49. ტესტირება მოსარგებლის ობიექტის მუშაობის მონიტორინგის, კვლევისა და შემოწმების მიზნით

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გადამცემი ქსელის უსაფრთხო და ეკონომიური მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა, განხორციელდეს შესაბამისი ტესტების ჩატარება. სისტემის მონაწილის ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მუშაობის მონიტორინგის მიზნით.

2. მონიტორინგის დროს შესამოწმებელი სამუშაო პარამეტრები, სხვა პარამეტრებთან ერთად მოიცავს შემდეგს:

ა) თითოეული ენერგობლოკის/აგრეგატის მიერ უზრუნველყოფილ პირველად, მეორეულ და მესამეულ რეზერვს;

ბ) თითოეული ენერგიბლოკის/აგრეგატის მიერ სიხშირის რეგულირებას;

გ) სტატიკური და დინამიკური რეაქტიული სიმძლავრის უზრუნველყოფას;

დ) ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრეს.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, განახორციელოს კვლევა, რომლის დროსაც:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მოიპოვებს ინფორმაციას მონაწილის ელექტრომოწობილობა-დანადგარების საპროექტო, საექსპლუატაციო მონაცემებისა და ამ წესებითა და მიერთების ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;

ბ) შესაბამისი შეტყობინების გადაცემის შემდეგ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, შესაბამისი მონაწილის ობიექტზე გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი, ნებისმიერი ელექტრომოწყობილობა-დანადგარის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცედურის შესამოწმებლად.

4. ტესტირება და შედეგების მოპოვება ხორციელდება მონაწილის ობიექტის ფუნქციონირების მონიტორინგის გზით.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, ტესტირების მიზნებისთვის გამოსცეს სადისპეტჩერო განკარგულება და შექმნას ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ისეთი პირობები, როდესაც საჭირო იქნება სიხშირის ან ძაბვის რეგულირება იმისათვის, რომ დაადგინოს, მონაწილეობს თუ არა ენერგობლოკი/აგრეგატი ძაბვისა და სიხშირის რეგულირებაში გამოცხადებული მზადყოფნის შესაბამისად.

6. ექსპლუატაციაში გაშვების ტესტირება ერთ-ერთი ბოლო ქმედებაა ელექტრომოწყობილობა-დანადგარის, დამცავი მექანიზმებისა და სხვა სისტემების ტესტირების მიზნით იმისათვის, რომ შემოწმდეს, სათანადოდ მუშაობს თუ არა ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილის ელექტრომოწყობილობა-დანადგარი.

7. გაშვების ტესტის ჩატარების დროს სავალდებულოა შემდეგი პროცედურის დაცვა:

ა) ამ წესებითა ან/და მიერთების ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ტესტირება ტარდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ექსპლუატაციაში გაშვების ტესტირების წინასწარ

დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. ტესტირების ჩატარების პროცესს უნდა დაესწროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წარმომადგენელი;

ბ) შესაბამისი მონაწილე ამზადებს გაშვების ტესტის პროგრამას (რომელშიც განსაზღვრულია სატესტო კრიტერიუმები) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული ფორმის მიხედვით და განსახილველად და დასამტკიცებლად გადასცემს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ტესტირების თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე;

გ) შესაბამისი მონაწილე ვალდებულია, ტესტირებისთვის უზრუნველყოს ტესტის სწორად ჩასატარებლად საჭირო ყველა მოწყობილობა;

დ) შესაბამისი მონაწილე ვალდებულია, მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს განსახილველად და დასამტკიცებლად გაშვების ტესტისთვის გამოყოფილი პერსონალისა და მოწყობილობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;

ე) ტესტირების დროს ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა მოსთხოვოს შესაბამის მონაწილეს მათი გამოსწორება;

ვ) გაშვების ტესტირების დასრულების შემდეგ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი გასცემს მიერთებაზე თანხმობას ან დამატებითი ტესტირების ჩატარების მითითებას. თანხმობის შემთხვევაში, გადამცემ ქსელში ჩართვა განხორციელდება შესაბამისი მონაწილის მიერ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის მომსახურების მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

8. ენერგობლოკის/აგრეგატის შესაძლებლობების ტესტი ტარდება შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების დადასტურების მიზნით:

ა) ენერგობლოკების/აგრეგატების უნარი, იმუშაონ რეგისტრირებული პარამეტრების ფარგლებში;

ბ) ენერგობლოკების/აგრეგატების უნარი, დააკმაყოფილონ ამ წესებისა და მიერთების ხელშეკრულების მოთხოვნები;

გ) ენერგობლოკის/აგრეგატის უნარი, მიაწოდოს სისტემური მომსახურება, რომელიც მოეთხოვება ელექტროენერგიის მწარმოებელს.

9. ყველა ტესტს აღრიცხავენ და ამოწმებენ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და შესაბამისი მონაწილის უფლებამოსილი წარმომადგენლები;

10. ელექტროენერგიის მწარმოებელს უნდა შეეძლოს ტესტირების დროს გამოსაყენებელი ტესტირების ინსტრუმენტებისა და მოწყობილობის საიმედოობის და სიზუსტის დემონსტრირება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის წინაშე.

11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნებისმიერი ენერგობლოკის/აგრეგატის ტესტის ჩატარება. ყველა ტესტი უნდა ჩატარდეს არანაკლებ

წელიწადში ერთხელ, ასევე იმ შეთხვევებისას, როდესაც არსებობს ტესტის ჩატარების დასაბუთებული მიზეზი.

12. თუ ენერგობლოკი/აგრეგატი ტესტს ვერ ჩააბარებს, ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, ხარვეზი აღმოფხვრას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებულ ვადაში.

13. ელექტროენერგიის მწარმოებელმა ენერგობლოკზე/აგრეგატზე, რომელმაც ადრე ტესტირება ვერ გაიარა, ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა მოითხოვოს ახალი ტესტის ჩატარება ხარვეზების აღმოფხვრის დადასტურების მიზნით.

14. ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის ტესტირება მოიცავს შემდეგს:

ა) რეაქტიული სიმძლავრის ტესტით ხდება ენერგობლოკის/აგრეგატის მიერ რეგისტრირებული რეაქტიული სიმძლავრის მოთხოვნების დაკმაყოფილების დემონსტრირება ამ წესების მოთხოვნათა შესაბამისად. ენერგობლოკის/აგრეგატის ტესტირების შედეგი ითვლება წარმატებულად, თუ გაზომილი სიდიდეები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის მიწოდებული რეგისტრირებული სიმძლავრის ± 5 პროცენტის ფარგლებშია;

ბ) პირველადი რეაგირების ტესტით ხდება ენერგობლოკის/აგრეგატის პირველადი რეაგირების უნარის დემონსტრირება. ენერგობლოკი/აგრეგატი წარმატებით გაივლის ტესტირებას, თუ გაზომილი რეაგირება ხუთი წამის განმავლობაში მოთხოვნილი დონის ± 5 პროცენტის ფარგლებშია;

გ) სწრაფად გაშვების შესაძლებლობის ტესტით ხდება ენერგობლოკის/აგრეგატის გაშვებისა და გადამცემ ქსელთან ათი წუთის განმავლობაში სინქრონიზაციისა და შემოთავაზებულ სიმძლავრემდე დატვირთვის უნარის დემონსტრირება;

დ) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის გამოცდით ხდება ენერგობლოკის/აგრეგატის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობის აღდგენის პროცედურის განხორციელების უნარის დემონსტრირება. ტესტირება წარმატებულად ჩაითვლება, თუ ელექტროსადგური შეძლებს დამოუკიდებლად გაშვებას, ქსელთან სინქრონიზაციასა და დატვირთვის კვებას ძაბვისა და სიხშირის დადგენილი (ავარიის შემდგომი) ზღვრების ფარგლებში;

ე) გამომუშავების ტესტირების საშუალებით ხდება იმის დემონსტრირება, რომ ენერგობლოკი/აგრეგატი გამომუშავების გრაფიკსა და პარამეტრებს აკმაყოფილებს. ენერგობლოკის/აგრაგატის ტესტირება ჩაითვლება წარმატებულად, თუ:

ე.ა) სინქრონიზაცია დადგენილი პერიოდის ± 5 წუთის ფარგლებში განხორციელდება;

ე.ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის გამომუშავება დადგენილი შესაძლებლობის ±2.5 პროცენტის ცდომილების ფარგლებშია;

ე.გ) დატვირთვის აღების სიჩქარის შემთხვევაში, ფაქტიური აღების სიჩქარე დადგენილი აღების სიჩქარის ± 5 პროცენტის ფარგლებშია;

ე.დ) დატვირთვის შემცირების სიჩქარის შემთხვევაში, ფაქტიური შემცირების სიჩქარე დადგენილი სიჩქარის ± 5 პროცენტია;

ე.ე) ენერგობლოკის/აგრეგატის მინიმალური დატვირთვის შემთხვევაში, ფაქტიური სიმძლავრე დადგენილის + 5 პროცენტია;

ე.ვ) ყველა სხვა პარამეტრების შემთხვევაში, ფაქტიური სიდიდეები გაცხადებული სიდიდეების ± 1.5 პროცენტის ფარგლებშია.

15. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, საჭიროებიდან გამომდინარე მოითხოვოს ენერგობლოკის/აგრეგატის დამატებითი ტესტის ჩატარება:

ა) მოკლე ჩართვით გამოწვეული ძაბვის ნახტომისებრი ცვლილება;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის გადასვლა საკუთარი მოხმარების რეჟიმზე მინიმუმ ერთი საათის განმავლობაში;

დ) ენერგობლოკის/აგრეგატის ძაბვისა და სიჩქარის რეგულატორების რეაგირება დატვირთვის მყისიერ ცვლილებაზე;

ე) გადატვირთვის უნარი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

თავი V
ამოღებულია

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

მუხლი 50. ამოღებულია

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

არაოფიციალური ვერსია

თავი VI
ელექტროენერგიის წარმოების მზადყოფნის გრაფიკების შედგენისა და დისპეტჩერიზაციის წესი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

მუხლი 51. მიზანი

ამ თავის მიზანია განსაზღვროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის წარმოების მზადყოფნის გრაფიკების შედგენისა და ელექტროსადგურების დისპეტჩერიზაციის პროცედურები, რათა ნებისმიერ დროს დაცულ იქნეს ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარების ბალანსი, ელექტროენერგიის ხარისხი და საიმედოობა და ელექტროენერგიის მწარმოებლებს გააჩნდეთ ზემოხსენებული მიზნების უზრუნველსაყოფად სიმძლავრის საკმარისი რეზერვი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 52. ელექტროენერგიის წარმოებისათვის გრაფიკების შედგენა

1. ელექტროსადგურები დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესებით გათვალისწინებული პერიოდულობითა და ფორმატით უგზავნიან მათი ენერგობლოკების/აგრეგატების მზადყოფნისა და დისპეტჩერული პარამეტრების შესახებ განაცხადებს.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მიღებული განაცხადების საფუძველზე ყოველდღე შეიმუშავებს დასაგეგმი დღის ელექტროენერგიის წარმოებისათვის (დატვირთვისათვის) მზადყოფნის გრაფიკს (შემდგომში – მზადყოფნის გრაფიკი), რეალურ დროში ელექტროენერგიის მიწოდებისა და მოთხოვნის დაბალანსების, აუთვისებელი სიმძლავრეების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისა და ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის საიმედოობის სათანადო დონის უზრუნველყოფის მიზნით. მზადყოფნის განაცხადის შემუშავების შემდეგ ელექტროენერგიის შესაბამის მწარმოებელს მიეწოდება მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია დასაგეგმ დღეს ენერგობლოკების/აგრეგატების მიერ ელექტროენერგიის წარმოებისთვის საჭირო მზადყოფნის უზრუნველყოფის შესახებ.

3. მზადყოფნის გრაფიკის მომზადებისათვის ელექტროენერგიის მწარმოებელმა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მზადყოფნის განაცხადით უნდა წარუდგინოს მზადყოფნის გრაფიკის შემუშავებისათვის საჭირო მონაცემები ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად.

4. დასაგეგმი დღე გულისხმობს კალენდარულ დღეს, რომელიც იწყება დაგეგმვის მომდევნო დღის 00:00 საათიდან და გრძელდება 24 საათის განმავლობაში, მომდევნო დღის 24:00 საათის ჩათვლით და რომლისთვისაც ხდება შესაბამისი მზადყოფნის გრაფიკების მომზადება.

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მონაცემები მიეწოდება ელექტრონულად. თუ მონაცემების მიწოდების შესაბამისმა პროგრამამ ან/და ელექტრონული კავშირის სისტემამ არ იმუშავა და არ არსებობს შეთანხმება სხვა ფორმით მონაცემების მიწოდებაზე, ისინი შეიძლება მიწოდებულ იქნეს ფაქსით, ხმოვანი ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული კავშირის სხვა საშუალებებით.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის, ამ წესების შესაბამისად, მიწოდებული განაცხადების (მზადყოფნის განაცხადი, დისპეტჩერული პარამეტრები) მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 53. ელექტროენერგიის მწარმოებლის მზადყოფნის განაცხადი

1. ელექტროენერგიის მწარმოებელი, რომლის ელექტროსადგურიც მიერთებულია ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან (გარდა 5 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ელექტროსადგურებისა), ვალდებულია, ყოველდღიურად მოამზადოს და გაუგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მზადყოფნის განაცხადი, ამ მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ელექტროსადგურებიდან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი არჩევს იმ ელექტროსადგურების ჩამონათვალს, რომლებიც თავისი მახასიათებლებიდან გამომდინარე წარმოადგენენ დამატებითი/სასისტემო მომსახურების უზრუნველყოფის წყაროებს. შერჩევის მეთოდოლოგია განისაზღვრება „დამატებითი/სასისტემო მომსახურების გაწევის ინსტრუქციით.

2. ამ მუხლის 1^1 პუნქტით განსაზღვრული ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, დადგენილი პერიოდულობით მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს განაცხადი დისპეტჩერიზაციისათვის საჭირო პარამეტრებისა და აღნიშნულ პარამეტრებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეიმუშაოს მზადყოფნისა და დისპეტჩერიზაციის პარამეტრების შესახებ განაცხადების ფორმა, რომელსაც განათავსებს საკუთარ ვებგვერდზე.

4. მზადყოფნის განაცხადი უნდა მოიცავდეს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის მზადყოფნის პერიოდის შესახებ ინფორმაციას (თარიღი, საათი);

ბ) ინფორმაციას თითოეული ენერგობლოკის/აგრეგატის (ელექტროსადგურის):

ბ.ა) მუშა სიმძლავრის (მგვტ) საათობრივი მონაცემების შესახებ;

ბ.ბ) ქონებული სიმძლავრის (მგვტ) შესახებ;

ბ.გ) დასაგეგმ დღეს ენერგობლოკზე/აგრეგატზე (ელექტროსადგურზე) ტექნიკური შეზღუდვების შესახებ;

ბ.დ) დასაგეგმ დღეს ენერგობლოკზე/აგრეგატზე (ელექტროსადგურზე) მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ;

გ) ჰიდროელექტროსადგურების მიერ დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციას:

გ.ა) წყლის მოსალოდნელი შემოდინების შესახებ;

გ.ბ.) წყალსაცავში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წყლის დონის შესახებ.

5. დისპეტჩერული პარამეტრების განაცხადი უნდა მოიცავდეს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის შეზღუდვების შესახებ ინფორმაციას (შეზღუდვის აღწერა, დაწყებისა და დასრულების თარიღი და დრო, შეზღუდული სიმძლავრის (მგვტ) სიდიდე);

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის გაშვებიდან სინქრონიზაციამდე საჭირო დროს (წთ);

გ) ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელიდან რეჟიმულად გამორთვისას მინიმალურ საჭირო დროს ხელმეორედ ჩართვამდე;

დ) ენერგობლოკის/აგრეგატის მინიმალური დატვირთვის სიმძლავრეს;

ე) ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელიდან გამორთვის მინიმალურ დროს;

ვ) ინფორმაციას ენერგობლოკის/აგრეგატის სინქრონიზაციის მეთოდის შესახებ;

ზ) მონაცემებს ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის გაზრდის სიჩქარის (მგვტ/წმ) შესახებ;

თ) მონაცემებს ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის შემცირების სიჩქარის (მგვტ/წმ) შესახებ;

ი) მონაცემებს ძაბვის გაზრდის სიჩქარის (კვ/წმ) შესახებ;

კ) მონაცემებს ძაბვის შემცირების სიჩქარის (კვ/წმ) შესახებ;

ლ) მონაცემებს ენერგობლოკზე/აგრეგატზე სიმძლავრის პირველადი და მეორეული რეგულირების მდგომარეობის შესახებ;

მ) მონაცემებს სადგურზე ჯგუფური რეგულირების მდგომარეობის შესახებ.

6. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მზადყოფნის განაცხადთან ერთად საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს მზადყოფნაში მყოფ თითოეულ ენერგობლოკთან/აგრეგატთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:

ა) დეტალურად, განსაკუთრებული ფაქტორების შესახებ, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიონ დასაგეგმ დღეს ენერგობლოკის/აგრეგატის გაცხადებულ დატვირთვის სიდიდეზე;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის შესაძლო ცვლილებებისა და ხანგრძლივობის შესახებ;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ენერგობლოკის/აგრეგატის მიერ სისტემური მომსახურების (თუ მოეთხოვება) დროებითი შეზღუდვებისა და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ.

7. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ყოველი სამუშაო დღის 10:00 საათამდე წარუდგინოს მზადყოფნის განაცხადი დასაგეგმი დღის/დღეებისთვის, ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად. თუ მომდევნო დღე წარმოადგენს დასვენების დღეს, მზადყოფნის განაცხადი წარედგინება ასევე მომდევნო პირველი სამუშაო დღის ჩათვლით პერიოდისათვის.

8. თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს არ გაუგზავნის (ან სრულად არ გაუგზავნის) მზადყოფნის განაცხადს დღის 10:00 საათამდე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, ნაკლული ინფორმაციის შესავსებად გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია, მათ შორის, წინა დღის/დღეების ფაქტობრივი მონაცემები.

9. ელექტროენერგიის მწარმოებელს უფლება აქვს, მზადყოფნის შეცვლილი განაცხადი გაუგზავნოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს 13:00 საათამდე, ცვლილების დასაბუთებული გარემოების არსებობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გაითვალისწინოს შეცვლილი განაცხადი დატვირთვის გრაფიკის მომზადების დროს ან განუცხადოს არგუმენტირებული უარი.

10. ყოველი სამუშაო დღის 17:30 საათამდე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის მწარმოებლებისგან მიღებული მზადყოფნის განაცხადების გათვალისწინებით შეიმუშავებს დასაგეგმი დღის (მომდევნო დღის 00:00 საათიდან 24:00 საათის ჩათვლით პერიოდისთვის) ელექტროენერგიის მზადყოფნის გრაფიკს. თუ მომდევნო დღე წარმოადგენს დასვენების დღეს, მზადყოფნის გრაფიკები მზადდება ასევე მომდევნო პირველი სამუშაო დღის ჩათვლით პერიოდისათვის.

11. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, 17:45 საათამდე ელექტროენერგიის მწარმოებლებს გაუგზავნოს მზადყოფნის გრაფიკები დასაგეგმი დღისათვის.

12. მზადყოფნის გრაფიკი უნდა უზრუნველყოფდეს ამ წესების შესაბამისად დადგენილი ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის კრიტერიუმების – ადეკვატურობისა და მდგრადობის სათანადო დონეზე შესრულებას სიმძლავრის რეზერვების მზადყოფნის ოპტიმალური სიდიდის განსაზღვრით (დაგეგმვით). მზადყოფნის განაცხადების შერჩევისას და

შესაბამისი გრაფიკის შემუშავებისას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი იყენებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის გაშვების, სინქრონიზაციისა და საჭირო სიმძლავრის აღების დროს;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის ცვლილების სიჩქარეს;

გ) ქონებულ, მუშა და თავისუფალ სიმძლავრეებს;

დ) ენერგობლოკის/აგრეგატის მინიმალური დატვირთვის სიმძლავრეს;

ე) დროის ერთეულში სიმძლავრის ცვლილების აბსოლუტურ სიდიდეს;

ვ) სიხშირის რეგულირებაში მონაწილეობის შესაძლებლობას;

ზ) ელექტროსადგურის ქსელზე ფიზიკური მიერთების წერტილს;

თ) გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთეულის ღირებულებას.

13. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, გააჩნდეს მზადყოფნაში შესაბამისი გრაფიკით განსაზღვრული სიმძლავრე. თუ რაიმე მიზეზის გამო ელექტროენერგიის მწარმოებელი ვერ ახერხებს ამ წესების შესაბამისად განსაზღვრული მზადყოფნის უზრუნველყოფას, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

14. მზადყოფნის გრაფიკის შემუშავების შემდეგ, დასაგეგმი დღის დაწყებამდე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, მიზანშეწონილად ჩათვალოს შემუშავებულ დატვირთვის გრაფიკებში შესწორებების შეტანა, თუ:

ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ელექტროენერგიის მწარმოებლებისაგან მიიღებს შესაბამის შეტყობინებას ამ მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად;

ბ) შეიცვალა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შედგენილი ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზი;

გ) შეიცვალა ინფორმაცია გადამცემი ქსელის (მათ შორის ტრანსსასაზღვრო გადადინებისთვის განკუთვნილი) გამტარუნარიანობის შესახებ;

დ) ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მოხდა ავარია და აშკარაა მზადყოფნის გრაფიკში ცვლილების შეტანის აუცილებლობა.

15. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ელექტროენერგიის მწარმოებლებს მიაწოდოს შესაბამისი ენერგობლოკების/აგრეგატების მზადყოფნის გრაფიკი ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილ ვადაზე ადრე, თუკი ამ მწარმოებლის რომელიმე ენერგობლოკს/აგრეგატს

სინქრონიზაციისთვის სჭირდება იმაზე მეტი დრო, ვიდრე დარჩენილია დასაგეგმი დღის დაწყებამდე.

16. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის კონკრეტული მწარმოებლისთვის მიწოდებული მზადყოფნის გრაფიკი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ამ ელექტროენერგიის მწარმოებლის ენერგობლოკთან/აგრეგატებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

17. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შემუშავებული ელექტროენერგიის მზადყოფნის გრაფიკი არ წარმოადგენს სადისპეტჩერო განკარგულებას ან მითითებას. იგი ატარებს მხოლოდ ინდიკატორულ ხასიათს და მიზნად ისახავს ელექტროენერგიის მწარმოებლის ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა მოცულობის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებას მოელის მისგან ელექტროენერგეტიკული სისტემა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №46 - ვებგვერდი, 08.01.2018 წ.

მუხლი 54. ელექტროსადგურების დისპეტჩერიზაცია

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, ამ წესების მოთხოვნების შესრულების მიზნით, ელექტროენერგიის მწარმოებლებზე გასცემს დისპეტჩერულ განკარგულებებს მუშაობის რეჟიმების შესახებ, მიღებული განაცხადებისა და მზადყოფნის გრაფიკების საფუძველზე.

2. დისპეტჩერული განკარგულებები დასაგეგმ დღეს ენერგობლოკის/აგრეგატის მუშაობის რეჟიმის შესახებ გაიცემა უშუალოდ ელექტროენერგიის მწარმოებლებისათვის მზადყოფნის გრაფიკის მიწოდების შემდეგ, ნებისმიერ დროს. ელექტროენერგიის მწარმოებლები ვალდებული არიან, მზადყოფნაში გააჩნდეთ მათთვის მიწოდებულ მზადყოფნის გრაფიკებში მითითებული სიმძლავრეები.

3. ელექტროენერგიის მწარმოებლებს დისპეტჩერული განკარგულებები მიეწოდებათ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის სადისპეტჩეროს მიერ, ელექტროსადგურის ოპერატიული პერსონალის მეშვეობით.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ელექტროენერგიის მწარმოებლისთვის გაცემული დისპეტჩერული განკარგულება შეიძლება შეიცავდეს მითითებას ენერგობლოკზე/აგრეგატზე სიმძლავრის შეცვლის, ქსელთან სინქრონიზაციისა და ქსელიდან გამორთვის დროების, მუშაობის რეჟიმის შეცვლის ან/და სისტემური მომსახურების გაწევის შესახებ.

5. დისპეტჩერული განკარგულება შეიძლება მოგვიანებით გაუქმდეს ან შეიცვალოს. რეალურ დროში ელექტროენერგიაზე მოთხოვნისა და ენერგობლოკების/აგრეგატების მზადყოფნის ცვალებადობის გამო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შესწორებები შეაქვს ენერგობლოკების/აგრეგატების სიმძლავრის დატვირთვაში.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია მზადყოფნის გრაფიკების ფარგლებში შეცვალოს ენერგობლოკების/აგრეგატების სიმძლავრე ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია მზადყოფნის გრაფიკების ფარგლებში მზადყოფნაში მყოფი სიმძლავრეების დატვირთვის ცვლილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღოს 53-ე მუხლის შესაბამისად. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია დაასაბუთოს (დაინტერესებული მხარის მიერ ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) დროის ნებისმიერ მონაკვეთში, თუ რომელი კრიტერიუმის ან კრიტერიუმების საფუძველზე მიიღეს კონკრეტული ენერგობლოკის/აგრეგატის დისპეტჩერიზაციის (სიმძლავრის ცვლილების) თაობაზე გადაწყვეტილება.

8. დისპეტჩერული განკარგულების მიღება დაუყოვნებლივ უნდა დადასტურდეს ელექტროენერგიის მწარმოებლის მიერ ან ელექტროენერგიის მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ განკარგულების შეუსრულებლობის მიზეზი. შეუსრულებლობის ერთადერთი მიზეზი შეიძლება იყოს ეკოლოგიური საფრთხე, მომსახურე პერსონალის ან/და ელექტრომოწყობილობა-დანადგარების დაზიანების საფრთხე.

9. დისპეტჩერულ განკარგულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის სათანადო წესით მიწოდებულ განაცხადებში აღნიშნული დატვირთვის ზღვრები, სისტემური მომსახურების გაწევის შესაძლებლობები და საექსპლუატაციო მახასიათებლები იმ დროისა და პერიოდისათვის, რომელსაც სადისპეტჩერო განკარგულება ეხება.

10. ელექროენერგეტიკულ სისტემასთან სინქრონიზებულ ენერგობლოკებს/აგრეგატებს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოთ დატვირთვის შემცირება ტექნიკურ მინიმუმამდე (ენერგობლოკების/აგრეგატების მინიმალური დასაშვები სიმძლავრის გათვალისწინებით, რომლის ქვემოთაც ენერგობლოკის/აგრეგატის მუშაობა არ არის მიზანშეწონილი), ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების დაბალანსებისათვის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ყველაზე დიდი დატვირთვის (მომხმარებლის) ან ყველაზე დატვირთული გადამცემი ხაზის გამორთვის შემთხვევაში. აღნიშნული პირობა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გათვალისწინებული უნდა იყოს ელექტროსადგურების დისპეტჩერიზაციის, შესაბამისი გრაფიკების მომზადების ან/და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მისთვის მინიჭებული დაგეგმვის ფუნქციების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

11. თუ დასაგეგმი დღისათვის შესაბამისი გრაფიკების შემუშავებისას ან დასაგეგმ დღეს რეალურ დროში ელექტროსადგურების დისპეტჩერიზაციისას დროის რომელიმე მონაკვეთში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი აღმოაჩენს, რომ ამ მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნები დარღვეულია, იგი უფლებამოსილია, დაუკავშირდეს შესაბამის ელექტროენერგიის მწარმოებელს და განიხილოს მასთან შესაბამისი განაცხადებით გაცხადებული ენერგობლოკის/აგრეგატის მანევრულობის (შესაძლო მინიმალური დატვირთვის) ან დატვირთვის (აქტიური სიმძლავრის) შეცვლის შესაძლებლობა. თუ აღნიშნული ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფს ზემოხსენებული მოთხოვნების შესრულებას, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გასცეს განკარგულება შესაბამისი ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის შეზღუდვის, გათიშვის ან/და სიმძლავრის გადანაწილების შესახებ სხვადასხვა ენერგობლოკებს/აგრეგატებს შორის მხოლოდ იმ

პირობით, თუ განკარგულების/განკარგულებების გაცემის შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

12. თუ ელექტროენერგიის მწარმოებელი ფლობს იდენტურ ორ ან მეტ ენერგობლოკს/აგრეგატს, რომლებიც ქსელს უერთდება ერთ წერტილში, იგი უფლებამოსილია შეარჩიოს და აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, პირველად რომელი ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელთან მიერთებას ანიჭებს უპირატესობას.

13. თუ დისპეტჩერული განკარგულების შესრულების დროს გაჩნდება ეკოლოგიური, ასევე მომსახურე პერსონალის ან ელექტრომოწყობილობა-დანადგარების დაზიანებასთან დაკავშირებული საფრთხე, ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია იმოქმედოს დამოუკიდებლად ასეთი საფრთხის თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანისათვის და დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

14. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია ნებისმიერ დროს ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელთან სინქრონიზაცია და ქსელიდან გამორთვა მოახდინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის შესაბამისი განკარგულების (ან წინასწარი ნებართვის) საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებას.

15. თუ ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელთან სინქრონიზაციის შესახებ გაცემული დისპეტჩერული განკარგულება არ შეიცავს მითითებას კონკრეტული სიმძლავრით დატვირთვის (მგვტ) შესახებ, იგულისხმება, რომ დისპეტჩერული განკარგულება მოითხოვს დატვირთვის გაზრდას (სინქრონიზაციის შემდეგ) დატვირთვის ტექნიკურად დაშვებულ მინიმალურ დონემდე.

16. როდესაც ელექტროენერგიის მწარმოებელი ვერ ახერხებს თავისი ენერგობლოკის/აგრეგატის ქსელთან სინქრონიზაციას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაცემული განკარგულების შესაბამისად, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს და მიუთითოს სინქრონიზაციის ახალი სავარაუდო დრო.

17. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გასცეს განკარგულება (მათ შორის ავტომატურ რეჟიმში) ენერგობლოკის/აგრეგატის აქტიური სიმძლავრით დატვირთვის ცვლილებაზე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიხშირის დასაშვებ ზღვრებში შესანარჩუნებლად.

18. ენერგობლოკის/აგრეგატის სიმძლავრის დატვირთვის დონის შეცვლის შესახებ დისპეტჩერული განკარგულების მიღებისა და დადასტურების შემდეგ ელექტროენერგიის მწარმოებელმა უნდა შეცვალოს სიმძლავრის დატვირთვა ახალ ნიშნულამდე, რომელიც უნდა იყოს ენერგობლოკის/აგრეგატის შესაბამის განაცხადში მითითებული მახასიათებლების ფარგლებში.

19. დისპეტჩერული განკარგულება შესრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ენერგობლოკი/აგრეგატი განკარგულებით მოთხოვნილ სიმძლავრის მიწოდებას (დატვირთვას) უზრუნველყოფს ±1% -ის სიზუსტით.

20. როდესაც ენერგობლოკი/აგრეგატი სიხშირის რეგულირების რეჟიმში მუშაობს და სიხშირე ნომინალური სიდიდისგან (50 ჰც) განსხვავდება, ენერგობლოკის/აგრეგატის აქტიური

სიმძლავრის დატვირთვის ცვლილება უნდა განხორციელდეს სიჩქარის რეგულატორის სტატიზმის რეგისტრირებული კოეფიციენტის სიდიდის შესაბამისად.

21. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, გასცეს რეაქტიულ სიმძლავრესთან დაკავშირებული დისპეტჩერული განკარგულება გადამცემი ქსელის კვანძებში ძაბვის რეჟიმისა და რეაქტიული სიმძლავრის რეზერვების შენარჩუნების მიზნით.

22. ელექტროენერგიის მწარმოებელმა რეაქტიული სიმძლავრის გამომუშავებასთან დაკავშირებული დისპეტჩერული განკარგულება უნდა შეასრულოს ±2%-იანი სიზუსტით ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული სხვა სიზუსტით, რისთვისაც მან უნდა განახორციელოს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის აგზნების სისტემაში როტორის დენის რეგულირება;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის ამამაღლებელი ტრანსფორმატორის ხვიების გამომყვანების დისტანციური გადართვა დატვირთვის მოუხსნელად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

23. ელექტროენერგიის მწარმოებელმა ძაბვის სიდიდის უზრუნველყოფის განკარგულება უნდა შეასრულოს ძაბვის ±1% სიზუსტით ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან შეთანხმებული სხვა სიზუსტით, რისთვისაც მან უნდა განახორციელოს:

ა) ენერგობლოკის/აგრეგატის აგზნების სისტემის რეგულირება;

ბ) ენერგობლოკის/აგრეგატის ამამაღლებელი ტრანსფორმატორის ხვიების გამომყვანების გადართვა ტვირთის ქვეშ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

24. გადამცემ ქსელში ნომინალურზე დაბალი ძაბვის დროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გასცეს განკარგულება ენერგობლოკის/აგრეგატის რეაქტიული დატვირთვის მაქსიმალურ შესაძლო ნიშნულზე გაზრდის შესახებ აქტიური სიმძლავრის შეუცვლელად. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ყველა სათანადო ზომა აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად.

25. გადამცემ ქსელში ნომინალურზე მაღალი ძაბვის დროს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია გასცეს განკარგულება ენერგობლოკის/აგრეგატის რეაქტიული სიმძლავრის დატვირთვის შემცირების ან რეაქტიული სიმძლავრის მოხმარების გაზრდის შესახებ აქტიური დატვირთვის შეუცვლელად. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია მიიღოს ყველა სათანადო ზომა აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად.

26. თუ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ სხვაგვარი მითითება არ არის გაცემული, აგზნების სისტემის მოქმედება რეაქტიული სიმძლავრის შემზღუდველების მუშაობის პირობებში უნდა მოხდეს მხოლოდ საგენერატორო სალტის ძაბვის რეგულირების რეჟიმში. ამ დროს რეაქტიული დატვირთვის მუდმივი სიდიდის კონტროლი ან სიმძლავრის მუდმივი კოეფიციენტის კონტროლი გათიშული უნდა იყოს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსხვავებული პირობა შეთანხმებულია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან) და გადამცემ ქსელში ძაბვის ნებისმიერი ცვლილების დროს ძაბვის ავტომატურმა რეგულატორმა აგზნება არ უნდა შეცვალოს დასაშვებ ზღვრებს გარეთ. იმ შემთხვევებში, თუ საჭირო გახდა

არაოფიციალური ვერსია

ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობის შენარჩუნება, აგზნების რეგულატორმა უნდა შეძლოს ფორსირების რეჟიმში მუშაობა.

27. რეაქტიულ სიმძლავრის რეგულირებასთან დაკავშირებული დისპეტჩერული განკარგულება ელექტროენერგიის მწარმოებელმა უნდა შეასრულოს დაუყოვნებლივ ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მითითებულ ვადაში.

28. ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან სინქრონიზაციის ან აქტიური სიმძლავრის დატვირთვის შესახებ დისპეტჩერულ განკარგულებასთან ერთად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა ელექტროენერგიის მწარმოებელს უნდა მისცეს მითითება რეაქტიულ სიმძლავრესთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში), თითოეული ენერგობლოკის/აგრეგატის მიხედვით.

29. ავარიულ რეჟიმში გადამცემი ქსელის მდგრადობის შესანარჩუნებლად დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, ელექტროენერგიის მწარმოებლებს მისცეს დისპეტჩერული განკარგულება, იმუშაონ ისეთი პარამეტრებით, რომლებიც სცილდება ამ წესებით ნორმალური რეჟიმისთვის დადგენილ ზღვრებს. ასეთ შემთხვევებში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეატყობინოს ელექტროენერგიის მწარმოებელს, რომ დისპეტჩერული განკარგულება გაიცა ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მოსალოდნელი ავარიული ან ავარიისშემდგომი მდგომარეობის გამო. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია, შეასრულოს ასეთი დისპეტჩერული განკარგულებები შესაძლებლობების ფარგლებში, ამ მუხლის მე-8 და მე-13 პუნქტების გათვალისწინებით.

30. თუ ელექტროენერგიის მწარმოებლის ენერგობლოკი/აგრეგატი სინქრონიზებულია ელექტროენერგეტიკულ სისტემასთან ან მიღებული აქვს სინქრონიზაციის ბრძანება და ამ დროს მისი ოპერირება შეუძლებელი გახდა ან შეიცვალა მის მიერ გაცხადებული შესაძლებლობები, მათ შორის, მისი მზადყოფნის ან/და დისპეტჩერიზაციის პარამეტრები, ელექტროენერგიის მწარმოებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს და დაელოდოს ახალი განკარგულების გაცემას, რომელიც შეესაბამება ელექტროსადგურის მზადყოფნის ახალ გარემოებას.

31. ელექტროენერგიის მწარმოებელს ენერგობლოკების/აგრეგატების მუშაობის დროს მუდმივად მოქმედებაში უნდა ჰქონდეს ძაბვის ავტომატური რეგულატორები და რეაქტიული სიმძლავრის შემზღუდველები (ძაბვის შემზღუდველები).

32. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ზეპირად ან წერილობით (ელექტრონულად) გაცემული ყველა დისპეტჩერული განკარგულება და მითითება უნდა აისახოს ოპერატიულ ჟურნალში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

თავი VII

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

ინფორმაციის მიწოდების წესი

მუხლი 55. მიზანი

ამ თავის მიზანია:

ა) იმ მონაცემებისა და ინფორმაციის ჩამონათვალის განსაზღვრა, რომელთა მიწოდებაც მოეთხოვება მოსარგებლეებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისთვის მასზე დაკისრებული გადამცემი ქსელის მართვის, დაგეგმვისა და მონაცემების გასაჯაროების მოვალეობის შესრულებისათვის;

ბ) ელექტროენერგიის გენერაციასთან, გადაცემასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული ინფორმაციის იმ მინიმალური დონის განსაზღვრა, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბაზრის მონაწილე სუბიექტებისათვის;

გ) მონაცემების ცენტრალიზებულად შეგროვებისა და გამოქვეყნების საფუძვლების დადგენა;

დ) ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს №543/2013 (EC) რეგულაციის მოთხოვნებისა და პრინციპების დანერგვა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.

მუხლი 56. ზოგადი ნორმები

1. მოსარგებლე ვალდებულია, აღრიცხოს და გადაცემის სისტემის ოპერატორს (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს) დადგენილი პერიოდულობითა და კომუნიკაციის სტანდარტული ფორმებით მიაწოდოს:

ა) დაგეგმვის სტანდარტული მონაცემები ქსელთან მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

ბ) დაგეგმვის დეტალური მონაცემები ქსელთან მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

გ) ოპერატიული მონაცემები და ინფორმაცია ქსელთან მიერთებული ელექტრომოწყობილობა-დანადგარების შესახებ;

დ) დანართი №13-ით გათვალისწინებული ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მოთხოვნილი პერიოდულობით მიაწოდოს დაგეგმვის სტანდარტული და დეტალური მონაცემები, აგრეთვე დანართი №13-ით გათვალისწინებული ინფორმაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გამჭვირვალობის პლატფორმაზე ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნება გულისხმობს ENTSO-e-სთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებასა და მის გამჭვირვალობის პლატფორმაზე გამოქვეყნებას.

4. საქართველო გადამცემი ქსელი წარმოადგენს გადაცემის სისტემის ოპერატორის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) მართვას დაქვემდებარებულ ერთ საკონტროლო არეალს და ამ წესებით გადაცემის სისტემის ოპერატორისთვის (დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი) დადგენილი ვალდებულებები გულისხმობს და ვრცელდება მთლიან საკონტროლო არეალზე.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გულისხმობს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის გადაცემის სისტემის ოპერატორს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.

მუხლი 57. ინფორმაციის შენახვა და დაარქივება

1. თითოეული მოსარგებლე ვალდებულია, დადგენილი პერიოდულობით ან დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის თანახმად, წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს 1-9 დანართების ფორმებში აღნიშნული მონაცემები.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხს აგებს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემების შენახვასა და დაარქივებაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მონაცემები ისე უნდა იყოს შენახული და დაარქივებული, რომ საჭიროების შემთხვევაში არსებობდეს სრულფასოვანი შემოწმების საშუალება.

4. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებული არიან, შეინახონ ელექტროენერგეტიკული სისტემის დაგეგმვასა და ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ორიგინალ ფორმაში, მისი შექმნის დღიდან მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე.

5. ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მონაცემებისა და ინფორმაციის ბაზების დაცვა არასანქცირებული წვდომისა და დაკარგვისაგან.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ დააარქივოს ელექტროენერგეტიკული სისტემის დაგეგმვასა და ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 58. მონაცემებისა და ინფორმაციის მიწოდება

1. მოსარგებლეთა მიერ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს გადამცემი ქსელის დაგეგმვასა და ოპერატიულ მართვასთან დაკავშირებული მონაცემები და ფორმები უნდა მიეწოდოს ამ წესების შესაბამისად.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მონაცემები და ფორმები უნდა მიეწოდოს ელექტრონულად ან წერილობით.

3. მოსარგებლე ვალდებულია, შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ამ წესების შესაბამისად მიწოდებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

4. თუ მოსარგებლე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ვერ მიაწვდის მონაცემებს, რომელთა მიწოდებაც მას მოეთხოვება ამ წესების შესაბამისად, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილია, თავად შეაფასოს აღნიშნული მონაცემები ადრე მიწოდებული მონაცემების ან/და მსგავსი ელექტრომოწყობილობა-დანადგარების მონაცემების საფუძველზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით მითითებული გარემოების არსებობის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია, შეფასებული მონაცემების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის მოსარგებლეს იმ შეფასებული მონაცემების თაობაზე, რომელთა გამოყენებასაც იგი აპირებს მითითებულ ელექტრომოწყობილობა-დანადგარებთან დაკავშირებით.

6. შეფასებული მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი წარმოადგენს იმ მხარის პასუხისმგებლობას, რომელმაც მონაცემების მიწოდების ან მისი სწორად გამოყენების ვალდებულება სათანადო დონეზე ვერ შეასრულა.

7. მოსარგებლე ვალდებულია, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიაწოდოს 1-9 დანართების შესაბამის ფორმებში მოყვანილი სტანდარტული დაგეგმვისა და დეტალური დაგეგმვის მონაცემები 32-ე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ხოლო ოპერატიული დაგეგმვის მონაცემები – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დადგენილი პერიოდულობით.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის 1-9 დანართების ფორმებით მიწოდებული დაგეგმვის სტანდარტული და დეტალური მონაცემები ავტომატურად ითვლება რეგისტრირებულ მონაცემებად 32-ე მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობის გათვალისწინებით.

9. ელექტროენერგიის მწარმოებელი ვალდებულია პირველი, მე-2 და მე-3 დანართების მონაცემების დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის მიწოდებაზე.

10. მოსარგებლე (ელექტროენერგიის მწარმოებლის

გარდა) ვალდებულია, მე-4, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 (მე-8 და მე-9 დანართები მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის შემთხვევაში) დანართების მონაცემები მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

11. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია მე-5 დანართის მონაცემები მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 58[1]. გამჭვირვალობის პლატფორმა

1. „გამჭვირვალობის პლატფორმა“ წარმოადგენს ინფორმაციის ცენტრალურ პლატფორმას, რომელიც დაარსებულია ელექტროენერგიის გადაცემის სისტემის ოპერატორების ევროპული ქსელის (შემდგომში – ENTSO-e) მიერ, “ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს №543/2013 (EC) რეგულაციის შესაბამისად, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე – https://transparency.entsoe.eu/.

2. გამჭვირვალობის პლატფორმაზე ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ENTSO-e-ს მიერ დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს:

ა) ინფორმაციის მიწოდების დეტალებსა და ფორმატს;

ბ) ინფორმაციის კომუნიკაციისა და გაცვლის სტანდარტულ გზებსა და ფორმატს, ინფორმაციის პირვანდელ მფლობელს, ინფორმაციის მიმწოდებელს;

გ) ტექნიკურ და საოპერაციო კრიტერიუმებს, რომლებიც ინფორმაციის მიმწოდებლებმა უნდა შეასრულონ ინფორმაციის გამჭვირვალობის ცენტრალური პლატფორმისთვის გადაცემისას;

დ) ელექტროენერგიის წარმოების ტიპების შესახებ კლასიფიკაციას, რომელიც ეხება დანართი №13-ის მე-11, მე-12 და მე-13 მუხლების პირველ პუნქტებს.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხისმგებელია ENTSO-e-სთან თანამშრომლობაზე და დანართი №13-ით განსაზღვრული ინფორმაციის ENTSO-e-ს მიერ დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით დამუშავებასა და მიწოდებაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცალკეულ შემთხვევებში, 58[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.

მუხლი 58[2]. ინფორმაციის გადაცემა და გამოქვეყნება

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ვალდებულება, ინფორმაციის ENTSO-e-სთვის მიწოდებისა და ENTSO-e-სთან თანამშრომლობის შესახებ, შემოიფარგლება და მთლიანად მოიცავს მის კონტროლს დაქვემდებარებულ არეალს და ტრანსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებს.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესებით დადგენილი ინფორმაციის შეგროვება როგორც საკუთარი ინფორმაციის წყაროებიდან, აგრეთვე მოსარგებლეებისგან და მათი დროული მიწოდება გამჭვირვალობის პლატფორმაზე გამოქვეყნების მიზნით.

3. გადამცემ ქსელზე მიერთებული მოსარგებლეები ვალდებული არიან, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს მიაწოდონ ამ წესებით დადგენილი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მათ ხელთ არსებული ინფორმაცია დანართი №13-ით დადგენილი ხარისხით, ფორმატითა და პერიოდულობით.

4. მოსარგებლე უფლებამოსილია თვითონ ან მესამე მხარის მეშვეობით განახორციელოს მის ხელთ არსებული ინფორმაციის მიწოდება გამჭვირვალობის პლატფორმისთვის, ამ წესებით დადგენილი მიზნობრიობის, ხარისხის, ფორმატისა და პერიოდულობის გათვალისწინებით. მოსარგებლის მიერ თავად ან მესამე მხარის მეშვეობით გამჭვირვალობის პლატფორმისთვის ამ წესებით დადგენილი ინფორმაციის მიწოდება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს გადაცემის სისტემის ოპერატორთან შეთანხმებით.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია შეაფასოს, თუ რამდენად ასრულებს მოსარგებლე ამ წესებით დადგენილ ვალდებულებას, რომელიც მას მიენიჭა ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ მოსარგებლე სათანადოდ ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია მოახდინოს სათანადო რეაგირება და თვითონ მიაწოდოს იგი გამჭვირვალობის პლატფორმას.

6. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი წარმოადგენს დანართი №13-ით განსაზღვრული ინფორმაციის (მუხლები 3-14) პირველად მესაკუთრეს, თუ განსხვავებული პირობები არ არის დადგენილი ცალკეული შემთხვევებისათვის.

7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი და მოსარგებლე უფლებამოსილი არიან, ENTSO-e-სთვის გადაცემული ინფორმაცია ასევე გამოაქვეყნონ საკუთარ ან მესამე პირის ვებგვერდებზე.

8. ინფორმაციის მესაკუთრე – დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ან მოსარგებლე (იქ, სადაც ეს განსაზღვრულია ასე ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად), ვალდებულია ინფორმაციის გამჭვირვალობის პლატფორმისთვის მიწოდებისას გაითვალისწინოს ENTSO-e-ს ვალდებულება ინფორმაციის დამუშავებისა და გამოქვეყნების შესახებ, რომელიც განსაზღვრულია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს №543/2013 (EC) რეგულაციით.

9. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ინფორმაციის მესაკუთრეებისა და ინფორმაციის მიმწოდებლების მიერ ამ წესებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ხარისხი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.

მუხლი 58[3]. პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის გამოუქვეყნებლობაზე

მონაცემთა თავდაპირველი მესაკუთრის და მონაცემების მიმწოდებლის ამ წესით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დგება უხეში გაუფრთხილებლობით ან/და განზრახ ჩადენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ წესით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული ნებისმიერი მიუღებელი შემოსავლის, ბიზნესში არსებული ზარალის, ან ნებისმიერი არაპირდაპირი შემთხვევითი, ცალკეული ან თანმდევი ზიანის გამო, მათ არ უნდა დაეკისროთ იმ პირებისათვის კომპენსაციის მიცემის ვალდებულება, რომლებიც იყენებენ აღნიშნულ მონაცემებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2018 წლის 26 ოქტომბრის დადგენილება №23 - ვებგვერდი, 05.11.2018 წ.

მუხლი 58[4]. ინფორმაცია გადამცემ ქსელთან გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობის თაობაზე

1. გენერაციის ობიექტის მშენებლობის მსურველი პირის განცხადების საფუძველზე, გადაცემის ლიცენზიატი გასცემს წინასწარ ინფორმაციას გადამცემ ქსელთან გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობის თაობაზე.

2. გადამცემ ქსელთან გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციის გაცემის მიზანია:

ა) ამ განმცხადებლის ინფორმირება მის მიერ მოთხოვნილ მიერთების წერტილში გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობისა და ამ მოთხოვნამდე ბოლო 6 (ექვსი) თვის განმავლობაში გაცემული ყველა იმ ინფორმაციის თაობაზე, რომელიც უკავშირდება ამავე ქსელზე სხვა გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობის განსაზღვრას, მათი რაოდენობისა და სიმძლავრის მითითებით.

ბ) გენერაციის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს ინფორმირება, შესაბამისი წარმოების დაწყების ეტაპზე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული შესაძლებლობისა და სხვა მსგავსი მოთხოვნების თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა გაიცეს მოთხოვნიდან (განცხადების რეგისტრაციიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.

4. ინფორმაციის გაცემის წესი და საფასური მტკიცდება გადაცემის ლიცენზიატის მიერ, რომელიც უნდა გამოქვეყნდეს გადაცემის ლიცენზიატის ვებგვერდზე.

5. გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, გადამცემ ქსელთან გენერაციის ობიექტის ინტეგრირების შესაძლებლობის თაობაზე ინფორმაციის მომზადებაზე განსაზღვროს მომსახურების განსხვავებული ღირებულება მის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიხედვით. ამასთან, გადაცემის ლიცენზიატის მიერ განსაზღვრული მომსახურების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს გაწეული მომსახურების ხარჯს და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ გეგმური მოგების ნორმის გონივრულ ოდენობას. ამ მომსახურებით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს გადაცემის ლიცენზიატის შემოსავალს და მიღებული შემოსავალი გათვალისწინებულ იქნება გადამცემი ქსელით სარგებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი ელექტროენერგიის გადაცემის ტარიფის გაანგარიშებისას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2026 წლის 30 აპრილის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 30.04.2026 წ.

თავი VIII

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

აღრიცხვის წესი

მუხლი 59. მოქმედების სფერო და მიზნები

1. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ელექტროენერგეტიკული სისტემის ყველა მონაწილესა და მაძიებელზე, მათ შორის – საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე პირებზე (გარდა იმპორტიორებისა და ექსპორტიორებისა).

2. აღრიცხვის წესების მიზანს წარმოადგენს:

ა) ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის მოწყობისა და სიმძლავრის კონტროლის ორგანიზაციული პროცედურებისა და ტექნიკური მოთხოვნების ჩამოყალიბება;

ბ) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების მიერ ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, მიწოდებისა და მოხმარების შესახებ ზუსტი და სარწმუნო ინფორმაციის ფორმირებისთვის საჭირო ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპებისა და პროცედურების ჩამოყალიბება;

გ) ელექტროენერგიის (სიმძლავრის) კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული (ესკაა) სისტემების მეშვეობით აღრიცხვის მონაცემთა ბაზების ფორმირება, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს გადამცემ ქსელში ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ფაქტობრივი ბალანსების შედგენასა და ძაბვის საფეხურების მიხედვით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ფაქტობრივი დანახარჯების (მათ შორის დანაკარგების) დადგენას.

3. აღრიცხვის წესი განსაზღვრავს:

ა) ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეების ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას ელექტროენერგიის აღრიცხვის საკითხებში;

ბ) ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწყობის, აღრიცხვის მონაცემთა გამოსახვის, შეკრების, გადაცემისა და ფორმირების წესებს;

გ) აღრიცხვის მოწყობილობების ტექნიკურ და საექსპლუატაციო მოთხოვნებს;

დ) აღრიცხვის მოწყობილობების დამოწმების, ტესტირებისა და ინსპექტირების მოთხოვნებს;

ე) ესკაა სისტემების მოწყობისა და ადმინისტრირების მოთხოვნებს;

ვ) კაას სისტემის მოწყობისა და ადმინისტრირების მოთხოვნებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 60. ზოგადი დებულებები

1. ყველა მოსარგებლე და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია, აღრიცხოს მის მიერ წარმოებული, მიღებული, მიწოდებული, გადაცემული, გატარებული და მოხმარებული (მათ შორის, ელექტროსადგურისა და ქვესადგურის საკუთარი მოხმარებისა და სამეურნეო საჭიროებისათვის) ელექტროენერგია, ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული მრიცხველები უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეტანილი უნდა იყოს საქართველოში დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპების რეესტრში.

3. აღრიცხვის მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ამ თავში მოცემულ ყველა ტექნიკურ მოთხოვნასა და სტანდარტს. აღრიცხვის მოწყობილობების დადგენილ სტანდარტებთან და

მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება ევალება სათანადო მოწყობილობების მფლობელ გადაცემის ლიცენზიატს ან მოსარგებლეს.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 61. პასუხისმგებლობა ელექტროენერგიის (სიმძლავრის) აღრიცხვაზე

1. გადამცემ ქსელზე ახალი მიერთების ან არსებული მიერთების მოდიფიკაციის შემთხვევაში შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატს ეკისრება პასუხისმგებლობა თავის კუთვნილ ტერიტორიაზე აღრიცხვის კვანძის მოწყობის, ტესტირების, დამოწმებისა და ექსპლუატაციაში მიღებისთვის მზადყოფნის უზრუნველყოფაზე. იგივე პასუხისმგებლობა ვრცელდება ელექტრული ქსელის მფლობელ შესაბამის მოსარგებლეზეც, როდესაც მის ქსელზე ხდება სხვა მომხმარებლის მიერთება ან არსებული მიერთების მოდიფიკაცია, თუ მოქმედი კანონმდებლობით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. განმცხადებლის კუთვნილ ტერიტორიაზე აღრიცხვის კვანძის მოწყობის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობა ეკისრება განმცხადებელს.

3. ქსელის მფლობელი შესაბამისი ლიცენზიატი ან მოსარგებლე სრულად არის პასუხისმგებელი შესრულებული სამონტაჟო სამუშაოების ხარისხსა და სრულყოფილებაზე, ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად.

4. გადამცემ ქსელზე ახალი მიერთების მაძიებელი ან არსებული მიერთების მოდიფიკაციის შემთხვევაში მოსარგებლე პასუხისმგებელია აღრიცხვის უჯრედის მოწყობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გაღებაზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. გადამცემ ქსელზე მიერთებული მოსარგებლის კუთვნილ ელექტრულ ქსელზე სხვა მომხმარებლის მიერთების შემთხვევაში აღრიცხვის კვანძის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯი ანაზღაურდება მხარეთა შეთანხმებით.

6. გადამცემი სისტემის ოპერატორი პასუხისმგებელია მონაცემთა ჰაბის ფუნქციონირებაზე, მისი მეშვეობით აღრიცხვის მონაცემების მიღებაზე, აღრიცხვის მონაცემთა სათანადო ბაზის ფორმირებასა და მართვაზე, ასევე, სხვადასხვა წყაროდან მიღებული დიდი მოცულობის დაუმუშავებელი და დამუშავებული, ინტეგრირებული და ისტორიული მონაცემების ცენტრალიზებული საცავის შექმნასა და მართვაზე.

7. ბაზრის ოპერატორი პასუხისმგებელია კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის (კაას) შექმნასა და ადმინისტრირებაზე.

8. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გადაცემის ლიცენზიატები და მოსარგებლეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის სრული წვდომა შესაბამისი დონის ესკაა სისტემების აღრიცხვის მონაცემებზე.

8^{1}. გადამცემი სისტემის ოპერატორი უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორისთვის სრული წვდომის დაშვებას მის ვებპორტალზე.

9. მოსარგებლე უფლებამოსილია გააჩნდეს წვდომა აღრიცხვის იმ მონაცემებზე, რომლებიც მიღებულია მისი ქსელის აღრიცხვის წერტილებიდან.

10. ამ წესებით დადგენილი ფორმით გადაცემის ლიცენზიატს უნდა გააჩნდეს წვდომა ზედა დონის ესკაა სისტემის აღრიცხვის მონაცემთა ბაზაზე იმ პირობის დაცვით, რომ იგი მიიღებს სრულ ინფორმაციას გადამცემი ქსელის ყველა საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილის აღრიცხვის მონაცემებზე.

11. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მასზე დაკისრებული ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის ფუნქციის ჯეროვნად შესასრულებლად უნდა გააჩნდეს სრული წვდომა ზედა დონის ესკაა სისტემასა და ბაზრის ოპერატორის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემაზე.

12. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ბაზრის ოპერატორი პასუხისმგებელია აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნასა და ადმინისტრირებაზე, რომელიც მოიცავს საბითუმო აღრიცხვის წერტილების შესახებ სრულ ინფორმაციას. რეესტრი უნდა მოიცავდეს:

ა) აღრიცხვის წერტილის საიდენტიფიკაციო კოდს, ქვესადგურისა და მინაერთის (ელექტროგადამცემი ხაზის, ფიდერის, ტრანსფორმატორის) დასახელებას;

ბ) აღრიცხვის მოწყობილობის დასახელებას, ტიპს, საქარხნო ნომერსა და სიზუსტის კლასს;

გ) აღრიცხვის კვანძის მესაკუთრის ვანაობის შესახებ ინფორმაციას და მის საკონტაქტო მონაცემებს;

დ) იმ ლიცენზიატებისა და მოსარგებლეების დასახელებას, რომელთა ანგარიშსწორებაშიც მონაწილეობს აღნიშნული აღრიცხვის კვანძი;

ე) აღრიცხვის კვანძის შემოწმებისა და ტექნიკური მომსახურების დოკუმენტებს;

ვ) ესკაა სისტემასთან აღრიცხვის კვანძის მიერთების შესახებ დოკუმენტს;

ზ) ქსელთან მიერთების ტექნიკურ დოკუმენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) აღრიცხვის მოწყობილობებზე შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემულ ყველა დამოწმების დოკუმენტს (ოქმი, სერტიფიკატი).

ი) ცალხაზოვან ელექტრულ სქემებს.

13. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი პასუხისმგებელია აღრიცხვის მოწყობილობების მონაცემთა ბაზის შექმნასა და მის ადმინისტრირებაზე. მონაცემთა ბაზა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) აღრიცხვის მოწყობილობების დასახელებას, ტიპს/მოდიფიკაციას, საქარხნო ნომერს, სიზუსტის კლასსა და საიდენტიფიკაციო კოდს;

ბ) აღრიცხვის თითოეული მოწყობილობის მონტაჟის თარიღს;

გ) აღრიცხვის თითოეული მოწყობილობის ექსპლუატაციაში მიღების/გაშვების თარიღსა და შესაბამის დოკუმენტებს;

დ) იმ ლიცენზიატებისა და მოსარგებლეების დასახელებას, რომელთა ანგარიშსწორებაშიც მონაწილეობს აღნიშნული აღრიცხვის კვანძი;

ე) აღრიცხვის თითოეული მოწყობილობის დაზიანების, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ისტორიას;

ვ) აღრიცხვის მოწყობილობიდან აღრიცხვის ავტომატიზებულ სისტემასთან კავშირის დასამყარებლად გამოყენებულ კომუნიკაციის საშუალებებს (ტელეფონის ნომრები, IP, ან/და სხვა.);

ზ) აღრიცხვის კვანძის მოწყობილობების ყველა დამოწმების/შემოწმების ოქმს, გაცემულს შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ;

თ) აღრიცხვის კვანძის მოწყობილობების შემოწმების/ინსპექტირების აქტებს.

14. მიერთების წერტილში აღრიცხვის კვანძის დამონტაჟებამდე აღრიცხვის კვანძის მონტაჟზე პასუხისმგებელმა პირმა დასამონტაჟებლად განკუთვნილი მრიცხველები პირველადი აღიარებისთვის ან დამოწმებისთვის უნდა წარუდგინოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული მიზნებისათვის აკრედიტებულ ან უფლებამოსილ პირებს.

15. ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის მოწყობის დასრულების შემდეგ ყველა მრიცხველი და მასთან დაკავშირებული აღრიცხვის ყველა მოწყობილობა წარმოადგენს შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატის ან ქსელის მფლობელი მოსარგებლის საკუთრებას.

16. აღრიცხვის კვანძის, აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და წრედების ტექნიკურ გამართულობაზე (შეკეთება-შეცვლა), დაცულობაზე, დადებული ლუქების ხელშეუხებლობაზე, არასანქცირებული ჩარევისაგან გამოწვეულ დაზიანებასა და აღრიცხვისა და საკომუნიკაციო წრედების სიმრთელის დარღვევაზე პასუხისმგებელია ის ლიცენზიატი ან მოსარგებლე, ვის მფლობელობაში/მართვაშიც არის აღნიშნული მოწყობილობები და წრედები.

17. იმ შემთხვევებში, როდესაც აღრიცხვის კვანძი არ მდებარეობს შესაბამისი ქსელის ლიცენზიატის ან მოსარგებლის ტერიტორიაზე (ვის მფლობელობაშიც/მართვაშიც არის აღნიშნული აღრიცხვის კვანძი) და შეუძლებელია ამ აღრიცხვის კვანძის, აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და წრედების დაცულობაზე, დადებული ლუქების

ხელშეუხებლობაზე, არასანქცირებული ჩარევისაგან გამოწვეულ დაზიანებაზე მათზე ამ მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული პასუხისმგებელობის შესრულება, აღნიშნული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ მოსარგებლეს, ვის ტერიტორიაზეც არის შესაბამისი აღრიცხვის მოწყობილობები და წრედები. ასეთ შემთხვევებში მხარეებს შორის უნდა გაფორმდეს აღრიცხვის კვანძის მოვლა-გამგებლობის შესახებ წერილობითი შეთანხმება.

18. ელექტროსადგურებსა და ქვესადგურებში უნდა წარმოებდეს საანგარიშსწორებო და ტექნიკური მრიცხველების ჩვენებების აღრიცხვის ჟურნალები, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მიერ. აღრიცხვის ჟურნალში იწერება მრიცხველის ჩვენებები ყოველდღიურად, ყოველი დღის 24.00 საათის მდგომარეობით, ხოლო ელექტროსადგურის გაჩერებისა და გაშვების მომენტში მრიცხველების ჩვენებები (მათ შორის საკუთარი მოხმარების მრიცხველების ჩვენებები) აღრიცხვის ჟურნალში უნდა ჩაიწეროს დამატებით, ელექტროსადგურის წარმოებისა და მოხმარების რეჟიმების ურთიერთგამიჯვნის მომენტებისთვის.

19. მოსარგებლისა და გადაცემის ლიცენზიატის ხელმძღვანელები მათ მფლობელობაში/მართვაში არსებული აღრიცხვის კვანძების გამართული მუშაობისა და ხელშეუხებლობის კონტროლისთვის ნიშნავენ პასუხისმგებელ პირს. აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის, ასევე მისი შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი საწარმო ვალდებულია, აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ცვლილების შესახებ, აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით. აღრიცხვის სისტემების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია:

ა) განახორციელოს მონიტორინგი აღრიცხვის ჟურნალის წარმოებასა და მონაცემთა უტყუარობაზე;

ბ) დაუყოვნებლივ აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ნებისმიერი დარღვევის შესახებ.

20. მოსარგებლე ან/და გადაცემის ლიცენზიატი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატსა და ბაზრის ოპერატორს ინფორმაცია მის მფლობელობაში/მართვაში არსებული დაზიანებული აღრიცხვის კვანძისა და მისი აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებებისა და დროის შესახებ.

21. კვალიფიციური საწარმო, გადაცემის ლიცენზიატი და მაძიებელი ვალდებულია მიაწოდონ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომლებსაც მოითხოვს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი აღრიცხვასთან დაკავშირებით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით.

22. აღრიცხვის კვანძის მესაკუთრე ვალდებულია აღადგინოს დაზიანებული აღრიცხვის კვანძი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, დადგენილი წესების შესაბამისად.

23. მოსარგებლე და გადაცემის ლიცენზიატი, საჭიროების შემთხვევაში, ვალდებული არიან განახორციელონ ახალი აღრიცხვის კვანძის მოწყობა, მათ შორის, სისტემათაშორისო

ელექტროგადამცემ ხაზზე (ხაზებზე). ამასთან, ახალი აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში მიღება უნდა განხორციელდეს ამავე წესების 70-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

24. აღრიცხვის კვანძის ტექნიკური სპეციფიკაციები, მიერთების სქემები და ნახაზები უნდა იყოს დოკუმენტირებული და ინახებოდეს იმ პირთან (გადაცემის ლიცენზიატი ან მოსარგებლე), ვის მფლობელობაშიც არის მოცემული აღრიცხვის კვანძი.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 62. აღრიცხვის წერტილის განსაზღვრა

1. როგორც წესი, საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილის მდებარეობა უნდა ემთხვეოდეს მიერთების (საბალანსო გაყოფის) წერტილს. საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილის ზუსტი ადგილმდებარეობა განისაზღვრება შესაბამისი მიერთების ხელშეკრულებით ან/და ამ მუხლის მე–2 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი ურთიერთშეთანხმებით.

2. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ტექნიკურ-ეკონომიკურად მიზანშეუწონელია მიერთების წერტილში აღრიცხვის კვანძის მოწყობა, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ბაზრის ოპერატორს, შესაბამის გადაცემის ლიცენზიატსა და მოსარგებლეს ან მაძიებელს შორის შეთანხმების შემთხვევაში საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის (მრიცხველის) განთავსების ფაქტობრივი წერტილი შეიძლება განსხვავდებოდეს მიერთების წერტილისაგან. ასეთ შემთხვევაში წერილობითი ურთიერთშეთანხმებით დადგენილი უნდა იქნეს ელექტროენერგიის ფაქტობრივი აღრიცხვის წერტილი და მასზე აღრიცხული ელექტროენერგიის გადაანგარიშების წესი, ქსელის უბანზე ელექტროენერგიის დანაკარგების გათვალისწინებით.

3. ელექტროსადგურებში საანგარიშსწორებო აღრიცხვა უნდა მოეწყოს:

ა) ელექტროსადგურის გადაცემის/განაწილების ქსელთან ან/და სხვა მოსარგებლესთან მიერთების წერტილში.

ბ) შემოვლითი სალტის ან სალტეთაშორის (სექციათაშორის) ყველა ამომრთველზე, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს რომელიმე იმ მინაერთისთვის, რომელიც განსაზღვრულია ამავე პუნქტის ა) ქვეპუნქტით.

4. ელექტროსადგურის გენერატორების მიერ გამომუშავებული, აგრეთვე საკუთარი და სამეურნეო საჭიროებისათვის დახარჯული ელექტროენერგია უნდა აღირიცხებოდეს ცალ-ცალკე, საანგარიშსწორებო, არანაკლებ 0.5 სიზუსტის კლასით. ამ მიზნით აღრიცხვა უნდა მოეწყოს:

ა) გენერატორზე;

ბ) საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებზე;

გ) აგზნების მოწყობილობებზე, თუ ისინი არ იკვებებიან საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორებით;

დ) ხაზებზე ან ტრანსფორმატორებზე, რომლებითაც ხდება ელექტროენერგიის მიღება სამეურნეო საჭიროებისათვის.

4[1]. ელექტროსადგურებში, სადაც ტექნოლოგიურად გათვალისწინებული არ არის ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული აღრიცხვის კვანძების ცალ-ცალკე მოწყობა, დასაშვებია ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძის მოწყობა იმ წერტილში, რომელიც განკუთვნილია გენერაციის რეჟიმში კონკრეტული გენერატორის (აგრეგატის/გარდამქმნელის) მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობასა და მხოლოდ ამ კონკრეტული გენერატორის (აგრეგატის/გარდამქმნელის) საკუთარი მოხმარების ხარჯს შორის სხვაობის, ხოლო აღნიშნული გენერატორის გაჩერების პერიოდში მხოლოდ ამ აგრეგატის/გარდამქმნელის საკუთარი მოხმარების ხარჯის აღრიცხვისათვის.

5. ელექტროენერგიის სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის განკუთვნილ ელექტროგადამცემ ხაზებზე საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვა უნდა მოეწყოს გადამცემი ხაზის ორივე ბოლოში.

6. გადაცემის და განაწილების ლიცენზიატის ქვესადგურებში საკუთარ მოხმარებაზე გამოყენებულ მინაერთებზე ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით გადასატანი კომპაქტური სატრანსფორმატორო პუნქტის გამოყენების შემთხვევაში გადასატან კომპაქტურ სატრანსფორმატორო პუნქტზე უნდა მოეწყოს საანგარიშსწორებო აღრიცხვა.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 9 იანვრის დადგენილება №1 - ვებგვერდი, 11.01.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2017 წლის 22 ივნისის დადგენილება №10 - ვებგვერდი, 27.06.2017 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 63. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები აღრიცხვის კვანძის მოსაწყობად

არაოფიციალური ვერსია

1. ელექტროენერგიის მრიცხველები და საკომუნიკაციო მოწყობილობები უნდა განთავსდეს კარადაში/სათავსოში, ადვილად მისადგომ და კარგად განათებულ ადგილზე.

2. მრიცხველებს, მცველების მომჭერებს, შუალედურ მომჭერთა ამკრებებსა და მზომი ტრანსფორმატორების მეორად გამომყვანებს, რომლებმაც შესაძლებელია გავლენა იქონიონ ელექტროენერგიის აღრიცხვაზე, უნდა გააჩნდეს დალუქვის საშუალება.

3. კარადების/სათავსოების მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს მრიცხველების დამამზადებლის მიერ მითითებულ პარამეტრებს, უზრუნველყოფდეს მათ დაცვას დაზიანების, ტემპერატურული რეჟიმის დარღვევის, ტენიანობის, მტვრისა და სხვა არასასურველი ეფექტებისგან. მრიცხველების კარადები და მათში შემავალი კაბელების ეკრანები უნდა იყოს დამიწებული.

4. მრიცხველების კარადას/სათავსოს უნდა გააჩნდეს საკეტი, ხოლო მრიცხველების კარადის წინა ნაწილი უნდა იყოს გამჭვირვალე.

5. ძაბვისა და დენური წრედების მონტაჟის დროს გამოყენებული უნდა იქნეს კაბელები ფერადი იზოლაციის მქონე სადენებით, თითო წვერში სხვა ფერებთან კომბინაციის გარეშე, გარდა ნულოვანი სადენისა.

6. ყველა აღრიცხვის წერტილს უნდა მიენიჭოს სპეციალური საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი).

7. აღრიცხვის მოწყობილობების პარამეტრებისა და სქემის შეცვლისათვის სავალდებულოა:

ა) ცვლილების განხორციელების აუცილებლობა დადასტურებული უნდა იყოს წერილობით, დასაბუთებული მიზეზის ჩვენებით, რომელიც წინასწარ (აღრიცხვის მოწყობილობების პარამეტრებისა და სქემის შეცვლამდე) ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს (მათ შორის, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ბაზრის ოპერატორს);

ბ) ცვლილება ხორციელდება ყველა შესაბამისი უფლებამოსილი მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით;

გ) ცვლილების განხორციელებისათვის სავალდებულოა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაწილეობა. განხორციელებული ცვლილების შესახებ დგება შესაბამისი აქტი მონაწილე მხარეების მიერ. შესრულებული სამუშაოების შესახებ ჩანაწერი შეტანილი და ხელმოწერით დადასტურებული უნდა იქნეს აღრიცხვის ჟურნალში აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

8. საკომუნიკაციო მოწყობილობების პარამეტრების შეცვლისათვის სავალდებულოა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და ბაზრის ოპერატორის წინასწარ ინფორმირება.

9. ელექტროენერგიის მრიცხველები და აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობები აღჭურვილი უნდა იყოს ალტერნატიული კვების წყაროთი. მინაერთის

ბოლო განახლება: 01 ივლისი, 2026 წ.

გამორთვამ არ უნდა გამოიწვიოს მრიცხველისა და საკომუნიკაციო მოწყობილობებისთვის ძაბვის შეწყვეტა.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ მრიცხველებსა და აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, რომლებიც არ მდებარეობს ელექტროსადგურში ან ქვესადგურში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 30 მარტის დადგენილება №6 - ვებგვერდი, 07.04.2021 წ.

მუხლი 64. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების მიმართ

1. აღრიცხვაში გამოყენებული დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს. მათი სიზუსტის კლასი უნდა იყოს არანაკლებ 0.5-ისა (ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებზე არანაკლებ 0.2 სიზუსტის კლასისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დისპეტჩერიზაციის/გადაცემის ლიცენზიატსა და მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სხვა რამ არ არის განსაზღვრული).

2. სამფაზა საანგარიშსწორებო აღრიცხვაში გამოყენებული უნდა იყოს სამფაზა ძაბვის ტრანსფორმატორი ან ჯგუფი, რომელიც შედგება თითოეულ ფაზაში ცალფაზა ძაბვის ტრანსფორმატორებისგან.

3. საანგარიშსწორებო აღრიცხვისას მრიცხველის ნახევრად ირიბი და ირიბი ჩართვის დროს აუცილებელია დენის ტრანსფორმატორები დაიდგას ყველა ფაზაში, ხოლო 6–10 კვ ძაბვაზე დასაშვებია დენის ტრანსფორმატორები დაიდგას ორ ფაზაში (გარდა გენერატორებისა).

4. დენის ტრანსფორმატორების ნომინალური მეორადი დენის მნიშვნელობები უნდა ემთხვეოდეს მრიცხველების ნომინალური დენის მნიშვნელობებს.

5. დადგმის ადგილისა და მეთოდის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორების ფირნიშიდან ყველა მონაცემის ვიზუალური წაკითხვის შესაძლებლობა, მოწყობილობის გამორთვის ან დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების გარეშე. დასაშვებია ფირნიშის მონაცემების გამოტანა ხილულ ადგილზე.

6. ძაბვის ტრანსფორმატორების გამთიშველების ამძრავების სახელურებზე გათვალისწინებული უნდა იყოს დალუქვის შესაძლებლობა. კამერების დალუქვის შეუძლებლობის შემთხვევაში ილუქება ძაბვის ტრანსფორმატორების გამომყვანები.

7. ძაბვის ტრანსფორმატორის თითოეულ ფაზაზე მეორად წრედებში ძაბვის ვარდნა არ უნდა აღემატებოდეს მეორადი ნომინალური ძაბვის 0.25 %-ს (0,5 სიზუსტის კლასის მზომი ტრანსფორმატორების შემთხვევაში), რაც უნდა დადასტურდეს შესაბამისი გაანგარიშებით. მეორადი ძაბვის წრედი უნდა იყოს განმხოლოებული და მიერთებული მხოლოდ მრიცხველზე. იქ, სადაც დიდია ელექტრომაგნიტური ველის გავლენა, მეორად წრედებში გამოყენებული უნდა იყოს ეკრანირებული კაბელი. ამასთან, ძაბვის წრედების კაბელის ეკრანი (წულოვანი გამტარი) ყრუდ უნდა დამიწდეს ერთ ადგილზე, ხოლო ტევადური ძაბვის ტრანსფორმატორების გამოყენების შემთხვევაში – ორივე მხრიდან.

8. სალტეთა რამდენიმე სისტემის შემთხვევაში, როცა ძაბვის ტრანსფორმატორები მიერთებულია მხოლოდ თავის სალტეთა სისტემაზე (ფიქსირებული სქემა), საჭიროა თითოეული აღრიცხვის კვანძისთვის სალტეთა ნებისმიერ სისტემაზე ძაბვის (აღრიცხვის) წრედების ავტომატური გადამრთველების გათვალისწინება აღრიცხვის პროცესის შესანარჩუნებლად (ფიქსირებული სქემის აღდგენამდე).

9. ძაბვის წრედების მომჭერები ისე უნდა მოეწყოს, რომ შესაძლებელი იყოს ძაბვის წრედების გათიშვა თითოეულ ფაზაზე მრიცხველების შეცვლის, სქემის გასწორებისა და შემოწმების დროს, აგრეთვე – ეტალონური მრიცხველის მიერთება კაბელებისა და გამომყვანების გათიშვის გარეშე.

10. დენის ტრანსფორმატორის ნომინალური მეორადი დენი უნდა იყოს 1 ან 5 ამპერი, დენური წრედი უნდა იყოს განმხოლოებული და მიერთებული მხოლოდ მრიცხველზე. ამასთან, დენური კაბელის ეკრანი უნდა იყოს ყრუდ დამიწებული ერთ ადგილზე.

11. საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძისთვის შესარჩევი დენის ტრანსფორმატორის პირველადი ნომინალური დენი თუ არ აკმაყოფილებს თერმული და ელექტროდინამიური მდგრადობის ან სალტეების დაცვის პირობებს, ამ შემთხვევაში დასაშვებია დენის ტრანსფორმატორის გამოყენება ტრანსფორმაციის გაზრდილი კოეფიციენტით თუ, მინაერთის მაქსიმალური დატვირთვის დროს დენის ტრანსფორმატორის მეორად გრაგნილში დენი იქნება არა ნაკლები მრიცხველის ნომინალური დენის 40%, მინიმალური დატვირთვის დროს - არანაკლები 5%, ხოლო სიზუსტის კლასის აღნიშვნაში „S” სიმბოლოს დამატების შემთხვევაში - არანაკლები 1%, ან გამოყენებული იქნეს ორ კოეფიციენტიანი დენის ტრანსფორმატორები.

12. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ელექტროგადამცემი ხაზის ერთზე მეტი ამომრთველით მიერთების სქემით განხორციელებისას, თუ არსებობს სახაზო დენის ტრანსფორმატორი ან მისი მოწყობის ტექნიკური შესაძლებლობა (ხაზის იმედიანი მუშაობის პირობების გათვალისწინებით), საანგარიშსწორებო მრიცხველი უნდა მიერთდეს სახაზო დენის ტრანსფორმატორის წრედზე.

13. აღრიცხვაში გამოყენებული დენის წრედების მომჭერები ისე უნდა მოეწყოს, რომ შესაძლებელი იყოს დენის ტრანსფორმატორების მეორადი წრედების დამოკლება ან/და გათიშვა თითოეულ ფაზაზე მრიცხველების გამოცვლისას ან შემოწმებისას, აგრეთვე – ეტალონური მრიცხველის მიერთება კაბელებისა და გამომყვანების გათიშვის გარეშე.

14. დენის მზომი ტრანსფორმატორების ელექტროენერგიის აღრიცხვის მიზნებისთვის გამოყენებული გრაგნილები და საანგარიშსწორებო/საკონტროლო მრიცხველებთან მათი დამაკავშირებელი წრედები უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ აღრიცხვის მიზანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დენისა და ძაბვის წრედები გამოყენებულია სადისპეტჩერო მართვის უზრუნველმყოფი ელექტრომოწყობილობების კვებისთვის, იმ პირობის დაცვით, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღრიცხვის სიზუსტის მიმართ ამ წესებით დადგენილი მოთხოვნები.

15. იმ შემთხვევაში, თუ დენური წრედების ცალკე შეერთება მოითხოვს დამატებით დენის ტრანსფორმატორის გამოყენებას, მაშინ დასაშვებია დენურ წრედებთან მრიცხველის შემდეგ სხვა მოწყობილობების მიერთება, თუ ეს არ იწვევს დენის ტრანსფორმატორის სიზუსტის კლასისა და დენური წრედების საიმედოობის შემცირებას.

16. მოცემული სიზუსტის კლასში მუშაობისათვის დენის ტრანსფორმატორის მეორადი წრედის დატვირთვა ვოლტამპერებში (ან ომებში) არ უნდა იყოს ნომინალური მნიშვნელობის 25%-ზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური მნიშვნელობის 100%-ს, რომელიც მოყვანილია მის ფირნიშზე.

17. მოცემული სიზუსტის კლასში მუშაობისათვის ძაბვის ტრანსფორმატორის მეორადი წრედის დატვირთვა ვოლტამპერებში (ან ომებში) არ უნდა აღემატებოდეს ნომინალურ მნიშვნელობას, რომელიც მოყვანილია მის ფირნიშზე.

18. დაუშვებელია საანგარიშსწორებო მრიცხველების მიერთება შუალედური დენის ტრანსფორმატორებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.06.2021 წ.

მუხლი 65. ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები ელექტროენერგიის მრიცხველების მიმართ

1. სამფაზა მრიცხველები უნდა იყოს სამელემენტიანი (64-ე მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით), შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ შესაბამის სტანდარტებს და რეგისტრირებული იყოს საქართველოში დაკანონებული გაზომვის საშუალებების სახელმწიფო რეესტრში. მათი სიზუსტის კლასი უნდა იყოს არანაკლებ 0.5-ისა (ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებზე არანაკლებ 0.2 სიზუსტის კლასისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დისპეტჩერიზაციის/გადაცემის ლიცენზიატსა და მეზობელი ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის ტექნიკურ ოპერატორს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სხვა რამ არ არის

განსაზღვრული), ხოლო 0.4 კვ ძაბვაზე (0.380 და 0.220) მრიცხველის პირდაპირი ჩართვის დროს მისი სიზუსტის კლასი უნდა იყოს რანაკლებ 1.0-სა.

2. მრიცხველის კონსტრუქცია არ უნდა იძლეოდეს გაზომვის შედეგებზე არასანქცირებული ზემოქმედების საშუალებას.

3. საანგარიშსწორებო და საკონტროლო მრიცხველი უნდა იყოს ელექტრონული და თავსებადი შუალედური ან/და ქვედა დონის ესკაა სისტემებთან, რომლებიც, თავის მხრივ, თავსებადი უნდა იყოს ზედა დონის ესკაა და კაას სისტემებთან. ელექტროენერგიის მრიცხველს უნდა ჰქონდეს მონაცემთა ელექტრონულად ავტომატურ რეჟიმში გაცემის შესაძლებლობა.

4. საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვაში გამოყენებული ელექტრონული მრიცხველი უნდა აღრიცხავდეს და ინდიკატორზე გამოჰქონდეს აქტიური სიმძლავრის (კვტ), აქტიური ენერგიის (კვტ.სთ), რეაქტიული სიმძლავრისა (კვარ) და რეაქტიული ენერგიის (კვარ.სთ) მიმდინარე მნიშვნელობები. ამასთან, მრიცხველი იმგვარად უნდა იყოს დაპროგრამებული, რომ მრიცხველში საანგარიშო კოეფიციენტის:

ა) გათვალისწინების შემთხვევაში მრიცხველის ეკრანზე გამოტანილი ენერგიების ჩვენების მნიშვნელობა გამოისახოს არანაკლებ 1 კვტ.სთ-მდე (კვარ.სთ-მდე) სიზუსტით;

ბ) გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მრიცხველის ეკრანზე გამოტანილი ენერგიების ჩვენებების მნიშვნელობების სათანადო საანგარიშო კოეფიციენტზე გამრავლებით მიღებულ იქნეს ენერგიის მნიშვნელობა არანაკლებ 1 კვტ.სთ-მდე (კვარ.სთ-მდე) სიზუსტით.

5. ქსელის მიერთების თითოეულ წერტილში, სადაც ელექტროენერგიის გადადინება ხორციელდება ორი მიმართულებით, უნდა დამონტაჟდეს ორმიმართულებიანი მრიცხველი, სადაც აქტიური და რეაქტიული ელექტროენერგია აღირიცხება ცალ-ცალკე, მიღების და გაცემის რეჟიმში. იმ შემთხვევაში თუ, ელექტროენერგიის გადადინება ხორციელდება ერთი მიმართულებით, მრიცხველს (ერთმიმართულებიანი) უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა ცალ-ცალკე აღრიცხოს და აჩვენოს აქტიური და რეაქტიული ელექტროენერგია.

6. მრიცხველს უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები:

ა) ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა შეინარჩუნოს იმ დროისთვის შენახული ყველა მაჩვენებელი და მათი სიზუსტე;

ბ) ელექტროენერგიის მიწოდების ხანგრძლივი შეწყვეტის დროს შენახული ინფორმაციის დაცვის მიზნით საათი, კალენდარი და ყველა მონაცემი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კვებით თხუთმეტი დღის მანძილზე, გარეშე კვების წყაროს დაუხმარებლად;

გ) აღრიცხვის მონაცემთა წაკითხვის არც ერთი ოპერაცია არ უნდა იწვევდეს უკვე აღრიცხული და შენახული მონაცემების წაშლას ან შეცვლას.

7. მრიცხველებმა უნდა აღრიცხონ და შეინახონ ნახევარსაათიანი პერიოდების ჯამური მონაცემები, მინიმუმ 1 კალენდარული თვის განმავლობაში.

8. ყველა მრიცხველი უნდა აფიქსირებდეს დროს, საქართველოს სტანდარტული დროის მიხედვით.

9. მრიცხველი უნდა აფიქსირებდეს ძაბვის მოწოდების შეფერხებას, ძაბვის (ფაზის) წყვეტას, დენის მიმართულების ცვლილებას, ყველას სხვა სახის პროგრამულ ცვლილებასა თუ შეფერხებას იმისათვის, რომ მონაცემთა გამოკითხვის (შეგროვების) სისტემამ მოახდინოს არასრულყოფილი (მცდარი) მონაცემების იდენტიფიცირება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2016 წლის 22 აპრილის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 06.05.2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 10 ივნისის დადგენილება №13 - ვებგვერდი, 14.06.2021 წ.

მუხლი 66. საანგარიშსწორებო და საკონტროლო აღრიცხვა

1. საანგარიშსწორებო აღრიცხვა უნდა ხორციელდებოდეს ქსელთან მიერთების თითოეულ წერტილში და უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს.

2. გადაცემის ლიცენზიატის კუთვნილ 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე (მათ შორის, ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებზე), საანგარიშსწორებო აღრიცხვის (მრიცხველის) გარდა, გამოყენებულ უნდა იქნეს საკონტროლო აღრიცხვა (მრიცხველი). საკონტროლო მრიცხველს უნდა გააჩნდეს სიზუსტის არანაკლებ ის კლასი, რომელიც გათვალისწინებულია საანგარიშსწორებო მრიცხველისათვის.

3. 110 კვ და უფრო მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებზე, საკონტროლო აღრიცხვა შესაძლებელია მოეწყოს ხაზის მეორე ბოლოში ან საანგარიშსწორებო აღრიცხვის იმავე წერტილში.

4. ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებზე საკონტროლო აღრიცხვა უნდა მოეწყოს საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილში, რისთვისაც აუცილებელია აღრიცხვის ცალკე მოწყობილობები ან იმავე მოწყობილობების იმავე კლასის დამოუკიდებელი გამომყვანები.

5. საკონტროლო აღრიცხვის მოწყობილობის დაცვა (დალუქვა) ხორციელდება იმავე პრინციპებით, როგორითაც საანგარიშსწორებო აღრიცხვის სისტემის დაცვა.

6. გადაცემის ლიცენზიატების ქვესადგურებსა და ელექტროსადგურებში უნდა წარმოებდეს ელექტროენერგიის აღრიცხვა, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს ქვესადგურებსა და

ელექტროსადგურებში ელექტროენერგიის ბალანსის გამოანგარიშებას (მათ შორის, ძაბვის საფეხურების მიხედვით).

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.
საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №81 - ვებგვერდი, 30.12.2020 წ.

მუხლი 67. ესკაა სისტემები და მონაცემთა ჰაბი

1. მონაცემთა ჰაბის მეშვეობით გადამცემი სისტემის ოპერატორმა უნდა შეასრულოს შემდეგი სამუშაოები:

ა) საქართველოს მასშტაბით ელექტრონერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული (მათ შორის, საკონტროლო და ტექნიკური) აღრიცხვის წერტილებიდან (ელექტრონული მრიცხველებიდან) აღრიცხვის მონაცემების წაკითხვა/შეგროვება (პირდაპირი ან ირიბი კავშირით), დამუშავება, აგრეგირება, ფორმირება და ყველა დაინტერესებული მხარისთვის (საბითუმო ვაჭრობაში მონაწილე პირებისთვის) ხელმისაწვდომობა;

ბ) აღრიცხვის მონაცემების აგრეგირება ცალ-ცალკე გამანაწილებელი სისტემის ოპერატორების, პირდაპირი მომხმარებლების, მწარმოებლებისა (მათ შორის, ექსპლუატაციაში გაშვების მიზნით საცდელი გაშვების პროცესში მყოფი ელექტროსადგურებისთვის) და ტრანსსასაზღვრო ხაზებისთვის;

გ) გამომუშავებული (სალტეზე გაცემული) და მოხმარებული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების საათობრივი აქტების ფორმირება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის (აღნიშნული აქტები არ გამოიყენება ანგარიშსწორების მიზნებისთვის);

დ) ტრანსსასაზღვრო ელექტროგადამცემ ხაზებზე გადადინებული ელექტროენერგიის საათობრივი აქტების შედგენა/ფორმირება შესაბამისი საანგარიშო პერიოდისთვის;

ე) ტრანსსასაზღვრო სისტემათაშორისი ხაზით იმპორტირებული (ექსპორტირებული) და სატრანზიტო ელექტროენერგიის განაწილების აქტების შედგენა/ფორმირება;

ვ) მოსარგებლეებისთვის მონაცემთა დამუშავება და შესაბამისი პლატფორმის გამოყენებით წვდომის უზრუნველყოფა;

ზ) სხვადასხვა წყაროდან მიღებული, დიდი მოცულობის დაუმუშავებელი და დამუშავებული, ინტეგრირებული და ისტორიული მონაცემების ცენტრალიზებული საცავის საშუალებით ანალიტიკის და ანგარიშგების აქტივობების მხარდაჭერა.

2. გადამცემი სისტემის ოპერატორი, ბაზრის ოპერატორთან, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და თავის ვებგვერდზე აქვეყნებს ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემების მიღების, დამუშავების, აგრეგირებისა და მიწოდების წესს.

3. გადაცემის და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ვალდებულნი არიან, ხოლო მოსარგებლე უფლებამოსილია, ფლობდეს ესკაა სისტემას. სისტემის ოპერატორების ესკაა სისტემები თავსებადი უნდა იყოს ერთმანეთთან, ხოლო მოსარგებლის ესკაა სისტემა – იმ სისტემის ოპერატორის ესკაა სისტემასთან, რომლის ქსელზეცაა იგი მიერთებული. ესკაა სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლა უნდა ხდებოდეს შეუფერხებლად.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინფორმაციის მიმოცვლა გადამცემი სისტემის ოპერატორის და ესკაა სისტემის მესაკუთრეს შორის უნდა ხდებოდეს შესაბამისი ცვლილების (მათ შორის, აღრიცხვის კვანძის დამატების, მზომი ტრანსფორმატორის კოეფიციენტის და დროის სინქრონიზაციის) განხორციელების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე.

5. ესკაა სისტემის შემადგენლობაში შედის:

ა) ელექტროენერგიის აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა და აღრიცხვის მონაცემთა ბაზა;

ბ) მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობები;

გ) ელექტროენერგიის აღრიცხვის საკომუნიკაციო მოწყობილობები;

დ) ელექტროენერგიის აღრიცხვის საკომუნიკაციო წრედები (მხოლოდ აღრიცხვის მიზნებისთვის გამოყენებული საკომუნიკაციო/ინტერფეისის სადენები);

ე) ელექტროენერგიის მრიცხველები.

6. ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემთა ბაზა იღებს ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემებს:

ა) მოსარგებლის ელექტროენერგიის აღრიცხვის მონაცემთა ბაზიდან;

ბ) მოსარგებლის მონაცემთა შეკრებისა და გადაცემის მოწყობილობებიდან;

გ) ელექტროენერგიის მრიცხველებიდან.

7. ესკაა სისტემებში შემავალი მოწყობილობები ერთმანეთთან უნდა იყოს სინქრონიზებული ზუსტი ასტრონომიული დროის შესაბამისად და გააჩნდეს უწყვეტი ელექტრომომარაგება.

8. ესკაა სისტემა დაცული უნდა იყოს ნებისმიერი არასანქცირებული ჩარევისაგან როგორც ცალკეული ელემენტების დალუქვის გზით, ასევე შესაბამისი პროგრამული საშუალებების გამოყენებით.

9. ელექტროენერგიის მრიცხველების დაპროგრამებას/კონფიგურირებას ახდენს აღრიცხვის კვანძის მოწყობაზე პასუხისმგებელი ელექტრული ქსელის მფლობელი, გადამცემი სისტემის ოპერატორის მიერ დადგენილი ძირითადი მოთხოვნების გათვალისწინებით.

10. მოსარგებლე უფლებამოსილია დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე მიიღოს წვდომა, მათ შორის შესაბამისი პლატფორმის გამოყენებით, ესკაა სისტემაში ან/და მონაცემთა ჰაბში არსებულ იმ მონაცემებზე, რომლებიც მიღებულია მის ანგარიშსწორებაში მონაწილე აღრიცხვის წერტილებიდან.

11. გადამცემი სისტემის ოპერატორმა კომისიას, მასზე დაკისრებული ენერგეტიკული ბაზრების მონიტორინგის ფუნქციის ჯეროვნად შესასრულებლად, უნდა მისცეს სრული წვდომა ესკაა სისტემაზე ან/და მონაცემთა ჰაბის შესაბამის პლატფორმ(ებ)ზე (მათ შორის, მონაცემთა ცენტრალიზებულ საცავზე).

12. ესკაა სისტემის მფლობელი ვალდებულია ესკაა სისტემით მიღებული ინფორმაცია არანაკლებ 13 თვის ვადით შეინახოს ხელმისაწვდომ ფორმატში, ხოლო არანაკლებ 6 წლის განმავლობაში აწარმოოს აღრიცხვის მონაცემთა საარქივო ბაზა. საარქივო ბაზა უნდა აერთიანებდეს ყველა მრიცხველის აღრიცხვის მონაცემს. ამ პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ შესაძლებელია ინფორმაციის განადგურება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2024 წლის 30 მაისის დადგენილება №8 - ვებგვერდი, 06.06.2024წ.

მუხლი 68. კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (კაას)

1. კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა (კაას) ახორციელებს ელექტროენერგიის სიმძლავრის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებული საანგარიშწორებო და საკონტროლო მრიცხველებიდან ავტომატურ რეჟიმში მონაცემების მიღებას, შენახვასა და დამუშავებას საბითუმო ვაჭრობის ერთიანი ანგარიშწორების მიზნით.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, გადაცემის ლიცენზიატი და მოსარგებლეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ავტომატურ რეჟიმში ბაზრის ოპერატორის კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემისათვის სრული და შეუფერხებელი წვდომა მათ მფლობელობაში მყოფ ესკაა სისტემების მონაცემთა ბაზებში ასახულ საბითუმო ვაჭრობაში გამოყენებულ მრიცხველებზე.

3. კომერციული აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით ბაზრის ოპერატორი ქმნის და აწარმოებს ბაზრის ოპერატორის აღრიცხვის მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავს თითოეული საანგარიშსწორებო აღრიცხვის წერტილისთვის მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

ა) აღრიცხვის წერტილის საიდენტიფიკაციო მონაცემებს;

ბ) თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის აქტიური და რეაქტიული ენერგიის პირველად (უშუალოდ მრიცხველებიდან მიღებული) მონაცემებს;

გ) ბაზრის ოპერატორის მიერ თითოეული მოსარგებლისთვის დამუშავებულ და დაანგარიშებულ მონაცემებს, რომლებიც გამოთვლილია აღრიცხვის პირველადი მონაცემების გამოყენებით;

დ) მცდარი ან მონაცემთა არარსებობის შემთხვევაში ამ წესით დადგენილი უფლებამოსილი მხარეების მიერ დაანგარიშებულ, შესწორებულ ან ჩანაცვლებულ მონაცემებს.

4. კაას სისტემაში დაცული უნდა იყოს აღრიცხვის მონაცემების უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა. მონაცემები უნდა ინახებოდეს აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ცამეტი თვის განმავლობაში წაკითხვის ფორმატით და ექვსი წლის განმავლობაში – დაარქივებული ფორმატით.

5. მოსარგებლეს უფლება აქვს წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში საკუთარი აღრიცხვის წერტილისთვის და მოითხოვოს ნებისმიერი აღმოჩენილი და დადასტურებული უზუსტობის გასწორება.

6. ბაზრის ოპერატორი უფლებამოსილია აწარმოოს კონტროლი ესკაა სისტემებით მისაღები მონაცემების სისრულესა და სიზუსტეზე, მონაცემების მიუწოდებლობის შემთხვევაში მოითხოვოს აღნიშნული შეფერხების გამომწვევი მიზეზების დასახელება და მათი გამოსწორება, ხოლო ესკაა სისტემის მფლობელი ვალდებულია აღადგინოს მონაცემების მიწოდება უმოკლეს ვადაში. არაზუსტი მონაცემების გამოვლენისას ბაზრის ოპერატორი უფლებამოსილია მოითხოვოს აღრიცხვის კვანძის შემოწმება დადგენილი წესით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 69. მრიცხველის ჩვენებების მიღება, შენახვა და ხელმისაწვდომობა

1. ესკაა სისტემების მფლობელი ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებული არიან, შეინახონ ესკაა სისტემით მიღებული აღრიცხვის ინფორმაცია 13 თვის განმავლობაში, ხელმისაწვდომ ფორმატში.

2. ესკაა სისტემების მფლობელი ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაწილეები ვალდებული არიან, 6 წლის განმავლობაში აწარმოონ აღრიცხვის მონაცემთა საარქივო ბაზა, რომელშიც შეტანილი უნდა იყოს ყველა მრიცხველის აღრიცხვის მონაცემი.

3. გადაცემის ლიცენზიატის ან/და მოსარგებლის მიერ მის ანგარიშსწორებაში გამოყენებული კონკრეტული მრიცხველების მონაცემებზე ავტომატიზებული წვდომის მოთხოვნის შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის სპეციალური ვებპლატფორმის გამოყენებით. ვებპლატფორმაზე წვდომისთვის საჭირო ქსელური უსაფრთხოების მოწყობილობების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია მომთხოვნი მხარე.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც მრიცხველიდან აღრიცხვის მონაცემები არ გადაეცემა ზედა დონის ესკაა სისტემას, მრიცხველის ადგილზე წაკითხვა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ქსელის მფლობელი პირის ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ან/და იმ მოსარგებლის მონაწილეობით, რომლის აღრიცხვაშიც გამოყენებულია აღნიშნული მრიცხველი. ელექტროენერგიის მრიცხველებიდან აღრიცხვის მონაცემების ამოღებისა და გადაცემის წესს ადგენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

5. კომუნიკაციის ხანგრძლივი პრობლემის შემთხვევაში მისი ადგილზე წაკითხვა უნდა მოხდეს უსაფრთხო პროცედურის გამოყენებით, რომლის დროსაც მონაცემების ამოღება ხდება უშუალოდ მრიცხველის ან ჩამწერი მოწყობილობის მეხსიერებიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის 2015 წლის 23 აპრილის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 07.05.2015წ.

მუხლი 70. საანგარიშსწორებო აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში მიღება, ტესტირება, ინსპექტირება/შემოწმება

1. ქსელთან მიერთების ახალ წერტილში (მაძიებლის ან/და მოსარგებლის შემთხვევაში) აღრიცხვის კვანძის ექსპლუატაციაში მიღებისათვის:

ა) მაძიებელი ან/და მოსარგებლე ვალდებულია ბაზრის ოპერატორსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა თანდართული დოკუმენტაციით (ქსელთან მიერთების ტექნიკური პირობა, მისი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაცემული ზედა დონის ესკაა სისტემასთან ჩართვის/დაკავშირების დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი) აღრიცხვის კვანძის შემოწმების შესახებ. ამ პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება გადასატანი კომპაქტური სატრანსფორმატორო პუნქტის აღრიცხვის კვანძის შემოწმების შემთხვევაში.

ბ) ბაზრის ოპერატორი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად კომისიური წესით ამოწმებენ აღრიცხვის კვანძს და ადგენენ აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტს;

გ) აღრიცხვის კვანძის გამართულობის დადასტურების შემთხვევაში მას შემოწმების მომენტიდან იღებენ ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში გამოყენების მიზნით, ხოლო გაუმართაობის შემთხვევაში ბაზრის ოპერატორი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უფლებამოსილი არიან შეაჩერონ აღრიცხვის წერტილის ექსპლუატაციაში მიღება გაუმართაობის აღმოფხვრამდე;

დ) ახალი აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტის ფორმას ამტკიცებს ბაზრის ოპერატორი და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

1[1]. საცალო მომხარებლის აღრიცხვის კვანძის ელექტროენერგიის (სიმძლავრის) საბითუმო ვაჭრობაში გამოყენების მიზნით აღიარებისათვის მაძიებელმა ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს და გადამცემი სისტემის ოპერატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების ქსელთან მიერთების არსებული აღწერილობა, საბალანსო გაყოფის წერტილების მითითებით;

ბ) აღრიცხვის კვანძების ელემენტების საპასპორტო მონაცემები;

გ) აღრიცხვის კვანძ(ებ)ის ზედა დონის ესკაა სისტემაში ჩართვის დამადასტურებელი ტექნიკური დოკუმენტი;

დ) ქსელთან მიერთების ცალხაზოვანი სქემა. 6/10კვ. და დაბალი ძაბვის მინაერთებზე, ქსელთან მიერთების აღწერილობა;

ე) დენისა და ძაბვის მზომი ტრანსფორმატორების გაზომვის ოქმები;

ვ) ქსელის ოპერატორების მიერ გაცემული დოკუმენტი მაძიებლის ქსელისა და აღრიცხვის მოწყობილობების ამ წესების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

2. მზომი ტრანსფორმატორების ტესტირება სიზუსტის კლასის საპასპორტო მონაცემებთან შესაბამისობის დადგენაზე ტარდება გადაცემის ლიცენზიატისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. დასაშვებია ტესტირების ჩატარება უფლებამოსილი მხარეების არასრული შემადგენლობით, მხოლოდ დისპეტჩერიზაციისა და შესაბამისი გადაცემის ლიცენზიატების მიერ დანარჩენ უფლებამოსილ მხარეებთან შეთანხმებით, რომელიც დასტურდება შესაბამისი აქტით:

ა) ახალი აღრიცხვის მოწყობილობების ექსპლუატაციაში მიღების წინ, განთავსების ადგილზე;

ბ) ახალი მიერთების ან არსებული მიერთების მოდიფიკაციისას, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაწილეობით;

გ) დაზიანებული აღრიცხვის მოწყობილობების აღდგენითი სამუშაოების დასრულების ან ახალი აღრიცხვის მოწყობილობების დამონტაჟების შემდეგ, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაწილეობით;

დ) გეგმურად, 6-წლიანი პერიოდულობით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მონაწილეობით.

3. ტესტირების ჩატარება და შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება უნდა უზრუნველყოს აღრიცხვის კვანძის მოწყობილობების მფლობელმა. გამართულობის ფაქტს ადასტურებს შესაბამისი ტესტირების დადებითი შედეგები. ტესტირების შედეგები ფორმდება შესაბამის ოქმში.

4. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი აღრიცხვის სიზუსტის მიმართ, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს აღრიცხვის მოწყობილობების ლაბორატორიული შემოწმება სათანადო აკრედიტაციის მქონე ორგანიზაციის მიერ.

5 ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ქმედებების გატარების შედეგად ეჭვის დადასტურების შემთხვევაში ლაბორატორიული შემოწმების ხარჯებს ფარავს აღრიცხვის კვანძის მფლობელი, წინააღმდეგ შემთხვევაში – შემოწმების ინიციატორი დაინტერესებული მხარე.

6. დაინტერესებულ მხარეებს, ბაზრის ოპერატორსა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წინასწარ წერილობით უნდა შეატყობინონ ტესტირების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ 3 სამუშაო დღით ადრე.

